

ათი წელი თქვენთან

ბავშვთა



გაგულის

საიდან შიშის ზღვისუღერ აფელდა
უძიარა ეაფორა, საიდან შიშის ბეფარებერ ააქი
ტიარა... აქ იყო ზლი სიზმზისუელი ქაღიზი ბეფეს,
აქ აფესნარაუღარ ზაფეფუღარ ვაღარაქტიარა!



შემეცნებით-საზოგადოებრივი
ჟურნალი ამერიკაში

№ 4 (72) სექტემბერი
ოქტომბერი,
2013

მთავარი რედაქტორი მანუჩარ კატახიძე
EDITOR&PUBLISHER MANUCHAR KATCHAKHIDZE

ჩვენი პარტნიორი: **ანაჰა-ანაჰა**

მომხმარებელი: PO Box 13121, Jersey City, NJ 07303

ტელ.: 1-347-724-0770; თბილისიდან: 2-420-320

ელფოსტა: mamulusa@gmail.com; www.mamuli.com

ჟურნალი აკრებილია, დაკაბადონებულია,
დაბეჭდილია და აკინძულია შეერთებულ
შტატებში და ამ ნომრის გამოცემის დროს
წარმოადგენს ერთადერთ ემიგრანტულ,
ქართულ გამოცემას ა.შ.შ.-ში.

საქართველოს საქართველოს

- 5** **სარელაქტორო**
რად გვინდა ქართველებს ნობელის პრემია?
- 15** **„ილუზიონი“ კაბადონებში**
„სადაურსა სად წაიყვან“ - რუბენ მამულიანი
- 25** **პარსკვლავი**
გრეტა გარბო
- 27** **სმადაბალი ფიქრები**
ფეხშიშველა კაცზე
- 34** **თვალის ერთი გადავლევით**
„მამულის“ ათი წელი ფოტოებში
- 38** **ჩიტი მგალობელი**
იცნობთ, ზაირა ჩოხელს?
- 44** **რჩეული ფერილი არქივიდან**
301-ე მე ვიქნები დღეს არაგველი
- 48** **„მურაბების ზეიმი“**
ტკბილი ბაასის თანხლებით
- 50** **ადამიანური ისტორიები**
ნანა ჯეჯეიას „ფეისბუკიდან“
- 55** **მარკ ტვენი**
როგორ მირჩევდნენ გუბერნატორად
- 57** **მსატკვარი კარიზში**
რეზო ინანიშვილის უცნობი ნოველა
- 58** **მარალ სამახსოვრო**
ბიჭი და თოჯინა
- 60** **ბუბია**
ერთი ბებიის პორტრეტი
- 62** **ჩვენი გავშვობის**
წიგნების გეგმა
- 64** **ჩვენი სამედიცინო კლუბი**
ინტერვიუ ექიმ მერაბ ბოთურთან



ოდითგანვე ცნობილია, რომ ჰრესა და მკითხველი დროთა განმავლობაში ისე ახლოვდებიან ერთმანეთთან, რომ ერთ სულიერ ოჯახად იკვრებიან. ჩვენ თუ ჰირუთვნელ მოსახრებებს ვაწვდით ერთგულ მკითხველს, ისინი ამ ჩვენს გარჯასა და შრომას სიყვარულით გვიბრუნებენ.



მე ეს სიყვარული მთელი ათი წლის განმავლობაში არ მომკლებია.

მეტი და მეტი სტიმული მეძლეოდა მეტად მეღვაწა ჩემი მკითხველებისათვის. მათთან არასოდეს დამიწღვევია გულწრფელობის აღთქმა, ისინიც გულწრფელად მესმინებოდნენ და მიხიარებდნენ თავიანთ შთაბეჭდილებებსა თუ სურვილებს.

მათ შეაფასეს გახეთ „მამულის“ შრომა, ისინი ითხოვდნენ მეტსა და მეტს. ამიტომაც, გახეთის ფორმატი – საჟურნალო ფორმატმა შეცვალა, ჟურნალისტი – რომანისტად მაქცია.

ჩემმა მკითხველმა ჩემში ის ჰოტენციალი ამოიკითხა, რაც თავადაც არ მქონდა შემხნეული საკუთარ თავში. მხოლოდ ჩემი მკითხველის უანგარო სიყვარულმა მომაკიდებინა ხელი მწერლობაში ისეთი ურთულესი ჟანრისათვის, როგორიცაა რომანი. „მედვას“ და „სატანტო ქალაქზე“ მუშაობისას უკლებლივ ვითვალისწინებდი მათ ჰირუთვნელ შენიშვნებსა და სურვილებს და არც შევმცდარვარ. თუ ეს რომანები წარმატებული გამოვიდა, უპირველეს ყოვლისა ჩემი მკითხველების, ჩემი სულიერი ოჯახის წევრების დამსახურებაა.

ჩვენ ხომ საკუთარ ოჯახებს, კერძან მოცილებული ხალხი ვართ და ქართულად მოსაუბრე და ქართულად მკითხველი საზოგადოება შევკვრიბა ჟურნალმა „მამულმა“ და მისი მეოხებით აქ, ამ უცხოეთში ვზოვეთ ზატარა იმიტაცია იმ დიდი გრძნობისა, იმ დიდი სულიერი აღმაფრენისა, რასაც მამული, მამულის სიყვარული და მამულიშვილობა ჰქვია. ამიტომ, თავს უფლებას ვაძლევი, ვეველა მათგანს, ამ სულიერი ოჯახის წევრებს მივულოცო ჟურნალ „მამულის“ ათწლოვანი იუბილე და შემოგთავახოთ საიუბილეო, მოკრძალებული ნომერი.

A handwritten signature in blue ink, appearing to be the name of the author, written in a cursive style.

ჩხიბ ხომ ისედაც დიდი სახელით ვსარგებლობთ ჩვენს მამულში?!

აი, მაგალითად, აკაკის... რას შეჰმატებდა მას ნობელის პრემია?

პრინციპულად არაფერს! პრაქტიკულად კი ამ პრემიით ვალებს გაისტუმრებდა, რაღაც ნაწილს ალექსის გაუგზავნიდა, რაღაც ნაწილს კი ბანქოს თამაშში „დაამღერებდა“ და ისევ საწყის მღვდომარეობას დაუბრუნდებოდა, ე.ი. პრემიამდელ მღვდომარეობას.



„რად უწოდებენ საქართველოს მგოსანთა მხარეს? მის მთებს და ჭალებს, უღრან ტყეებს, ლამაზ ხეობებს, მის ძველ ნანგრევებს, ცინე-კოშკებს, შემოგარეებს, მის ჭირითობას, ბურთაობას, ხალხურ დღეობებს უძველეს ხნიდან პოეზია სდევდა ზეპირი (აღრე სანამდის შეუწყვარდა ხალხს პერგამენტი), მძღავრი, ვით ქარი, ნაზი - როგორც მთების ზეფირი; ომის დრო იყო, თუ უღრუბლო იყო ამინდი“
ბალაქტიონ ტაბიძე („საშუბარი ლირიკის შესახებ“)

**რედაქტორის
სათქმელი**

რად გვინდა ქართველებს ნობელის პრემია?!



აკაკი პრემიითაც და უპრემიოდაც აკაკი დარჩებოდა - ჩიტივით თავისუფალი კაცი, რომელსაც სამშობლოსა და პოეზიის გარდა არაფერი დედამიწის ზურგზე არ აწუხებდა. აკაკისადმი სიყვარული და თავანისცემა ოდნავადაც არ მოიმატებდა, არც მოიკლებდა პრემიას თუ მიანიჭებდნენ, უბრალოდ იქნებოდა ერთი პირველთაგანი, რომელსაც დაავჯილდოვებდნენ და ერთი მრავალთაგანი, რომელსაც ოდესმე ვინმეგან რაიმე ჯილდო მიუღია.

აკაკი სწორედ ის კაცია, რომელმაც უარი თქვა ნობელის პრემიაზე, და საერთოდ, ის სათავყვანებელი მგოსანია აკაკი, რომელსაც თავისი მისიისა და დანიშნულების პირნათლად შესრულების სანაცვლოდ არანაირი ჯილდო და პრემია არ მიუღია, გარდა ხალხის უსაზღვრო სიყვარულისა. აკაკი პრემიითაც და უპრემიოდაც ის აკაკი დარჩებოდა, რომელმაც მთელს თავის ეპოქაზე და მომდევნო თაობებზეც წარუშლელი კვალი დატოვა, - კვალი სასიკეთო, კვალი საამაყო. აკაკი არ იქნებოდა მედიდური, პრემია რომ მიეღო, პირიქით თვით ნობელის პრემიას დაამშვენებდა მისი სახელი, და არა პირიქით. სწორედ ამისთვის სთავაზობდნენ პრემიას აკაკისაც და ლევ ტოლსტოისაც. ერთმაც უარი თქვა და მეორემაც, თუმც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. აკაკი პრემიითაც და უპრემიოდაც დაწერდა თავის შედეგებს, შემდეგ რომ ხალხი თავისდაუნებურად დაიდიდინებდა და მერე გიტარაზე დაამღერებდა, დაბოლოს, საქართველოს სიმბოლოდ გადაიქცეოდა ყველაფერთან ერთად - „კა-ფირეუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო,

სნეული დაგბრუნებულვარ, მკურნალად შემეყარეო, ვერ ავიტანე ობლობა, სისხლის ცრემლები ვღვარეო, წამდლია სულმა და გულმა, შენს ნახვას დავეჩქარეო.“
„უკეთესად ვინ იმღერებდა - „ისევ შენ და ისევ შენ, ჩემო ციცინათელა, სხვებს ბნელშიაც უნათებ, მე კი დღევ არ მარგიხარ...“
თითქოს ენაზე გადვას სათქმელად, წვალობ, წვალობ და ვერ ამბობ, აქ კი ყველაფერი ერთი სრული ამოსუნთქვაა. ვერ იტყვი, თუ აკაკის შედეგები ღამისთევითა და ტვინის ჭყლეტათა შედეგია. გადაფურცლავ. წაიკითხავ. გულს ესაიმება, ჩაგრება გონებაში, მერე ნაბახუსევზე გაგახსენდება ის ჰაეროვნება და დაამღერებ ჰანგებად. იფიქრებ, ასევე ჰაეროვნად დაიბადაო ეს პოეზია. კარგია, თუ ასე იფიქრებ, და ამ ფიქრს თუ იმ ფიქრსაც დააყოლებ, რომ რა მოგებას ნახავდა ან აკაკი, ან საქართველო ნობელის პრემიით, პასუხს ასევე ჰაეროვანი სისწრაფით იპოვი - ერთი სათქმელით მეტი გვექნებოდა ურა-პატრიოტებს, არც მეტი და არც ნაკლები.
ან გალაკტიონს რისთვის დასჭირდებოდა ნობელის პრემია?
მის სახელს არაფერს შემატებდა და არც მოაკლებდა! როგორი შეუცნობელიც იყო, ისეთივე დარჩებოდა. გალაკტიონისთვის ნობელის პრემია იქნებოდა ერთი გადაბმული თავდავიწყება, უცნაურობამდელ მიტანილი პოეტური აღმაფრენა, თორემ გალაკტიონს ლენინის ორდენიც კი მიანიჭეს, მაგრამ ერთ-ერთ მარტოსულობის დღე-

სასწაულზე მიაკარგა და მერე ისევ გამოუგზავნეს ახალი.
ასეთ კაცს რაში დასჭირდებოდა ნობელის პრემია?! იმასაც ისევე დაკარგავდა, როგორც ლენინის ორდენს. ერთს თუ გაუკეთებდა ეს ჯილდო პოეტს, იმას, რომ ევროპაში უკეთესად გადათარგმნიდნენ და უფრო მეტად მიაქცევდნენ ყურადღებას მას თუ არა, მის შემოქმედებას მაინც. სახელ-დიდებით კი გალაკტიონი მაინც გალაკტიონად დარჩებოდა. მაინც გალაკტიონურად შექმნიდა შედეგებს - „შეშლილი სახეების ჩინჩხიანი ტყეებით, უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან! სიზმარიან ჩვენებით, ჩემი ლურჯა ცხენებით ჩემთან მოესვენებით, ყველანი აქ არიან!“
„უფრო საუცხოოდ პრემია ვერ ათქმევინებდა გალაკტიონს - „და როცა ბელით დაწვევილი გზაზე, სიკვდილის ლანდი მომეჩვენება, განსასვენებელ ზიარებაზე ჩემთან არ მოვა შენი ხსენება! დავიკრეფ ხელებს და გრივალვით გამაქანებენ სწრაფი ცხენები! ღამენათივი და ნამთვრალევი ჩემს სამარეში ჩავესვენები.“
რომელი პრემია და ჯილდო შეცვლიდა გალაკტიონს, რას შემატებდა მის აზროვნებას, ან რა ზიზილ-პიპილოები გადაუბრუნებდა ტვინს, რომ არ ეთქვა, ამოეთქვა, აღმოხდებოდა ლოცვა ნუგეშსაცემად მარად საყვარელთა მიმართ, ის მარადსაყვარელნი, - მის ცნობიერებაში რომ დარჩა საბუნდ-

მოდ და ამოუთქმელად -

„ზანდა უნდობარმა, ვზა რომ შეელება უხვად მოიტანა სისხლი და ცხვლები, მძაფრი ქარტეხილი მას ნუ შეეხება, მზეო თიბათვისა, ამას გვედრები.“

რა ჯილდო უნდა მისცე ამის დამწერს, თუ არა უსაზღვრო სიყვარული?!

აღარაფერს ვამბობ ვაჟა-ფშაველასზე!

სად უნდა დაეკიდებინა ნობელის პრემიის მედალიონი?!

ან ვისთან უნდა მოეწონებინა თავი?!

ან რაში სჭირდებოდა ვაჟას ვინმესთან თავის მოწონება?!

აი, ნობელის პრემიას ნამდვილად დამეწინებოდა აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის სახელები!

უდიდესი პატივი იქნებოდა ნობელის კომიტეტისთვის ილიას სახელის დაკავშირება ალფრედ ნობელის ანდერძის აღსრულებასთან. რაც ავტორიტეტი მას ამჟამად აქვს, ერთი ასად მეტი ექნებოდა იმიტომ, რომ ამ ავტორიტეტს ქართველ მამულიშვილთა საკმაოდ საპატივცემულო სახელები შემატებდნენ.

ჩვენთვის ბევრი არაფრის მთქმელია პირველ ნობელიანთა სახელები, თუ სპეციალურად არ გაეცნობი მათ ნაწარმოებებს ისე, როგორც ნობელიანტების შემოქმედებას. თუ არა ლიტერატურათმცოდნეთა სპეციალური დაინტერესება, მასობრივი მკითხველისთვის უცნობი სახელებია რენე სიულლი-პრიუდომის, თეოდორ მომზენის, ბიორნსტერნე ბიორნსონის, ფრედერიკ მისეტრალის, ზოსე-მარია ვალდო ეჩეგარაი-იეისაგირესის. სამაგიეროდ დედამიწის ნებისმიერმა დიდმა და პატარამ იცის ჯოზეფ-ფრედერიკ კიპლინგის, მორის მეტერლინკის, რაბინდრანათ თაგორის, რომენ როლანის, ანატოლ ფრანსის, ჯორჯ ბერნარდ შოუს, თომას მანის, ჯონ გოლზუორთის და სხვათა სახელები.

რომელ განმტოებაში ჩაჯდებოდა ჩვენი დიდი კაცების სახელები? პირველ ჩამონათვალში, რომელიც იწყება, რომ ნობელის პრემია მიეკუთვნა ამა და ამ ხალხსო, თუ იმ ჩამონათვალს, სადაც ნობელის პრემია ზედნადებია და მკითხველი ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევს, რომ მათ მიანიჭეს ეს ჯილდო (ამ შემთხვევაში აუცილებელია განსაკუთრებით გამოვეყო „ც“ ნაწილაკი).

ძნელი სათქმელია, რადგან ქართველებს ნობელიანტობის გემო არ გვისინჯია. ისე კი, ნობელიანად თუ უნობელიანადც დიდად საფიცარი პოეტები გვყავს.

თავ-თავიანთ სამშობლოებში შეიძლება ნაკლებად იცნობდნენ მამა-შვილ მისტრალეზის, იუჯინ ონილის, ერიკ კარლფელდტის შემოქმედებას და მოღვაწეობას, საქართველოში კი სახეზე ცნობდნენ გოგლა ლეონიძეს, ტიცაინსა და პალოს, ლადო ასათიანს, ეამაყებოდათ მათთან გატარებული დრო,

ზეპირად იცოდნენ მათი ყველაზე უხვი-რო ლექსიცი კი, აღარაფერს ვამბობ შედეგებზე. სახელებით მოიხსენიებდნენ მათ, რადგან გვარი მხოლოდ ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება იყო, თორემ აკაკიც, ილიაც, ვაჟაც, გალაკტიონიც, ტიცაინიც, პალოც ერთნი იყვნენ და ამ სახელებზე გვარის დამატება ზედმეტია.

თუ არა ცნობისმოყვარეობა, სხვა რაა ვაჟა-ფშაველასა და ლუკა რაზიკაშვილის იდენტიფიკაცია, ის ვაჟაა, და მეტის ცოდნა არ არის აუცილებელი, მთავარია იცოდე ვაჟას ქულის ზგამიადი. რელიქვიად ინახავენ ქართველ მამულიშვილებთან თუ იღეს-მე ფოტო გადაუღიათ მამა-პაპებს, დიდი პოეტების მიერ ნაჩუქარ წიგნებს საკუთარივე ავტოგრაფით, ან სულაც პატარა ნაგლეჯ ფურცლებს ლექსდანაწერს, ან წერილებს. ეს სხვა ქვეყნებში შეუფასებელი ნაჩუქრებია, ჩვენში კი განსაკუთრებით.

ასე მაგალითად, რომელი ნობელის პრემია შეედრება ფრანგისთვის ბალზაკის, გერმანელისთვის შილერის, ინგლისელისთვის შექსპირის, რუსისთვის პუშკინის, ესპანელიისთვის უნამუნოს, იტალიელიისთვის კარდუჩის, ამერიკელიისთვის მარკ ტვენის მიერ სასაჩუქრო წარწერით მიძღვნილ წიგნს, რომელიც საოჯახო სიწმინდე ითვლება ყველა მომდევნო თაობისთვის. ჩვენშიც ხელუხლებელ განმად ითვლება ოჯახურ ბიბლიოთეკებში შემონახული ილიასეული, აკაკისეული, ვაჟასეული სასაჩუქრო წარწერებიაწი წიგნები. ეს ბუნებრივია, მაგრამ ქართული ბუნება ქართველ პოეტს მინც განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოში სხვადასხვა ერები თავ-თავიანთ თანამემამულე პოეტებს.

ჩვენში „სულიკო“ ქართულად იმდერება და ისე იმდერება, რომ მთელ მსოფლიოში „სულიკოს“ „გატეხილი“ ქართულით, მაგრამ მინც ქართული სიტყვებით ძღერინ, ძღერინ იმდომ, რომ იციან, რასაც ძღერინ, და მიტომ. სხვა შემთხვევაში მხოლოდ თარგმანები იქნებოდა საჭირო. და ისეა მორგებული ქართული პოეტიკა მუსიკას, რომ იმ პირველქმნილის სისპეტაკე და სილამაზე იკარგება თარგმანში. ამიტომ თარგმნიან ნაკლებად ქართველებს.

რუსი, მაგალითისთვის, იმდერებდა „Я твою могилу искал“. ამით საგსებით გააუფერულებდა ლექსის ქართულ იდუმალეზას. აქ სასაფლაოზე, აკლამაზე, ნეკროპოლისზე არაა საუბარი. სწორედ რომ სიტყვა „могила“ ამბიბებს პოეზიას იმდენად, რომ პროზაულ თქმამი გადადის პოეტური აღმადრენა „მე შენს საფლავს ვეძებდიო“, - ასეა გადარუსულებული გადმოქართულებულიად, - და ასე გვონია ლექსი: ხარ სასაფლაოზე და ვერ ნახულობ ვილაცის საფლავს. არადა, სწორედ ეს არაა ამ

ლექსში ნათქვამი. სასაფლაო და საფლაო-ვი რაღაც ასპექტში ერთი და იგივე ცნებებია (ერთი კრებითია, მეორე კონკრეტული), მაგრამ პოეზია რისი პოეზიაა და მით უმეტეს ქართული: აი, როგორ უცვალა ფერი, ნირი და ზნე, მკაცრ სიტყვას სხვა, მეტმა თბილმა და არანაკლებ იდუმალმა სიტყვამ - „საყვარლის საფლავს ვეძებდიო“ - თუ არა, „შენს საფლავს ვეძებდიო“ - კი არა... ამ სიტყვაში („საყვარლის“) ავანტიურაა ჟინის მომცემი. აბა სცადე და მეტი უკეთესად თქვი მთელი სიღრმე იდუმალეზის, და უფრო მეტად, იმდერე, და თანაც ისე იმდერე, რომ სხვაც მიახვედრო რას მღერი და ის სხვაც ამდერო ისე, რომ ბაბილონური ცოდვა წამალო ენათა აღრევის და იმ საწყისში მიხვიდე, შენ და ის უცხოელიც, ბაბილონის გოდოლამდე რომ იყავით აღურეველნი.

რად უნდა ამას ნობელის პრემია, ეს ხომ დამცირება იქნებოდა ქართველი ერის?!

„ის არ მოემწყვდა პიროვნულ და ინტიმურ სფეროს, ის ასახავდა უურთულესს, უღრმესს საეროს

...

აი, რად უყვართ საქართველო მსოფლიო ქნარებს, რად უწოდებენ საქართველოს მგოსანთა მხარეს!“

მაგალითები?! უამრავია!!!
ლეგენდები?!

კიდევ უფრო მეტი!.. და აი, -

ალფრედ ნობელს ქალი ჰყვარებია (...)
ნამეტნავად. მიმოიარა ბაქო, ბათიმი... თავისი ქარხნები ჰქონდა ამიერკავკასიაში. ცდებს ატარებდა, იგონებდა, თუ გამოიგონებდა, ეს სხვა საკითხია. ერთის სიტყვით, მან დიდძალი კაპიტალი დააგროვა რუსეთის იმპერიაში. დააბანდა ევროპის ბანკებში თავისი და მამამისის მონაპოვარი. ქალი კი თურმე სხვას ყვარობდა. ვერ მოიხიბლა ნობელის ფულებით. თურმე ვილაც საშუალო დონის მათემატიკოსი ანაცვალა მსოფლიო მნიშვნელობის ფიზიკოსსა და ქიმიკოსს.

გაბრაზებულია ნობელი, მართალია, ყუმბარებით არ შევარდნია სახლში გულის მურაზს. ერთი უცნაური რამ შურისძიება გამოიგონა (გამოგონებაში ნობელს ბადალი არ ჰყავდა): მთელი სიცოცხლე ყოველი მხრიდან მოედინებოდა დაბანდებული კაპიტალი და ჰონორარის საუცხოოდ ასტრონომიული ციფრები და ყველა ერთად იყრიდა თავს ნობელის ფინანსურ იმპერიაში. ჰოდა, სიცოცხლის ბოლოს, როგორც ყველა მოკვდავი, ისე მანაც დაწერა ანდერძი. და სწორედ ამ ანდერძით მან მთელი თავისი ავლა-დიდება ასევე მასავით დიდ ადამიანებს უანდერძა პრემიის სახით, რომელიც მაშინდელ დროშიც და მითუმეტეს

ახლაც დიდ თანხას წარმოადგენს. პრემიას ნობელის ანდერძით აღლევდნენ ქიმიის, ფიზიკისა და ფიზიოლოგიის (მედიცინის) დარგებში, ასევე ლიტერატურასა და ზოგადად მშვიდობისათვის (პრემია ეძლევათ მხოლოდ სიცოცხლეში).

ასე მიიღეს ნობელის პრემია ვილჰელმ რენტგენმა, პიერ და მარია კიურიმ, ალბერტ აინშტაინმა, ნილს ბორმა, გუსტავ ჰერცმა, ენრიკო ფერმი, ლევ ლანდაუმი, პეტრე კაპიციამ, ერნესტ რეზერფორდმა, რიჰარდ კუნმა, ივანე პავლოვმა, რობერტ კოხმა, ილია მეჩნიკოვმა, თომას მორგანმა, ალექსანდრ ფლემინგმა, ჰანს კრესმა, მილტონ ფრედმენმა, არტურ ლუისმა, ჯორჯ სტიველერმა, ჯონ ნეშმა, გენტიის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტმა, თეოდორ რუზველტმა, მშვიდობის დაცვის საერთაშორისო კომიტეტმა, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა, თომას-ჟუდრო ვილსონმა, ნანსენის ლტოლვილთა ფონდმა, ანდრია სახაროვმა, საერთაშორისო ამნისტიამ, ჰენრი კისინჯერმა, დედა ტერეზამ, მე-14 დაჯილდამამ, მიხეილ გორბაჩოვმა და სხვებმა, და სხვებმა, და სხვებმა.

ანდერძში კატეგორიული მოთხოვნა იყო, რომ არავითარ შემთხვევაში ნობელის პრემია არ მიანიჭებოდა მათემატიკოსებს. 1969 წლიდან ნობელის კომიტეტმა დაუშვა პრემიის გაცემა ეკონომიკის დარგში განსაკუთრებული ღვაწლისთვის, თითქოს მიახლოებული მათემატიკასთან, მაგრამ არა-მათემატიკოსებს.

უნიკალური გათვლა გააკეთა ნობელმაც, მისმა გულის მურაზმაც და იმ მათემატიკოსმაც. ეს არის ის შემთხვევა - „მოიხფროსი“, „გაეძეხისი“ და „მამასადამისი“. ცხოვრება ისეთი რამაა, რომ უნდა გაიმარჯვო ცხოვრებაზე კი არა, ცხოვრებაში. სწორედ ცხოვრებაში გაიმარჯვა იმ მათემატიკოსმაც და გულის მურაზმაც მისმა. ცხოვრებაზე კი ნობელმა გაიმარჯვა. რაღაც მიმზიდველი და პოეტური რომანტიკა იმ გულისმურაზის არჩევანში, არათუ მათემატიკური გათვლებით, არამედ გრძობებით ნახელმძღვანელები. გრძობა პოეზიას წარმოშობს და პოეზია სასწაულებს. ნობელმა პრაგმატული თვალთ შეხედა ამ საკითხს, თორემ...

მაშ, გაუმარჯოს ყველა დროის მათემატიკოსს, რომლებიც არ ელოდებიან ნობელის პრემიას და მაინც თავიანთ ანგარიშებში არიან გადავარდნილნი და ახალ-ახალ ფორმულებს იყვანენ, ამავე დროს თხოულობენ და უყვართ ცოლები, არ არიან ნობელის იმედად, არჩენენ ოჯახს და ცხოვრებაც ასე თუ ისე სიამტკბილობით მიდის.

იმასაც ამბობენ, რომ ეს მათემატიკოსი ქართველი იყო. გამართლება ამით უპოვეს, ნობელის კომიტეტი რომ არ წყალობს ქართველებს. ქართველებს კი, თუ ის ფინთ,

გრძნობით, გონებით, უპირველესად სისხლით ქართველია, არ სჭირდება ნობელის პრემია. ვისთვისაც ნობელიანტობა უდიდესი ავტორიტეტია და ავ-კარგიანობის სასწორი, იმათმა ელოდონ ამაღ გარდასახვას, ერთხელ კი არა, ათასჯერ წარადგინონ თავიანთი კანდიდატურები პრემიის მოსაპოვებლად.

მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ის მათემატიკოსი მართლაც ქართველი იქნებოდა, რადგან ისე მოინადირა მან იმ ქალის გული, რომ იმ გულის მურაზმა არაფრად ჩააგლო ნობელის ფულები. თვითონ იმ მათემატიკოსმა აჯობა ცხოვრებაშიც და ცხოვრების მერეც ნობელსაც, მის პრემიასაც და მისი პრემიის ყველა მფლობელს დღესამომდეც და დღეის მერეც.

გაუმარჯოს იმ მათემატიკოსს, საშუალო დონის მათემატიკოსს, რომელმაც ყველაზე დიდი ფორმულა აღმოაჩინა საკაცობრიო მოძრაობაში - გრძობის ფორმულა, სიყვარული რომ ჰქვია სახელად.

გაუმარჯოს კაცს, დიდ კაცს, რომელმაც უარი თქვა ნობელის პრემიაზე და თავი არ დაივალდებულა დიდი მეცნიერის სულის წინაშე.

გაუმარჯოს აკაკის, არამარტო თავისი ლექსებით, არამარტო თავისი მსოფმხედველობით, არამედ თავისი კაცობით, თავისი ვალებით, თავისი მიუსაფრობით, თავისი მარტოსულობით; კაცს, რომელსაც შეძლო დარჩენილი ცხოვრება ტკბილად ეცხოვრა და მან მაინც თავისი თავისუფლება არჩია ყველა დროის უდიდეს და სახელგანთქმულ ნობელის პრემიას.

პოეზიისადმი მიდგომა

უნდა ითქვას, რომ ნობელის პრემია ვერ იქნება პოეზიის მსაჯული და იგი ვერ გამოდგება პოეტთა გადახარისხების სასწორად. რა თქმა უნდა, ნობელის პრემია ბევრმა დიდმა პოეტმა მიიღო და სრულიად დამსახურებულად, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერი ამით იწყება და ამითვე თავდება.

დიახ, ეს პრემია მიიღეს ფრედერიკ და გაბრიელა მისტრალემა, ანდრე ჟიდმა, თომას სტერნზ ელიოტმა, ბორის პასტერნაკმა, ხუან ხომენესმა, სალვატორე კვაზიმოდომი, იოსიფ ბროდსკიმ და სხვებმა. ყველაფერი ეს კარგი, მაგრამ ნამდვილი პოეზია მაინც ყველაფერ ამის მიღმაა. აი, დავუგდოთ ყური გალაკტიონს, მივაღწეოთ აზრი აზრს მისი მოსაზრების შესაბამისად, ჩამოვსნათ სოც. იდეოლოგიური ნიღაბი და რეალურად დავინახავთ არათუ წარსულს, არამედ აწმყოსაც და მომავალსაც. ციტატად არ მოვიტან წინა ტაეპს, სადაც საუბარია გალაკტიონის პარიზში მწერალთა მსოფლიო კონგრესზე (1935წ.) ვიზიტზე, იმ პერიოდში, - ამბობს პოეტი, - საფრან-



ილია



აკაკი



კახი



გალაკტიონი



გრიგოლ რობაქიძე

გეთის აკადემიას სამასი წელი შეუსრულდაო. შემდეგ კი ციტატა -

„მაგრამ მე ფრანგი პოეტები არ მეცოდება, წმიდა ფრანგული მოწიწებით ეძლევა ოდეს, აკადემიის წევრს უკვდავის სახელწოდება და მომაკვდავის უბრალონი - ბალზაკს და დოდეს. არც მოპასანი, არც ფლობერი, არც მოლიერი, უკვდავთა შორის არ იქნება დაფნით მავალი სამაგიეროდ იქ ჰერცოგი შედის ძლიერი, დე-რიშელი, კარდინალთა შთამომავალი.“

მერე მოსაზრებაა ჩამოყალიბებული არათუ იდეოლოგიური, არამედ ცხოვრებისეული დრამატიზმით საკვს -

„ის რიგიანად თუ ვერ დაწერს უბრალო წერილს, არის სიმბოლო საფრანგეთის ძველი დიდების, აქ ხმის მქონე დუმს გოცებით, უხმო კი მღერის თავდავიწყებით, ხრინწიანად, გაბედიტებით. კათოლიკეებს, ფეოდალებს, სარდლებს, პრელატებს იმ დარბაზებში ვერვინ ეტყვის „დაფნა ჩემია“, ძალმომრეობის და დაცინვის ფერადებს მატებს ესლაც, წინათაც ამნაირი აკადემია.“ ვიდაც იტყვის - „საბჭოეთში უკეთესი აკადემია იყო?“!

მაგრამ პოეზია ისაა, რაც საბჭოეთით არაა შემოფარგლული და იგი, სადღეისოდაც დასაზურავი წიგნი არაა. გალაკტიონმა საფრანგეთზე თქვა, მე საბჭოეთით შევცვალე საფრანგეთი, შენ საქართველოთი შევცვალე საფრანგეთი, მან ამერიკით შევცვალე საქართველო. აქ მთავარი გეოგრაფიული კი არა, სტრუქტურული და ადმინისტრაციული მიდგომაა საკითხ-პრობლემისადმი. სოც. იდეოლოგია მასში ისაა მხოლოდ, რომ საფრანგეთი საბჭოეთისთვის ამ სტრიქონების დაწერის დროს კაპიტალისტურ სამყაროდ ითვლებოდა და ქვეტექსტი მისი იყო ის, რომ აი, როგორ არ აფასებენ დიდ კაცებს კაპიტალისტურ სამყაროში.

ვითომ უკეთესი იყო საბჭოეთში? ან სადღეიოდ შეიცვალა რამე?

უფრო პირიქით, გაუარესდა და მეტი სიმძაფრე და აქტუალობა მიიღო ამ სტრიქონებმა ჩვენთვის, ვიდრე ფრანგებისთვის. იგავ-არაკი აბა სხვა არაფერი, თუ არა „ვწერ ერთზე, ვგულისხმობ მეორეზე“. ამ

პრინციპით უნდა მივუდგეთ საკითხს.

პოეზია კი აკადემიებით და პრემიებით რომ არ განისაზღვრება, ამაზე ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევთანხმდეთ. შეფასება და მიდგომა პოეტის სრული შემოქმედებისა ყოფილა და არის მკითხველი, ნოვატორული იქნება პოეზია, თუ ტრადიციული, ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. პოეზიისადმი მიდგომა მაინც და უმთავრესად ხალხური მიდგომა და სახალხო გემოვნება-განწყობილების ამსახველია. ტრადიცია ამ შემთხვევაში გემოვნების კატალიზატორია, სხვა საკითხია ეპოქის მოთხოვნები, მისი მაჯისცემა და ესთეტიკური არსი, რომელსაც პოეზია თავის სახადს უხდის, რადგან ამ სახადის ხარჯზე სხვა უფრო მნიშვნელოვანი მარადიული ღირებულება ეძიოს და ჰპოვოს - მარადისობის საკურონველზე ეპოქის მაჯისცემა დააფიქსიროს. და ისევ კონკრეტდება მარადიულობის განფენილობაზე კონკრეტული სახელები. შესაძლოა დრომ ჩაყვას პოს პოეტის მნიშვნელობა, მარადისობა სრულად აღადგენს მას საწყისში და სულ სხვა კრიტერიუმებით შეაფასებს, გადააფასებს და დააფასებს ყველას. ის კრიტერიუმი არათუ ზომა, ან რითმა, ან თუ იდეა და აზრია პოეტის, იქ რაღაც სხვაა უფრო ღრმა და ძლიერი, ვიდრე თუნდაც ლექსწყობის საუცხოო მელოდიკით შექმნილი პოეტური ქმნილება, ან ლექსწყობის კანონების უგულვებლყოფით ახალი პოეტიკის შექმნა. მთავარი იქნება ის, რაც არასდროს არ იცვლება, ის რაც ყოველთვის ღირებული და ფასეულია ყველა დროში. ზომაც და უზომობაც, რითმაც და ურითმობაც, იდეაც და უიდეობაც, მაგრამ ყველა დროის საწუკვარი ღირებულება ხალხის პოეტური შთაგონებაა, ხოლო რა მეთოდებით შეასხამს ფრთებს ესა თუ ის პოეტი თავის მუხას, ეს მის ესთეტიკურ გემოვნებასა და ეპოქის მოთხოვნილებასა დამოკიდებულია.

ასე მაგალითად, ქართულ აზროვნებასა და მეტყველებაში ილია და აკაკი გაიგივებულნი არიან როგორც თანამოაზრეობად და ერთ მთლიან ძალად. სინამდვილეში კი, ორთავე ერთმანეთისგან დიამეტრალურად განსხვავებულ პოლუსებზე იდგნენ, მაგრამ ერთი იყო მათი საზრუნავი - საქართველო. ილია პუბლიცისტი იყო, ბანკირი, ეკონომისტი და ა.შ., აკაკი - პოეტი. მათი მსოფმხედველობაც ასე თუ ისე განსხვავდებოდა, მაგრამ საქართველოსთან მიმართებაში, როდესაც პრინციპულად იდგა საკითხი, არათუ ილია და აკაკი, მთელი თერგდალეულობა ერთ მუშტად იყო შეკრული. თუნდაც პოეზიის დანიშნულებაში განსხვავდებოდა ილიასა და აკაკის მოსაზრებები, მაგრამ ხალხმა ისინი პირველკაცებად გამოარჩია სწორედ რომ ორ-

თავე ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ინტერესის მამულიშვილები. ილიას პოეტად მოიხსენიებენ, თუმცადა თავის შემოქმედებაში რაოდენობრივად ყველაზე ნაკლებად პოეზიაში მუშაობდა იგი. მაგრამ რიცხოვნობა ხომ არაა შთაბეჭდილების შექმნის განმსაზღვრელი. ილიას პოეზია თავისი სტრუქტურით, სიტყვიერი მასალით, შინაარსით, იდეით ფილოსოფიური ასპექტითაა გადაწყვეტილი და მას როგორც ჰაეროვან პოეზიას ვერ შეხედავ, აქაც სრული ანტიპოლია აკაკი ილიასი. ილია თუ ამბობს:

„მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო, ვით ფრინველმა ვარგვანმა, არამარტო ტკბილ ხმებისთვის გამოძვზავნა ქვეყნად ცამა. მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის-მიწიერი ზეციერსა, ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა.“ აკაკი პასუხობს და ესიტყვება - „ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი, ხან არც ესა ვარ, არც ისა, გარემოების საყვირი, არც მიწისა ვარ, არც ცისა, ნუ მკითხავ, მნახო უგნურად, ნურც გაიკვირებ ბრძნობასა: სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი ამ ჩემს გონება-გრძნობასა.“

ილიას თუ პირდაპირ აქვს დაყენებული - „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის“, აკაკი თავის თავს შუაკაცად მიიჩნევს მიწიერობასა და ზეციურს შორის.

ილიასთან ერის ხელმწიფების კურონვევაა, აკაკისთან არაა ხელმწიფების ნიშანწყალი, პირიქით, იგი ამბობს, რომ „სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი“. აქ ილიასთვისაც და აკაკისთვისაც უფრო მეტია პოეტი, ვიდრე ლექსების დამწერი, ვიდრე მათემატიკური განგარიშებით ზომებში ჩამჯდარი ტკბილხმოვანების შემქმნელი. ჩვენში პოეტი ერის სულიერი წინამძღოლი იყო. ამიტომ კლავდნენ ილიას, აბატიმრებდნენ აკაკის, სიგიჟემდე მიჰყავდათ გალაკტიონი, გაუთვინცობიერებლობაში გადაანაცვლეს ტიციანი და პაოლო, ვაჟას სუნთქვა შეეკრა...

და მაინც, ჩვენში პოეზია არ არის ლამაზად წარმოთქმული ტაეპები და სიყვები. და მართებულადაც შენიშნავს გალაკტიონი:

„ესლა კი ჩემთვის ნათელია, თუ ივერის მცირეზე მცირე, რიცხობრივად პატარა ერი მარად ყოველმხრივ შემორტყმული უამრავ მტერთი, მაინც გადარჩა, და გადარჩა ის, როგორც ერი, - აქ პოეზია იყო მისი შემჭიდროვება,

ანკარა წყარო, მომჩქვერე
 იმ ხალხის გულით,
 მის სასიცოცხლო ძალთა-ძალაა
 და საზრდოება,
 აი, ლირიკა, მთელი მისი
 დიდი წარსულით“.

თუნდაც, მაგალითისთვის ავიღოთ ხალხური ეპოსის ერთი უმნიშვნელოვანესი და საუცხოო ნიმუში „ვეფხისტყაოსნის ბალადა“. უპირველეს ყოვლისა უნდა დაისვას კითხვა -

სად ვლინდება ერის სახე და მორალი?
 და სადაა პოეზია, მარტოდენ თხრობაში, თუ თხრობის მიღმა?

ვეფხისტყაოსნის საბედისწერო შებმა ამ ნაწარმოებში არის წინარეისტორია ადამიანის სულიერების სიდიდერების წარმოსაჩენად, იგი ფონია, რათა ქართველი დედის სახისმეტყველება წარმოაჩინოს. გლოვაც გლოვაა, მაგრამ პოეზიამ ზნეობა წარმოაჩინა, ერის სახედ რომ იქცა. პოეზია აქ ისეთ სულიერ სიმაღლეზე ადის, რომ ძნელია პირველყოვლისა სრულად გაისივრებოდნო, შეითვისო და ეს სახე მარადი-სახედ აქციო. დედა ამბობს თავის გლოვაში -

„იქნება ვეფხის დედა,
 ჩემზე მწარედა სტირისა“.

აქ უკვე უნდა გაჩუმდეს და პოეზია თავად მოვა შენთან, რადგან პოეზია ზნეობრივია, მაგრამ მართალი პოეზია ზნემრთელია და იქვე ამბობს დედა -

„წავიდე, მეც იქ მივიდე,
 სამხიძარ ვუთხრა ჳირისაო“.

მთელი ბალადა ამისთვის იწერებოდა, პოეზიაც, მორალიც და ერის სახეც ამ დედაში განისვენებს. სწორედ რომ პოეზიაა ის ძალა, ეროვნული ძალა, რომელიც ერს აკეთილშობილებს და იგი არაა მარტოდენ რითმაში მოყვანილი ტაეპების წყება. პოეზია უპირველეს ყოვლისა თვით პოეტია, პოეტი, რომელიც თავისი დაწერილის შესაბამისად ცხოვრობს და მაგალითს უჩვენებს მკითხველს. მკითხველი პოეტის და პოეზიის ბარომეტრია. ვინ, თუ არა მკითხველმა იცის საუკეთესოდ პოეტის ესა თუ ის ნაწარმოები გულის კარნახითა დაწერილი, თუ ზედაპირული სიტყვიერი მასალაა, ასე ვთქვათ, სპეცფექტების მოსახდენად. ამასვე მოუწოდებს გალაკტიონი ყველა პოეტს, რომ „უნდა შეეძლოსო სიტყვას მისცეს გრძნობის მახვილიო“, შემდეგ კი დასძენს:

„ლექსებში ზშირად ყველაფერი
 თავის რიგზეა,
 სახე და ფორმა, რითმაც
 თითქოს საკმარისია,
 მხოლოდ ერთი რამ არის ცუდი:
 ყოველი წესით
 თითქოს ლექსია, მაგრამ მაინც
 არ არის ლექსი“.

და ეს იმიტომ, რომ პოეტი ზოგ, ან თუ ზშირ შემთხვევებში გულწრფელი არაა იმიტომ, რომ მისი ცხოვრება განსხვავდება მისი ლექსებისგან. ამის შესახებ ამბობს იესო ქრისტე:

„ხოლო თქვენ ნუ იწოდებით რაბბი, რამეთუ ერთი არს მოძღუარი თქვენი - ქრისტე, ხოლო თქვენ ყოველნი ძმანი ხართ. და მამით ნუვის ხადით ქუეყანასა ზედა, რამეთუ ერთი არს მამაი თქვენი, რომელ არს ცათა შინა. ნუცა გერქუმინ თქვენ წინამძღუარ, რამეთუ ერთ არს წინამძღუარი თქვენი - ქრისტე, ხოლო უდიდესი თქვენი იყავნ თქუენდა მსახური. ხოლო რომელმან აღიძალოს თავი თვისი, დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, ამაღლდეს. ვაი თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისევლნო ორგულნო, რამეთუ შესჭამთ სახლებსა ქურივთასა და მიზეზით განგრძობილად ილოცვიდით. ამისთვის მიიღოთ უმეტესი სასჯელი“.

სწორედ ქრისტეს სიტყვების ნიშანსვეტია ნიკო სამადაშვილის ერთი პატარა პოეტური ქმნილება, რომლითაც პოეტის საკრალობაა წარმოჩენილი, რათა ლექსი და პოეტი ერთნი იყვნენ, პოეტმა თქვას ლექსი და ლექსმა პოეტი (ტიციანისეულად: „მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერსო“, - აი, ასე). პოეზიაში საუკეთესოდ ირწყმება ადამიანური ყოფის ყოველი ელემენტი დაწყებული პოლიტიკიდან დამთავრებული საყოფაცხოვრებო ეკონომიკით. კაცობრიულ გამოგონებათა არც ერთ სფეროს არ შეუძლია სრულად წარმოაჩინოს ადამიანთა ინტერესის ყოველი წერილმანი დეტალი, გარდა პოეზიისა, და პოეზიამ, თუ ის ზნემრთელი პოეზიაა, საუკეთესოდ იცის, რა ფორმით წარმოაჩინოს იგი. პოეზია ერთგვარი რეკლამაა და ანტი-რეკლამა. თუ სწორი მიზნით მიუდგები ქრისტეს წინამდებარე სიტყვას, პოეზიის მეშვეობით საუფლო სიტყვის მართალი აღმსრულებელი იქნები.

და აი, ნიკო სამადაშვილის სიტყვიერი მადლი, სიბრძნე და ტრაგიზმი, კონტრასტი და ცხოვრებისეულობათა თანხვედრა როგორ წარიმართა -

„თვალეებს ტირილიც არ გაუმხილა,
 გულოს უღონება დარდების ლაქა,
 ის დადიოდა ქუჩებში ფრთხილად,
 ფოთლებთან დიდხანს ილაპარაკა.
 მას არ ექვავა ღარიბი ერდოც,
 ან რა ჯანდაბად უნდოდა ნეტავ,
 კიდევ კარგი, რომ ბინა არ ჳქონდა
 და მკვდარი შვინით ვერ ჩაიკეტა.
 თორემ რა ექნათ მის ერთგულ ნაძვებს,
 ვინ გაულებდა კარს ერთი წამით?
 ეხლა, შორს, ქარში კიდევ ძვამდებენ
 დაუმარხავი პოეტის გვამი“.


სიმძაფრე და ტკივილი - არანაკლებ მოყმის დედისა. აქ ფარისევლური მწიგნობ-



ვასილი იაშვილი



ტიციან ტაშვილი



ლაშა ცაათიანი



ქენხანტიენა
 ბამსახურიანი



გიორგი ლეონიძე

რობა არ იკითხება. ესაა გულწრფელობის ნიშნები, პოეტურ ქიზილბასაც რომ ნამდვილად აქცევს. პოეტი არ უნდა ცხოვრობდეს განცხრომაში, მისი ცხოვრება მისტიური საბურველი უნდა იყოს მოსილი, იდუმალეა კი მისი მოვლინების არსს წარმოადგენდეს. ბოჰემა - აი, რა არის პოეტის ცხოვრების მიმზიდველობა, თავისი პოეტური შემოქმედების პარალელურად, თუნდაც პერპენდიკულარულად. მთავარია ცხოვრების არსი და პოეზიის არსი თანხვედრილი იყოს.

და კიდევ, ცხოვრებამ როგორადაც არ უნდა მიგაჯაჭვოს სახელმწიფოსთან (და არა სამშობლოსთან), მოვიწამლოს გონება ათასნაირი პოლიტიკური იდეოლოგიით, იმ დაუმორჩილებლობისა და პროტესტის, უკმარისობისა და ბუნტის (ამ სიტყვის კეთილშობილური გაგებით) მღვალაკი არ უნდა გასვენებდეს პოეტს და იმ იდეოლოგიურ ჩარჩოებშიც რეალობის ასახვის მიღმა „საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი“ უნდა ითქვას მაინც, და ისე უნდა ითქვას, რომ ყველასათვის ზედმიწევნით გასაგები გახდეს ყველა დროში.

სწორედ ასეთ შემთხვევაში არ კვდება ნაწარმოები, იგი მუდამ კითხვად იქნება - მეფეს უმღერებ, ნაპოლეონს, ფაშინზმს თუ „აყვავებულ“ დემოკრატას. უდროობაში პოეზიაც განწირულია და პოეტიც. მსაჯული დროის შესაბამისად სჯის განსასჯელს, რადგან დროება ერთადერთია, რომელიც მარადმოქმედა და დროში გამომწყვედი პოეტი გარემოების მსხვერპლია და სხვა დროში, ან იმავე დროში, მაგრამ სხვა სივრცეში და საბოლოოდ სხვა ეპოქაში სხვადასხვა განუწილ სივრცეებში აუცილებლად დროის შესაბამისად განსჯიან მარადი-დროის (მარადისობის) ღირებულებით, რადგან ღირებულებანი შეფასებულ-გადაფასებული იქნება. ამიტომ რევოლუციური პათოსით და პოეტური შემართებით ამბობს გალაკტიონი, ამბობს და გადაახილია იგი მომდევნო თაობებზე, ეპოქებზე და ერაზე -

„არათუ წლები გადაეშვა ტყდომად - წამიც კი გატყდა და რეკავს ცხარედ; ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ, დროის, ეპოქის და სივრცის გარეთ. ბევრი მიეცა ტალახსა და ლექსს, ბევრის ნაბიჯი არის ტაატი, დრო, დრო აღნიშნე, მოაწერე ლექსს ეს წელიწადი, დრო და საათი!“

ასეთივე საზომით უნდა განისაჯოს გრიგოლ რობაქიძეც, გერმანულ პერიოდში მისი მოღვაწეობაც. პრინციპში და პრაქტიკულად განსასჯელი განისაჯა უკვე ყველაზე უკეთ და ტრაგიკულად თვითონვე პაოლო იაშვილის დოგის დატერებაში გამოთქვა, თვითონ პაოლოს ბედიც და ბედისწერაც იწინასწარმეტყველა. აი, ესაა პოეზია

და არამარტო ლამაზი ლექსების წერა - „ლამაზო გერა! ვიცი ძაღლის წაიღე წყენა, ცრემლს ნუ მწვენი, თუ ვფარავ, ამსა ვველი, ვინ იცის ეგებ შენი თრევა მიევილოს ენამ, იყოს აგრეთვე მოშაბული ჩემი ძმის ხვედრი, მიტოვებული, დავარდნილი, ღვთის ანაბარად, ეგებ შესწავით იგი ერთხელ ჩაიქცეს ღრეში, დაიბრებენ შენს პაოლოს კოლხეთის ბარად უუკუნა წვიმა ჩვენი ყანის და რბილი ხრეში“.

და ეს ლექსი დაიწერა 1926 წელს. ამისათვისაა საჭირო ხელმოწერის გვერდით თარიღის დასმა, უფრო ფასიულს და ღირებულს ხდის ნაწარმოებს.

მკითხველის რაობა

ყველა ეპოქას შესაფერისი მკითხველი ჰყავს დროის მოთხოვნისამებრ. ეპოქა ყოველთვის აყენებს შესაფერის მოთხოვნებს. ამ მოთხოვნებში აუცილებლად გათვალისწინებულია ყველა ის კრიტერიუმი, რითაც საზოგადოება ვითარდება და ყალიბდება მისი სათანადო ეპოქალური ესთეტიკური გემოვნება, ამაღლოულად მკითხველის (კონკრეტულად ვინმესი და საზოგადოდ ყველასი) სიახლისადმი მოლოდინსაც განსაზღვრავს თავისებური დოზირებით, ანუ ეპოქა ადგენს შესაძლო, სავარაუდო და აუცილებელ საზღვრებს ამ სიახლისას, რომლის იქით ადამიანური გონება ვერ წვდება ისე და ისე ეპოქის ფაქტორიდან გამომდინარე.

ასე მაგალითად, რუსთველის ეპოქის მკითხველი, რა თქმა უნდა, რაღაც დოზით პოეზიიდან ელოდა სიახლეებს, მაგრამ იგი ვერასვხით ვერ აღიქვამდა და მოლოდინითაც არ ელოდა XX საუკუნის პოეზიის ტექნიკას, აზრობრივ სიღრმეს და პოეტურ გაქანებას, თუნდაც XVII-XVIII საუკუნეების პოეზიისას. ყველა დროში ჩამოყალიბებულია კრიტერიუმი და ეს კრიტერიუმი ალბათ იმისთვისაა საჭირო, რომ ამ კრიტერიუმის მიღმა წავიდეს პოეტიც და მკითხველიც, რათა მომდევნო ეპოქაში შეიქმნას ახალი კრიტერიუმები. ამ კრიტერიუმებში იმთავითვე გათვალისწინებულია მოსალოდნელი და მოულოდნელი შემთხვევები მწერლის მხრიდანაც და მკითხველის შეფასების მხრიდანაც. მაგრამ ქვეცნობიერად მაინც არსებობს მკითხველის მოთხოვნილების აუცილებლობის ფარგლები, რომლის მიღმაც მწერალი ამოვარდნილი იქნება ეპოქიდან, დროიდან და სივრციდან. მწერალი ყოველთვის უნდა უწევდეს ანგარიშს მკითხველის (ამ შემთხვევაში საზოგადოების) ზოგად ერუდიციას, რადგან მას საქმე აქვს ამ შემთხვევაში თვით ეპოქის ერუდიციასთან, რამდენად განათლებულია თუ გაუნათლებელი იგი.

მკითხველი არსებობს პროფესიონალიც, არაპროფესიონალიც და თუნდაც უწიგნური, მაგრამ ეს უკანასკნელიც სათვალავშია,

როგორც პოტენციური მკითხველი. მართალია, მწერალი ვერ შეარჩევს თავის ნაწარმოებს ისე, რომ შენ ეს წაიკითხე და შენ კიდევ ისო. აქ უნდა მოხდეს შერწყმა ყველა დონის მკითხველისათვის, მაგრამ ამაღლოულად მან თავისი სამწერლო ინდივიდუალობა ბოლომდე უნდა დაიცვას. თავის სიმალლეზე უნდა აიყვანოს პროფესიონალი მკითხველიცა და პროფანიც, - და არამც და არამც მწერალმა არ უნდა დასცეს თავისთავადობა იმ პროფანის დონემდე, მკითხველად რაოდენობაში რომ შეემატოს იგი. ამით უფრო მეტ მკითხველს დაკარგავს, ვიდრე შეიძენს - იმ პროფესიონალ მკითხველს და მის უკან მდგარ მთელ მომდევნო თაობებს, რომლებმაც მწერალი სიცოცხლის შემდეგ უნდა ასახელოს. ასე, დაცემულ მწერლებზე აქვს შოთა რუსთველს ნათქვამი -

*„ვაძმგავსე მშვილი ბედითი
ქმსწვლთა მონადირეთა:“*

*დიდსა ვერ მოჰკვლენ, ხელად აქვს
ხოცა ნადირთა მცირეთა“*-ო.

და მაინც, მკითხველი თავისი ყოველდღიურობით ცხოვრობს, თავისი გაჭირვება და დაუღვინება, ამიტომ მისი დადანაშაულება რაიმეში, თუნდა უწიგნურობაში, ან რაღაც სახით მიკერძობაში, მწერლის მხრიდან უგზურება და სიბრიყვე იქნებოდა. მკითხველი ერთგვარი მსაჯულია, მწერლის გარჯის ერთადერთი შემფასებელი. ზოგი მსაჯული გონიერია, ზოგი უგზური, ზოგი კეთილი, ზოგი ბოროტი, ზოგი ასეთი, ზოგი ისეთი, მაგრამ მწერლისთვის (მწერალს ვაძობ და პოეტსაც ვგულისხმობ) აუცილებელია მათთვის ანგარიშის გაწევა, მოფრთხილება სჭირდება მკითხველს, შექმნა სჭირდება მკითხველს.

მწერლობა, ისევე როგორც მკითხველობა, ორმხრივი ვალდებულებით არის დატვირთული. ანუ თუ მწერალი ხარ, ვალდებული ხარ (და არა მოვალე) შექმნა ნაწარმოები, შესაბამისად მოვალე ხარ შენი შექმნილის შესახებ პირუთვნელად მიიღო მკითხველის მოსაზრება (თუ ასეთი იქნება). შესაბამისად, თუ მკითხველი ხარ და გიყვარს წიგნი და თავს თვლი წიგნიერად, ვალდებული ხარ (და არა მოვალე) მწერლის მიერ შემოთავაზებული წაიკითხო, და საჭიროების შემთხვევაში კი (თუ ამის საჭიროებას დაინახავ პირადად), გამოთქვა შენი მოსაზრება მიკერძობებული თუ მიუკერძობებელი, გონიერი თუ უგზური და ა.შ. და ამავე დროს გქონდეს იმისი კულტურა, მოისმინო სხვათა მოსაზრებებიც, თუნდაც შენი მოსაზრების საწინააღმდეგო.

კომუნისტურ პერიოდში კარგად იყო განვითარებული საპოლემიკო კულტურა. სწორი შემთხვევა იყო, როდესაც პრესის ფურცლებზე კრიტიკის ქარ-ცეცხლი ინთებოდა ამა თუ იმ მწერლის ან ნაწარმო-

ების ირგვლივ, იმართებოდა დისპუტები, პოლემიკა გრძელდებოდა, პასუხი პასუხზე მოდიოდა. მკითხველიც ჩართული იყო ამ განხილვებში და მწერლებიც. კრიტიკა არ დაკლებია თეატრს, მსახიობს, რეჟისორს, ფილმს, მოქანდაკეს, ძეგლს, მხატვარს, მუსიკოსს და ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს. არსებობდა ერთიანი კულტურა, ეთიკური ნორმები, რომლის გადაღაზვაც ყველას ეკრძალებოდა. სხვათა შორის ამ საპოლემიკო დისპუტებში არ ერთვებოდა ხელისუფლება და ყველას თავისუფლად შეეძლო გამოეთქვა თავისი მოსაზრება, რა თქმა უნდა, ზომიერების ფარგლებში, „დაუკრეფავში“ კი არავინ გადადიოდა. ერთი კია, რომ შესაძლებელი იყო, ამ პოლემიკათა ინსპირატორი და დამკვეთი კულუარებში იყო და არავის სურდა მისი გამოზეურება. სადღესოდ კი ამ ფუფუნებას მოკლებულნი ვართ, თუნდაც პოლიტიკური ცენზურით ვაჯერებულს. დღეს „წერე და იკითხე“ ცინიზმით აღსავსე პოლიტიკა მგვობს. აკრიტიკე ყველა, ვინც გავგზარდება, ლანძღე ყველა, ვინც მოგესურვება, მთავარია, შეიძლო და ამისი სურვილი გქონდეს. დღეს არავის ცხელა სამწერლო პრობლემებზე გადაიტვიტოს თავი. დღეს არავის ანტერსებს პოეზია, სამაგიეროდ „პოზიცია“ და „ოპოზიცია“ ყველა ილანძღება. ერს რეაქცია არა აქვს არაფერზე - კარგს იტყვიან თუ ცუდს. „მთავრობისტები“ თავიანთ გამოსვლებს იწყებენ და ამთავრებენ თავის ქებით და „ოპოზიციის“ ლანძღვით, „ოპოზიციაც“ იგივეთი პასუხობს. ტელევიზია გადართულია ამათი „ურთიერთპაექრობის“ გამუქებაში და ერთით - დღეს ეს მოკლეს, ხვალ იმას მოკლავენ, დღეს ეს განადგურდა, ხვალ იმას განადგურდება, დღეს ქათმის გრიპია, ხვალ ღორის ანგინა, დღეს ნახევარი საქართველო გაწყდება, ხვალ დანარჩენი, დღეს გლობალური დათბობაა, ხვალ გლობალური გამყინვარება და ა.შ.

ამ სახარბილო ატმოსფერომ მწერალი და მკითხველი ერთმანეთს დააცილა, ერში გაჩნდა ტოტალური უწიგნურობა როგორც მკითხველის მხრიდან, ასევე მწერლის მხრიდანაც. ტელევიზიით ფართო ავტაცია კეთდება, რომ არ არის საჭირო მწერლობაში პროფესიონალიზმი, საჭიროა იყო ორიგინალური. ასევე დიდი უბედურებაა ის, რომ დღევანდელი ე.წ. მწერლები წიგნს მიიჩნევენ გართობის ერთ-ერთ საშუალებად და ასეთ ვაიმწერლებს დღეს, გუშინაც და ალბათ ხვალაც დიდი პომპეზურობით ანიჭებენ „საბას“ პრემიებს.

იკითხონ ერთი, ამ მწერლუკებმა - გართობაა თუ არა წიგნი? და კითხოს იგი პირველყოფილსა ბავშვს, რომელიც ანბანს სწავლობს; მერე რუსთველს ჰკითხოს, გასართობი პოეზია წეროს თუ ღრმა-ფილოსოფიური; ილიას ჰკითხოს, გასართობ



ილია =
მტყანდაკე,
შ. მიქაძაძე
საკაძი -
მტყანდაკე,
ზ. თოფჩიძე

ჟანრს მიხედოს თუ ერის საჭირობოტო საკითხებზე იფიქროს; ყაზბეგს კითხოს, თამარის პირველ დამეზე წეროს თუ ქართულ ტკივილებზე; ვაჟა-ფშაველას ჰკითხოს, რა არის წიგნი, გართობა თუ უძილო დამეების გამაწვალებელი ტანჯვა. გალაკტიონი ხელთა მაქვს, აქ, ემიგრაციაში, და აქვე ვიტყვი, რას უპასუხებდა გალაკტიონი ამ შეკითხვას -

„თავის სიმძაფრით, თავის ვნებით
სიტყვის ამ დარგებს
ამოუწურავ ენერგიით
უფრო აკარგებს,
აღრმავებს განცდებს,
აცხოველებს გრძნობებს და მოსავს
ახალ ელფერით, ახალი გზით
მიმავალ პროზას.
რაც უფრო მაღლა მიდის აზრი
ესვეთარია,
ღირიკა ხდება უფრო მძლავრი,
უფრო მდიდარი,
ის შინაარსით ისევეა,
რაც ფილოსოფია,
ხმათა შერჩევით კი
მუსიკის ჰანგთა მყოფია.
როგორ სარკეობს იმისი ხმა
და როგორ ბროლობს -
ბევრი რამ გვითხრას შეუძლია
ფაუსტის პროლოგს:
აღტაცებული მოძღვრადლი
გულთ რით აჩვილებს,
მარქვით, სტიქიონთ იმ მოძღვრალს
ვინ უმორჩილებს,
თუ არ აკკორდი,
შემოქმედის უმძლავრეს მწველი,
გულთ ნახეთქი,
მსოფლიოს მთელის შემცველი,
სული პოეტის სარკე არის
სივრცის, დროისა,
სული პოეტის არის
ცენტრი მსოფლიოსა...“

ამის იქით მეტის თქმა აღარაა საჭირო, თუ რატომ, რა და როგორ. აქ პრობლემატა მოცემული და მისი გადაჭრის გზებიცაა ნაჩვენები: სად უნდა იდგეს სადღესოდ პოეტი, რა საფიქრალით უნდა ფიქრობდეს და რით საზრდოობდეს. არადა, პოეტთა კრებულების ყიდვა მაღაზიებიდან შემცირდა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან. ხალხში ნელ-ნელა ამოიძირკვა პოეტური სულისკვეთება.

მაგრამ ლექსებს წერენ და დაწერენ კიდევ! ეს ლექსები კი არ სცდება ასე ვთქვათ „არმიყის“ ფარგლებს. საწადელ-მღწველნი კი იმთავითვე ამთავრებენ ლექსების წერას, ესაოდა გიჟი ხომ არა ვარო და ვინმემ არ გამიგოსო, თუ ოდესმე ლექსი დამიწერიაო. და ეს ტენდენცია საქართველოშია, ჩვენდა სამწუხაროდ. მკითხველიც ამ „ლექსების დამწერთა“ შესაბამისად იქცევა.

მთავრდება ფლირტი, მთავრდება პოეზია, მაგრამ იწყება სექსი! ძალუმად იოსებ ნონეშვილის შესანიშნავი ლექსი გამახსენდა, რომელსაც უკომენტაროდ დავტოვებ:

„ო, დაუკვირდი, კარგო, ამ ამბავს
ბრძნულია იგი და ძველისძველი:
იმ ირემივით შენც ფიქრობ ალბათ...
დე, ესე იყოს სურვილი შენი.
მხოლოდ იცოდე, იცოდე მხოლოდ,
თუ ქებით უფრო გადაარევი,
ევ სილამაზე დავლუპავს ბოლოს,
როგორც დალუპა რქებმა ირემი“.

მიკარძოვების შემდგომი

ნებისმიერი დონის მკითხველი ირჩევს თავისი გემოვნების შესაფერის მწერალს, ნაწარმოებს, ჟანრს. თავისთავად აქვე ჩნდება მისი პოზიცია - პირუთვნელი თუ ყალბი. პოზიცია იმთავითვე ორგვარია - პოზიტიური ან ნეგატიური, ანუ მკითხველი ამა

თუ იმ მწერალს აფასებს ან დადებითად, ან კიდევ უარყოფითად, შეფასების კრიტერიუმები კი არის ან ობიექტური ან ტენდენციური.

ასე მაგალითად, ჩემს გემოვნებას აკმაყოფილებს ჟიულ ვერნი და არ აკმაყოფილებს ვიქტორ ჰიუგო. ჟიულ ვერნის მიმართ ჩემი პოზიტიური დამოკიდებულება გამოვხატე მხოლოდ და მხოლოდ ჩემეული კრიტერიუმით, ანუ ამ შეფასებაში მე ვარ ან ობიექტური, ან ტენდენციური, ე.ი. ჟიულ ვერნის შეფასებაში ან ვარ პირუთნელი (ჩემივე ვაგებით), ან არაღაც გარემოების გამო ვანიჭებ მას უპირატესობას.

ჩემი შეფასება შემიძლია თავს მოვახვიო სხვას, რომელმაც შესაძლებელია ჩემი გავლენით მართლაც არჩიოს ჟიულ ვერნი წასაკითხად, მაშინ, როდესაც, დასაშვებია მის სულიერ განწყობილებას ესადაგებოდეს ვიქტორ ჰიუგო, უფრო მეტიც, არ ესადაგებოდეს ჟიულ ვერნი. ამით მსურს აღვნიშნო ის, რომ მკითხველები ძალაუბნებურად ერთმანეთზე ზემოქმედებენ. შესაბამისად ქმნიან მკითხველთა წრეს, რაც იმთავითვე საჭირო და აუცილებელია, თუნდაც იმ ნეგატიური პოზიციის გამოსახატავად, რომელიც ნაკარნახევი იქნება ამა თუ იმ შინაგანი რწმენით. იმთავითვე მე, როგორც მკითხველი, ძალაუბნებურად ჩემი პოზიციის დაფიქსირებით პასუხს ვაგებ იმ ჟიულ ვერნის წინაშე და იმ ვიქტორ ჰიუგოს წინაშე კი, რადგან თუ გადავწყვიტე ჩემი მოსაზრება გამოვთქვა მათ შესახებ, მაშინ თუნდა ჩემი უარყოფითი შეფასებით მართალი უნდა ვიყო საკუთარ თავთან. ამ შემთხვევაში შეიძლება ვინმემ დამიჯეროს, მაგრამ ეს არ იქნება რეალური სახე საზოგადოებისა, ეს იქნება მხოლოდ და მხოლოდ ნიღაბი, რომელიც ნეგატიურად მოქმედებს მწერალზე, დრო კი ყველაფერს გადააღაბებს, თავ-თავის ადგილას. სადღეისოდ მკითხველის მისიაც დამახინჯებულია და აი, როგორ:

მომწონს, მაგალითად, ოსკარ უაილდი. ამას ხმამაღლა ვამბობ და ვურჩევ ყველას შეიძინოს მისი წიგნები. ამ დროს საკუთარ თავში ხომ ვიცი, რომ ოსკარ უაილდი არ მომწონს, არ მომწონს კი არა, ვერ ვიტან და ვერც ვგებულობ. მაგრამ საჭიროა, რომ ასე ვილაპარაკო. მაშინ, როცა პროსპერ მერიმეს შემოქმედების კითხვით ვერ ვძლები და სხვებს მოუწოდებ, არ წაიკითხოთ ეს მწერალი, არაფრად არ ვარგაო. საქმე მაინც დამახინჯებულ პიარამდე მიდის. განა თუ ის, რომ ამ მწერლის ეს სტალი მომწონს, იმ მწერლის თემა, კიდევ იმისი ის სიტყვიერი წყობაო. არა!.. არ ვარგაო, და ამით მთავრდება მსჯელობა, თუ რატომ არა ეს და რატომ მაინცა და მაინც ის. სწორედ რომ მკითხველიდან დგინდე-

ბა ის კომისიები, რომლებიც ამა თუ იმ პრემიის მინიჭების უფლებამოსილებას იღებენ საკუთარ თავზე. ჩვენში ხომ ეს, როგორც ყველაფერი დანარჩენი, შინაური გარიგებებით წყდება - ანუ, „მინდა მე, მომეცი შენ, იმას არავინ ეკითხება, კიდევ ის განზე დარჩება“. ყოველ შემთხვევაში „საბას“ ლიტერატურულ კონკურსზე დღემდე ასე ხდება.

და დაუბრუნდეთ ნობელის პრემიას - ნობელის კომიტეტიც მკითხველთაგან შედგება, რა თქმა უნდა, გაცილებით ძალადი დონის მკითხველებისაგან და თავიანთი საქმის პროფესიონალებისაგან, შედარებაც რომ არ შეიძლება ქართველთთან (ჩვენდა სამარცხვინოდ და სამწუხაროდ). მაგრამ ტენდენციურობა იქაცაა, მაგრამ ეს ისე კეთდება, რომ არავინ იჩაგრება ამით, არც მწერალი და არც მკითხველი. აი, თუნდაც -

ჭაბუა ამირეჯიბი „დათა თუთაშხიას“ გამო არაერთგზის იყო წარდგენილი ნობელის პრემიაზე, მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს პრემია არც ერთხელ არ იქნა მინიჭებული მისთვის. მიზეზების ჩაძიება რომ დავიწყოთ, შორს წავვიყვანს, მაგრამ ალბათ მაინც შორს გავარდნილი ავტორობის სათულობის ხმა ნობელის კომიტეტამდეც მივიდოდა; და მეორეც, ალბათ კომიტეტმა თავი იმიტომ შეიკავა, რომ ნაწარმოებში მიუხედავად თავისი ზოგადკაცობრიული ჰუმანიზმისა, მაინც ამოკითხეს ძალადობის აპოლოგია ქვეტექსტით, და რა თქმა უნდა, ეს ასეცაა. არაფერს ვიტყვი პირველ ვერსიაზე, ამის თაობაზე მომავალმა ილაპარაკოს, თუმცა ჩემთვის, როგორც მკითხველისთვის მნიშვნელობა არა აქვს სახელდობრ ვინ დაწერა ეს რომანი, მთავარია, რომ იგი ქართული კულტურისა და აზროვნების საგანძურში შევიდა. იდეალური ნაწარმოები ვინ ნახა, თვით ლევ ტოლსტოისაც უამრავი ლაფსუსები გაეპარა „ომსა და მშვიდობაში“. ეს ბუნებრივია. მაგრამ მივხედოთ ძალადობის ვერსიას:

1965 წელს ნობელის პრემია მიენიჭა მიხეილ შოლოხოვს რომანისათვის „წყნარი დონი“. ვერაფერს იტყვი, საუცხოო რომანია. თუ შემოსხენებული პრინციპებით მიუდგენენ ჭაბუა ამირეჯიბს, ვითომ მ. შოლოხოვი რაიმეთი უკეთესი იყო ამირეჯიბზე?! იქნებ ავტორის ვინაობა არ დადგარა კითხვის ნიშნის ქვეშ, ან ძალადობის აპოლოგია ქვეტექსტით გნებავს თუ პირდაპირი ტექსტით არაა მოცემული? მოცემულია და მერე როგორ; ავტორის ვინაობის შესახებ დავა-კამათი იყო და მერე როგორი და მთელი ათწლეულები გრძელდებოდა, სანამ საბოლოოდ არ დაადგინა ლიტერატურათმცოდნეობითმა ექსპერტიზამ შოლოხოვის ავტორობა წიგნზე და ამის შემდეგ მიენიჭა სწორედ ხსენებული

პრემია მას.

ფული ვის არ სჭირდება და მითუმეტეს ბევრი ფული, მაგრამ სიტყვაზე რომ ვთქვათ, რა მოგებას მისცემს განსაკუთრებულს ჭაბუა ამირეჯიბს ნობელის პრემია?!

ერთია, რომ გაიზრდება მისი შემოსავლის წყარო. ახლა აღარაა ის პოლიტიკური სისტემა, რაც შოლოხოვის და თუნდაც ამირეჯიბის დროს იყო, ათასნაირ ფონდში რომ გადაარიცხვინებდნენ კუთვნილ თანხებს და „შრალზე“ დატოვებდნენ ფაქტიურად, თუმცადა ჩვენი უმდიოფარა ხელისუფლების შემხედვარე ის კომუნისტური წყობაც ანგელოზად მოგენვენება. ასევე იყო წარდგენილი ნობელზე ოთარ ჭილაძე რომანისათვის „ავგელუმი“. მერე რა, რომ პრემია ვერ დაისაკუთრა და ვერ გახდა პირველი ქართველი, ვინც აიღებდა მას, მაგრამ სამშობლოში სახელი მაინც დიდი რამაა მწერლისთვის ამქვეყნად.

მე თუ მკითხავთ, ნობელის პრემია თუ ვინმეს ჭირვებია როგორც ეკონომიკური თვალსაზრისით, ასევე მსოფლიო მხარდაჭერის მხრივ, რათა დაცული ყოფილიყო მისი რეპუტაცია, ეს გრივლ რომაქიმე იყო... ვითომ არ ეკუთვნოდა?

ან რატომ არ ეკუთვნოდა, თუ არ ეკუთვნოდა? ჰიტლერისა და მუსოლინის გამო?

თუ ამ კრიტერიუმებით მივუდგებით საკითხს, განა რომენ როლინს ეკუთვნოდა ნობელის პრემია, ან პაბლო ნერუდას, ან ერნესტ ჰემინგუეის, ან სულაც მიხეილ შოლოხოვს?! რაღაც პერიოდში ხომ ისინი სულ ყველანი კომუნისტურ იდეოლოგიას ემსახურებოდნენ. რა სხვაობაა ნაციზმსა და კომუნისტურ შორის?! პრინციპული არაფერი, მიზანი ორთავესი ერთი იყო. გრივლ რომაქიმეს სწამდა სურული ხორცამდე ქართული რასის ფენომენი.

ვითომ არ დაუშასხურებია?!

და რისთვის - „გრაალის მცველი“, „ქალღმერთის ძახილი“, „ჩაკლული სული“ რითაა რომელიმე ნობელიანტზე ნაკლები, თუ არა მეტი?!

იგი თავისი მნიშვნელობით ევროპაში ჯერ კიდევ XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოდან მკვიდრდება. მასთან მეგობრობენ ევროპასა და მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული მწერლები თომას მანი და შტეფან ცვაიგი. ერთი შეხედვით ეს პრემია გარანტირებული უნდა ყოფილიყო მისთვის, მაგრამ... აი, ეს „მაგრამ“ თამაშობს გადაწყვეტს როლს, სადაც მიკერძოება დამლუპველია ერთისთვის, სხვისთვის კი ძალამოა ზედგამოჭრილი ანალოგიური მსოფლიო მხარდაჭერის სახით. რა თქმა უნდა, აქ შური არაფერ შუაშია - 1933 წელს ნობელის პრემია მოანიჭეს ივან ბუნინს, მასაც ემიგრანტს, საბჭოეთიდან გაქცეულს. ეს შესტი იყო უპირველეს ყოვლისა პოლიტიკური და მსოფლიო

თანაგრძობის ნიშნად. „გველის პერანგის“, „ლამარას“, „ქართველი ასული მეგის“ ავტორს არავინ გაუწია მხარდაჭერა.

ერთიც ვთქვათ, მართალია, გემოვნებაზე არ დავობენ, -

მაგრამ რატომ მაინცა და მაინც ბუნინი და არა გორკი?

ვითომ გორკი რაიმეთი ჩამოუვარდებოდა ბუნინს?

არაფრით! დავსძენ და იმასაც ვიტყვი, რომ გორკიც იყო თითქმის მთელი 20-იანი წლები (საბჭოთა ხუნტის დამყარების შემდეგ) ემიგრაციაში და სწორედ რომ პოლიტიკურ ემიგრაციაში. მაქსიმ გორკის არ სჭირდებოდა მხარდაჭერა, მისი სამშობლოში დაბრუნებაზე ერთი თანხმობაც და მთელი დედამიწის 1/6 ნაწილი მის ფენთქვეშ გაეგებოდა, როგორც მოხდა მოგვიანებით. აი, ბუნინს კი მართლაც სჭირდებოდა ეს მხარდაჭერა. მაგრამ არავისზე ნაკლებ, იქნებ უფრო მეტადაც გრიგოლ რობაქიძეს სჭირდებოდა ეს თანადგომა და მსოფლიო აღიარება. ვინც მიიღო ეს პრემია, ყველამ დაიმსახურა დიდი შრომისა და შემოქმედებითი ტიტანობის გამო. ერთია, რომ ეჭვები მიღრღნის გონებას ტენდენციური მიკერძოების გამო. ეს არის და ეს.

კონსტანტინე გამსახურდიაც გაოცებულნი იყო, ჰემინგუეის როგორ მიეცით ნობელის პრემია „მოხუცი და ზღვის“ გამო. ეს საკითხი პირადულია და სუფთა ადამიანური თვალსაზრისით გასაგებია.

სადღეისო მდგომარეობა ქართული მწერლობისა

საქართველოში, როგორც ყველაფერი, ისე მწერლობაც განიცდის კრიზისს, რადგან „ყველაფერში“ მწერლობაც შედის. თანდათანობით თითზე ჩამოსათვლელნი დარჩნენ ისინი, ვინც გასულ საუკუნეში ასე თუ ისე გაითქვეს სახელი და დამკვიდრდნენ როგორც მწერლები და პოეტები. სამაგიეროდ, როგორც ყოველთვის, მოძრავდნენ ახალთაობის მწერლები, რომელთაგან აბსოლუტური უმრავლესობა და განსაკუთრებით მამაკაცები მისდევენ პროზას, რადგან იგი უფრო სარფიანი გამოდგა მატერიალური თვალსაზრისით. მოთხრობას და რომანს ადვილად უპოვნიან გამოყენებას, წიგნთან ერთად მასზე ფილმებს იღებენ, ან ალტერნატიულ თეატრებში დგამენ სპექტაკლებად (სამწუხაროდ, აკადემიური თეატრებისთვის, თითო-ორიოჯი მოდური მწერლის გარდა, მწერლებისთვის კარი დახურულია, რადგან თეატრის მესვეურები კლასიკაზე მუშაობენ და თანამედროვე ქართულ მწერლობას არ სწყალობენ). აგრეთვე შემოსავლის წყაროდ გამხდარია სხვადასხვა კონკურსები, სადაც წამყვანი ადგილი პროზას ენიჭება. იგივე მოსაზრებით, რაც უკვე

ზემოთ აღვნიშნე, ქართველ მამაკაც მწერალთა აბსოლუტური უმრავლესობა ლექსებს აღარ წერს, რადგან ლექსს სხვა გასაქანი არა აქვს, თუ არა მალაზიის წიგნის თაროზე გაყვითლებისა. უკეთეს შემთხვევაში, თუ ბედი და პროდიუსერი მოწყალე იქნება, ერთ-ერთ რომელიმე უხეირო სიმღერას ტექსტად დაედება და ვიღაც მომღერლად წოდებული ჩაწერს ფონოგრამაში და კომპიუტერი იმღერებს და შემდეგ კლიპსაც მიაყოლებენ ზედ. მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, შოუ-ბიზნესი თითქმის არ სწყალობს ქართულ პოეზიას. მათთვის უმჯობესი და მომგებიანია ერთი-ორი გართიმული სტრიქონი ან თვითონვე შეთხზან, ან სადღაცადან მოიპარონ, ვიდრე პროფესიონალ პოეტებს გადაუხადონ ჰონორარი. და ესეც კი აღარ იქმნება საერთოდ ამ ბოლო დროიდან. მუსიკაც რომ მუსიკაა, იმასაც ევროპული ესტრადიდან იპარავენ და გაიძახიან ასეთი და ასეთი მომღერალ-შემსრულებლები გვყავსო. წავიდა დრო პეტრე ბაგრატიონ-გურუნიანისა.


ეს საშინლად მტკიავს.

ქართული პოეზია სამწუხაროდ მარღვაგამოცლილი შეეგება XXI საუკუნეს, ყოფილა პერიოდები, როდესაც საქართველოში პოეზია საერთოდ აღარ არსებობდა და არ იწერებოდა ლექსები, მაგრამ ქართული პოეტური სული ფენიქსივით აღსდგებოდა და თავის მძლავრ სიტყვას ამბობდა. რუსთველის შემდეგ დიდი პაუზა გაკეთდა პოეზიაში, მხოლოდ მეფე-პოეტებმა აღადგინეს ეს ტრადიცია ჩვენს რეალობაში, რასაც დავით გურამიშვილის ცეცხლში გატარებული სიტყვა მიჰყვა და მის შემდეგ დღემდე „რეკს ივერთა ჩანგი“.

დღესაც იგივე პრობლემა დაგვიდგა, უფრო ძვირად და კაბალური, ვიდრე მონღოლთა შემოსევის დროს იყო. გზისგასაყართან დგას დღეს ქართული პოეზია, ერთი გზა გალაკტიონის გზაა („დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია და სისხლიანი დგას ანგელოსი, ახალ გრივალეს ვსწირავთ სიცოცხლეს, ჩვენ, პოეტები საქართველოში“), მეორე კი დაღუპებისა („როცა ზარბაზნები ქუხს, პოეზია ღუმს“). იქნებ ამ ზარბაზნების გრიალში ძმები გრიმებივით „ჩექმებიანი კატის“ ზღაპარი გვეწერა. სხვა გამოსავალი აღარა აქვს მწერლობას, ილიასავით საადგილ-მამულ ბანკს ვეღარ დააფუძნებს, ვერც წერა-კითხვის განმავრცელებელ საზოგადოებას, ვერც გაზეთ „ივერიას“ დააარსებს, დღეს სხვა დროა. პარტია და საზოგადოება რომ შექმნან, სიცოცხლე დააყრიან, გაგიჟდაო და ისეთ ჭორებს მოიგონებენ, თავადაც შეგვცხვება. ვერც გალაკტიონივით გახდები რევოლუციის ტრუბადური, თავი მოგეჭრება საშვილთაშვილოდ, და მიტომ, ესაოლა ნაციონალ-უმწიფარებს უმაგრესო მხარს და სტგენით გაგისტუმ-



გურბამ ლორჩანაშვილი



მვემსაპშვილი

რებენ კულისებში. რომ დაღუძმდე, ვის დაუღუძმდე და ვის უნდა შეაყარო ნაცარი თვალში?!

მწერლობა უმაქნისი...
პოეზია უვარგისი...
ყოველ შემთხვევაში ძალა, რომელიც დააბალანსებს ეროვნულ პოტენციალს და მიმართულებას მისცემს, ყოველ შემთხვევაში სადღეისოდ არ ჩანს. ხოლო ვინც ჩანს, ისინი ან მოდას აყოლილი მწერლები არიან, რომლებიც მოდასთან ერთად შეიცვლებიან, ან კიდევ სწორი რაკურსიდან არ ჩანან.

ამიტომ საჭიროა პროფესიონალიზმი და არა ორიგინალიზმი. სწორედ რომ პროფესიონალიზმი გაიყვანს ნიჭიერებას ორიგინალურ გზებზე. ასე იყო ოდით, ასე ახლაც და ასე იქნება მომავალშიც.

და კიდევ გალაკტიონი, მიუვდოთ მას ყური:

„ჩვენ გამოვშორდით იმ ბურუსებს,
იმ თვალახვევას,
და არ ვედლებით უსარგებლო
თავბრუდახვევას,
მხოლოდ ეს არის:
უსარგებლო როდი იქნება,
თუ პოეზიით განიცდება და შეიგნება,
თუ მიეჩნია სმენა კეთილ-ახმოვანებას,
ამით ლექსს ვერც დრო დააბერებს,
ვერ ხმოვანება,
უნდა იშრომოს ახალგაზრდამ,
უნდა იღონოს,
იმ ხმოვანების ძლიერება
რომ შეიგონოს.
მაშინ გადმოშლის,
ლირიკისთვის რაც ეგულება,

ჩვენი ეპოქა,

მისი დიდი ღირებულება“.

პროზაც ვერ არის უკეთეს მდგომარეობაში. ქართული თანამედროვე პროზაული ნაწარმოებები გაჯერებული არიან უხეში უხამსობით. გამართლებასაც პოულობენ ავტორები - მოთხოვნილება ასეთი.

რომ არ ყოფილიყო მოთხოვნილება, როგორ შემოქმედებას აჩვენებდნენ?

ან თუა მოთხოვნილება, ვისი ბრალია, რომ ასეთი მოთხოვნილება წარმოიშვა მკითხველში?

დაწერე რამე ხეირიანი და მან თავზე დაგახია წიგნი, გინდა თუ არა უხამსობა დამიწერეო?

პასუხი ერთია: ამ „მოთხოვნილების“ უკან ისინი მალავენ თავიანთ უილაჯობას, უფრო მეტიც - თავიანთ უწიგნურობას.

შენ, ქართველო მწერალო, შენ ჩამოაყალიბე ეს ახალგაზრდობა ასეთად!

შენმა უხამსობამ და ბილწისტიყვაობამ მწერლობაში გამოიბიძგა მკითხველი. მე აღარ წამიკითხავს, რადგან მისთვის ჩემი ენა უცხო იქნება, „ქურდულ-ბლატნიო“ ჟარგონებით არ იქნება ავსებული იგი, და მიტომ!

მე ბრალს ვდებ შენ, ახალგაზრდა თაობის გარეგნაში და ამის სანაცვლოდ „საბას“ პრემიად ჩათვლილი იუდას ოცდაათ ვერცხლად სამშობლოს უღვთოდ გაყიდვაში!

ისევ ნობელის პრემია

დღევანდელი პოეტ-პროზაიკოსებისთვის ნობელის პრემია ეს არის ზეცაში ფრენა ანგელოზად, და არა ანგელოზივით.

იყო დრო, იყვნენ მგოსნები, რომლებიც მიელტვოდნენ ამ ჯილდოს და სინამდვილეში მატერიალური პირობების გაუმჯობესების გარდა სხვა რამ ხეირი არ ჰქონდა. ახლა კი ყველაფერი თავდაყირა დადგა. სამწუხაროდ დღევანდელ თბილისელ-მოდურ მწერლებს არ აწუხებს ეკონომიკური პრობლემები, არც სახელ-დიდების მიება სჭირდებათ, მორთმეული აქვთ ლანგარზე. მსოფლიო სახელ-დიდება სჭირდებათ მხოლოდ, რომ განიმტკიცონ ის საეჭვო რეპუტაცია, რაც სამშობლოში გააჩნიათ.

ღმერთმა მიხედოს, იქნებ წყალობის თვალთ გადაიხედოს ნობელის კომიტეტმა და ამჯერადაც მაინც, -

- აკაკი-გამოვლილი,
- ვაჟა-გამოვლილი,
- გალაკტიონ-გამოვლილი,
- გოგლა-გამოვლილი,
- ტიციან-გამოვლილი,
- პაოლო-გამოვლილი,
- ლადო-გამოვლილი, -
- ვიდაცას ბედმა გაუღიმოს და მიენიჭოს ეს პრემია.

გულწრფელად გავიხარებ მეც!

მანუჩარ კაჭახიძე

მაქვს პატივი, გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ სახელით გულწრფელად მოვიკითხო თქვენი გაზეთის თანამშრომლები და, განსაკუთრებით, მისი მკითხველები!

ასე თუ ისე, შესაძლებლობის ფარგლებში, საქართველოშიც ვიცნობთ თქვენს „მამულს“!

ვიცი რომ უცხოეთში გამოძავალი ქართულენოვანი გამოცემებიდან, მართლაც კარგი გაზეთია: კარგი რედაქტორიც ჰყავს და, რაც თქვენთვის კიდევ უფრო უკეთესია - კარგი მკითხველიც!

ბატონო მანუჩარ! რაკი შემთხვევა მომეცა, თავს უფლებას ვაძლევ, ასევე სიყვარულით მოვიკითხო საკუთარ სამშობლოდან შორეულ ამერიკის კონტინენტზე ჩამობრძანებული ჩემი ძვირფასი თანამემამულეები!

ვინც ჩვენს ბუნებას კარგად იცნობს, იმათმა ისიც კარგად იციან, ქართველებს თავიანთი თანამემამულეები კი არა, თბილ ქვეყნებში გაფრენილი ჩვენი მერცხლების ბედიც გვაწუხებს!

ხანდახან ვნატრობთ კიდევ...

თქვენი მალე დაბრუნების სადღეგრძელოს ვსვამ, ძვირფასო ქართველებო!

შენს საყვარელ გაზეთსაც წარმატებას ვუსურვებ, ჩემო მანუჩარ!

თამაზ ღივიციანი



ჩემო მანუჩარ! შენ ოკეანეთა გადაღმა გააცოცხლე საქართველო და ქართული სული... მერე რა, რომ ჩვენ 8 სასაათო სარტყელი და 9 000 კილომეტრი გვაშორებს, **მამულში მზე არასოდეს ჩადის!**

ლამა ნადარეიშვილი

Handwritten note in Georgian:
ესეა მამულს ხელქყოფი იხარის ზუნდ და აქვენ ყველს, მაე ხელქყოფი ხეხმუქს ვოსუქუქს აქენი ქლი კუქს ნიუ-იორი

Handwritten note in Georgian:
მე ხელს ვეცხლე ქვეთა გამოვი ქალთა ვემს ამბის მე მამულს ხელქყოფი რ ხელქყოფი! მეცი სქოლე ცხრა მელს ზეის მეხმ ასეც რმ ზეხიყეა კუნი 12-12 8-IV-06

Handwritten note in Georgian:
„მამული“ - სამშობლოს იყვარაყოლ პოეზიასა ზეხინებს რ არცფინუნებას. ყბრევი, ჭეშმარიტსა მამულმეორე არა ავუპ-კებას. იოეხბელომს რს წანდმეზ მამუარებას.

Handwritten signature:
მამული იყვარაყლი
მამული იყვარაყლი



ილუზიონი
სასტუმრო კაპუცინები

„ილუზიონი“ „საქაუნდს“



კაბადონიზში საქაუნდს

❖ **ოთარ სეფიაშვილი,**
საქართველოს ხელოვნების
დამსახურებული მოღვაწე

ვინ იყო, რომ უთქვამს - მთელი ჩვენი ცხოვრება შეხვედრებისა და განშორებების მოგონებათა გრძელ ჯაჭვს წააგავსო... შესაძლოა, ასეცაა. მაგრამ ამ ჯაჭვის ყველა რგოლი ტოლი და თანაბარი ღირსებისა როდია. ისინი ერთნაირი სიმკვეთრით არ შემორჩებიან ხოლმე ხსოვნას. ზოგს დრო ახუნებს, - ჟამთასვლა, - და აკვარელის ფერებით ჩამორეცხება მოგონებათა პანორამაში, ზოგსაც თავად ვიმეტებთ დავიწყებისათვის დაუნახებლად...

ასე ინება ბედმა: ჩემი პროფესიის წყალობით კინოს არაერთ ხელოვანს შეხვედრივარ. მათ შორის კი, მუდამ გამორჩეულად ვიგონებ რუბენ მამულიანს - მოდემით თბილისელს, საქვეყნოდ სახელმწიფო რეჟისორს, რომელსაც რახანია საპატიო ადგილი აქვს მიჩენილი მსოფლიო კინოხელოვნების ისტორიაში.

პირველად მოსკოვში შეხვედი მას, 1961-ში, საერთაშორისო კინოფესტივალზე სტუმრად იყო ჩამოსული... დაიხ, ის მერე მოხდა, - იდიოტური იდეოლოგიური დოგმებისა და აბიეციების გამო სახელი რომ გაუტყდა და კომპრომიტირებული იქნა ეს ფესტივალი, თორემ მაშინ ნამდვილად დიდ მსოფლიო კინოფორუმად წარმოუდგებოდათ იგი, რადგან პოსტსტალინური ეპოქის - „ოტტებულის“ პირმშოდ ეჩვენებოდათ და იმჟამინდელი ბევრი სახელგანთქმული კინოვარსკვლავი თუ კინომოღვაწე დაუფარავი ცნობისწადილით მოისწრაფოდა მისკენ. ამიტომაც არ გამკვირვებია, კინოფესტივალის პრესბიულეტენში რომ ამოვიკითხე - წუხელ რეჟისორი რუბენ მამულიანი გვეწვია ამერიკიდან... თუცა, ერთი კითხვა კი ამეკვიატა ფიქრში: - საიდან მასხოვს ძველთბილისელ სომეხთა ეს გვარ-სახელი?... კარგა ხანს ეჩხრიკე ხსოვნის დადარი და ბოლოს მაინც გავისხენე: ცნობილი რუსი მწერლების - ილფისა და პეტროვის თავის დროზე ჩვენში პოპულარული მოგზაურობის წიგნი „ერთსართულიანი ამერიკა“, სადაც ავტორები ჰოლივუდში ყოფნის შემდეგ აღნიშნავენ: „მაილსთონთან, მამულიანთან და პირველი ათეულის სხვა რეჟისორებთან საუბრებით დავრწმუნდით, რომ ეს მშვენიერი ოსტატები იტანჯებიან იმ ფუჭი, მოჩმასული პიესებით, რომელთა დადგმაც მათ უხდებათ. ისე, როგორც ყველა თვალსა-



ჩინო ადამიანს ხელოვნებაში, მათაც სწავლიათ რაიმე მნიშვნელოვანის შექმნა, მაგრამ ჰოლივუდის სისტემა მათ ამის საშუალებას არ აძლევს...“

ეს ამონარიდი „ერთსართულიანი ამერიკიდან“ უთუოდ იმჟამინდელი საბჭოური პროპაგანდის სტანდარტების პირწაყარდნილი ნიმუშია („ნახევარმართალი“), თორემ რა დასაჯერებელია ან ვინ იტყვის, რომ სატირულ-იუმორისტული ფელეტონების თვალმანვილ ავტორებს არ სცოდნიათ, ვერ გარკვეულან, რომ ჰოლივუდის რეჟისორთა ე.წ. „პირველ ათეულში“ მოხვედრა, მათი მაღალი პროფესიონალიზმისა და ხელოვან-შემოქმედელ აღიარებასთან ერთად, უწინარეს ყოვლისა, სწორედ საკუთარი მომავალი ფილმებისათვის თემებისა და სიუჟეტების შერჩევაში თავისუფლებასა და შეუზღუდელობასაც ნიშნავდა... იცოდნენ და მაინც თქვეს - „იტანჯებიან“ მდარე, „მოჩმასული პიესების“ (სცენარების) დადგმით. თქვეს, რადგან ტყუილმართალის გამრჩევი მაშინ ჩვენში მაინც არავინ იყო (იმჟამინდელი ჰოლივუდის „პირველი ათეულის“ რეჟისორთა არცერთი ფილმი საბჭოეთის კინოგაქირავებას არ შეუძენია და ჩვენს ეკრანებზე არ უჩვენებია)... და კიდევ: რეჟისორთა იმ „ათეულიდან“ კონკრეტულად არც არავინ დაუსახელებიათ, - მაილსთონისა და მამულიანის გარდა, - ისიც, ალბათ, იმიტომ, რომ ეს ორნი, თუნდაც ბიოგრაფიული მომენტებით, მეტ-ნაკლებად უკავშირდებოდნენ რუსულ კულტურასა და ხელოვნებას. თუცა, „ერთსართულიანი ამერიკის“ ავტორებს სიტყვა არ დასცდენიათ, გადაკვრით

თუ ქარაგმულადაც კი არ მიუნიშნებიათ იმაზე, როგორ მოიპოვეს ამ რეჟისორებმა საქვეყნოდ აღიარება თავიანთი პირველივე ფილმებით; არც კი უხსენებიათ ლუის მაილსთონის უნიკალური ფილმი „დასავლეთის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა“ - მწერალ ე.მ. რემარკის გახმაურებული რომანის ეკრანიზაცია, - რომელიც ამერიკული კინოს ისტორიაში დარჩა, როგორც ლიტერატურული თავწყაროს ტოლფასი ეკრანული ხორცშესხმა; არც ის ჩაუთვლიათ საჭიროდ, რომ ჩვენც გვცოდნოდა ის, რაც იმ დროს ამერიკულ კინოპრესაში იწერებოდა რუბენ მამულიანის გამო: - „პროფესიონალები და ფართო პუბლიკა მოხიბლულია მისი ფილმების გამოშახველობითი კულტურით, მხატვრული და ტექნიკური ნოვატორობით, რეჟისორული მიგნებებით, ე.წ. „სუბიექტური კინოკამერის“ ეფექტის შთამბეჭდავი გამოყენებით“...

მაგრამ მე მაინც მაღლიერი დავრჩები წიგნისა - „ერთსართულიანი ამერიკა“, რაკილა სწორედ მისით (სხვა არაერთ სიკეთესთან ერთად) ხსოვნაში ჩამჩა თბილისელი ხელოვანის, მამულიანის მიხრანელის, გვარ-სახელი - რუბენ მამულიანი, რომელიც თურმე შორეულ-შორეთში, მაშინ ჩემთვის ფიქრითაც კი მიუწვდომელ ამერიკაში იღებდა მომხიბვლელ კინოფილმებს...

ბევრს ახსოვს, ალბათ, ინფორმაციულ ეკუთმში მყოფ ჩვენი თაობისათვის როგორი შვებისა და გონებრივი შუქის მომტანი იყო - ომის დამთავრების შემდგომ პირველ წლებში - საბჭოეთის კინოეკრანებზე ზმანებასავით რომ გამოეფინა ე.წ. „ნადავლი ფილმები“. მათ შორის არცთუ ცოტა

აღმოჩნდა მსოფლიო კინოს საუკეთესო ნიმუში. დიალოგების რუსული თარგმანებით (სუბტიტრებით) უჩვენებდნენ მათ, ოლონდ, ხშირად, შეცვლილი სათაურებით და ავტორების - სცენარისტების, დამდგმელი რეჟისორებისა და როლების შემსრულებელ მსახიობთა აღნიშვნის გარეშე. ასე მგონია, დღემდე არ გამოუვლია-ყოფი, ჩემს ადრეულ ასაკში ნანახი იმ კინოსურათების შთაბეჭდილება. მათ შორის იყო - ამერიკული ავანტიურული - „ზოროს ნიშანი“ და ისტორიული მელოდრამატული - „დელოფალი ქრისტინე“ - ორთავე რუბენ მამულიანის რეჟისორული ნახელქმნარი (ადრე არც ეს ვიცოდი). ხოლო როცა მრავალი წლის შემდეგ - 1961-ში, უკვე პირადად შევხვდი რუბენ მამულიანს, ასე თუ ისე, მაინც წარმომედგინა ამერიკულ თეატრალურ თუ კინოხელოვნებაში დატოვებული მისი შემოქმედების კვალი: ვიცოდი, რომ სცენაზე დადგმული ჰქონდა სამოცზე მეტი დრამატული სპექტაკლი და ოპერა, გადაღებული - თვრამეტი ფილმი და აღიარებული იყო „კინონის“ გამდიდრებით; მან პირველმა გამოიყენა ამერიკულ კინოში მუსიკის, ბუნებრივი ხმებისა და პერსონაჟთა დიალოგების ცალ-ცალკე ჩაწერის მეთოდი და ჯერ კიდევ 30-იანი წლების დამდეგს, როცა „დაიდი მუნჯი“ ის-ისაა „ენას იდგამდა“ და ხმას იღებდა, მიაღწია კინოსურათებში სმენით-ჭვრეტითი რიგის იშვიათ შთაბეჭდაობას; მან პირველმა აქცია ფერი ფილმის დრამატურგიულ და ფსიქოლოგიურ კომპონენტად; მასვე ეკუთვნის არაერთი თვითმყოფი და უჩვეული ხიბლის მაღალნიჭიერი მსახიობის აღმოჩენა და ეკრანზე დამკვიდრება... თუმცა-ღა, კაცმა რომ თქვას, ეს ყოველივე ზომ აღნიშნულია კინოს ისტორიის ქრესტომატიებში, ენციკლოპედიურ კინო-ლექსიკონებში და ჩემი ხელობის ადამიანს, ალბათ, სირცხვილადაც ჩათვლებოდა, რომ არ მცოდნოდა. მით უფრო ძლიერი იყო ასეთ ხელხვაგვიან თეატრალთან და კინემატოგრაფისტთან პირადად შეხვედრისა და გასაუბრების ცდუნება.

და აი, ბედნიერი შემთხვევა: კინოფესტივალის პრესცენტრში აკრედიტებული რამდენიმე ჟურნალისტი მიგვიწვიეს „საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხებთან მეგობრობის სახლში“, სადაც იმართებოდა ამერიკელი რეჟისორის რუბენ მამულიანისა და საბჭოთა კომპოზიტორის არამ ხაჩატურიანის შეხვედრა-დიალოგი. საბჭოური იდეოლოგიის სტანდარტების მიხედვით, ამგვარი ღონისძიება, ეროვნულ უმცირესობათა კულტურებისადმი პატივისცემის გამოხატულებად ითვლებოდა. ჩანს, მეც ამ ნიშნით მხვდა პატივი მასზე დასწრებისა...

*
ისინი მეგობრულად საუბრობდნენ, სჯანი



■ „აშლონისმანტაჟი“ 1929



■ „ძალაქის ქუნჯი“ 1931



„შეიყვარე ავაღამ“



■ „დედოფალი პრისტინა“ 1933



■ „ქიპატიბ ქიპა 1933



ჩვენ ვცოცხლრები 1934

ჰქონდათ თანადროული მუსიკის, დრამისა და კინოს განვითარების პერსპექტივებზე, ახალი ფორმების ძიებაზე. რუბენ მამულიანი ამბობდა: ტრადიციული ოპერეტა და ოპერა მოძველდა, მომავალი ეკუთვნის სხვადასხვა ელემენტების ინტეგრაციას, ხელოვნების სახეობათა ურთიერთშეღწევას.

- მართლაც, ამით გამოირჩა თქვენი „ოკლაჰომა“, - სიტყვა ჩაუთო არამ ხანატურიანმა.

*

... ცხადია, ეს სპექტაკლი ნანახი არ მქონდა, მაგრამ სწორედ იმ წელს - 1961-ში შემოვიდა ჩვენში რეჟისორ ფრედ ცინემანის ფილმი „ოკლაჰომა“ და მე მხოლოდ შემდეგ ვარმოძღვინა როჯერსის მუსიკა - მღერადი, ხალხური მელოდიების საწყისებიდან წამოსული, - რომელიც 1943-ში საფუძვლად დაედო რუბენ მამულიანის საქვეყნოდ გახმაურებულ დადგმას. ცნობილია, რომ ეს მუსიკალური დრამა ამერიკაში თორმეტი წლის განმავლობაში არ ჩამოსულა სცენიდან, ხოლო ინგლისში შვიდ წელიწადს გასძლო სცენაზე.

ახლა საერთოდ მიღებული აზრია, რომ სწორედ მამულიანისეულ „ოკლაჰომაში“ იღებს სათავეს თანადროული ამერიკული მუსიკალური თეატრი და ახალი ჟანრიც - მიუზიკლი; რომ „ოკლაჰომას“ გარეშე ვერ დაიბადებოდა ბევრი ბრწყინვალე მუსიკალური სპექტაკლი და ფილმიც, მათ შორის „ვესტსაიდური ამბავი“, რომელიც, სხვათაშორის, იმავე 1961-ში ვნახე პირველად მოსკოვის კინოფესტივალის გრანდიოზულ ეკრანზე და მაშინდელი ალტაცება და გამაოგნებელი შთაბეჭდილება დიდხანს არ გამჩენლებია... თუმცადა, აქვე დავსძენ სინანულით:

თითქმის მეოთხედი საუკუნის დაგვიანებით შემოვიდა (თუ ძლივს შემოაღწია!) საბჭოეთის კინოეკრანებზე ამ - დღევანდელ ჩვენს სინამდვილეში დანახულმა - კლასიკური „რომეო და ჯულიეტას“ ან - იქნებ უფრო სწორედ, - ეროვნულ-რასობრივი შეუწყნარებლობის თანადროულმა ტრაგედია. არ ვიცი ვის გაახსენდა იგი სწორედ იმ ისტორიულ მომენტში, როცა ნაკერებში სკდებოდა და ირღვეოდა საბჭოური „თავისუფალ ერთა მძლე კავშირი მძური“. ერთი შეხედვით, იგი თითქოს იმჟამინდელი ჩვენი ცხოვრების ტკივილებს უნდა შეხმანებოდა, მაგრამ შედეგი ყოვლად მოულოდნელი აღმოჩნდა: - ფილმმა უღიმღამოდ ჩაიარა მთელი საბჭოეთის კინოეკრანებზე. მიზეზს აღარავინ ჩაძიებია. სიმართლე კი, თუ გინდათ, ის იყო, რომ იმ გავლილ ოცდასუთ წელიწადში უკვე უწყალოდ დატაცებული და დევალივირებული აღმოჩნდა ამ ბრწყინვალე მიუზიკლის ბევრი ეფექტური მხატვრული მიგნება, ფსიქოლოგიური და ემოციური ზემოქმედების უნარი

- ხელიერობიერად გამართობი კომერციული კინოს მიერ, რომელსაც საერთო არა ჰქონია რა ნამდვილ ხელოვნებასთან... კინოს ბედობა და უბედობაც ხომ ესაა. მაგრამ ახსოვთ კია ამერიკული კინოს ოსტატებს - სად იდებს სათავეს მხატვრული შემოქმედების და მასობრივი მაყურებლის თვალ-გულ-გონისმიმტაცის ხერხები და საშუალებები, რომლებსაც ახლა ისინი ასე შესანიშნავად ფლობენ?! ადამიანთა უმადურობას ხომ ბოლო არასოდეს დასდებია...*

არამ ხანატურიანთან საუბარში კი რუბენ მამულაიანი იხსენებდა თავის უფრო ადრინდელ თეატრალურ დადგმებს. „ამერიკელებს ძალიან უყვართ პოპულარული სიმღერები, - ამბობდა იგი, - მათ, მეტადრე კი ზანგებს, რიტმის არაჩვეულებრივი გრძნობა აქვთ, მაგრამ 20-იან წლებში ამერიკაში არ არსებობდა ოპერა, იყო მხოლოდ ბურლესკი - ეს რაღაც ნაბიჭვრული თეატრალური ფორმა - პრიმიტიული, ლამის იდიოტური სიუჟეტებით. მე ჩავიფიქრე სპექტაკლი, რომელშიც ერთმანეთს შეერწყმებოდა რიტმულად სტილიზებული სიმღერა, ცეკვა, დიალოგი და მუსიკა. რაღაც გუმანით ვგრძნობდი, რომ ამგვარი სტილიზაცია, - ფსიქოლოგიურ სიმართლესთან შეწყვილებული - მეტ შემოქმედებას მოახდენდა მაყურებელზე, ვიდრე „სცენური ნატურალიზმი“. ასე დავდგი დრამატული პიესა „პორგი“.*

(ცნობილია ის მოულოდნელი შეფასება, რომლითაც გამოეხმაურა ამ **დრამატულ** სპექტაკლს ფრანგი კომპოზიტორი მორის რაველი: „ეს ყველაზე საუკეთესო ოპერაა (!), რომელიც კი ოდესმე მინახავს“. მერე, თითქოს „ბოლეროს“ შემოქმედის ამ წინასწარმხვედრის გამართლებად გაისმა გერშვინის „პორგი და ბესი“, ისევ რუბენ მამულაიანის მიერ დადგმული სცენაზე, 1935-ში).

კიდევ ბევრი რამ საინტერესო და საგულისხმო ითქვა იმ შეხვედრა-დიალოგის დროს. ეს იყო ორი ჭეშმარიტი არტისტის, ორი ნამდვილი შემოქმედის გამხელილი ფიქრები, გულისთქმა, იქნებ სამომავლოდ განმდინებული და გასაგონიც. შევსცქეროდი იმ ორ ნიჭიერ ხელოვან ადამიანს, - ორთავეს საქართველოს მიწა-წყალზე დაბადებულთ, - და ახლა ერთი ნამდვილი ამერიკელი იყო, მეორე - ნამდვილი საბჭოელი, მათ ფიქრსა და ნააზრევში კონკრეტული ეროვნულობა აღარ იგრძნობოდა, მათში არ მქლავნებოდა მშობლიური ხალხისა და ქვეყნის არც ისტორიული, არც თანადროული ტკივილები. ისინი საუბრობდნენ ხელოვნების განვითარების ზოგადსაკაცობრიო საკითხებზე და თუმცა ძალიან საინ-

ტერესო იყო მათი ნაფიქრალისა და სჯანის მოსმენა, ზოგჯერ ქვეცნობიერად მაინც გამოივლებოდა ხოლმე გენიალური რუსთაველის - „ვაჰ, სოფელი, რა შიგან ხარ...“ ან „სადაურსა სად წაიყვან...“

*
იმ დღეს რატომღაც თავი ავარიდებ მასთან ახლო მისვლას და გამოლაპარაკებას. კინოფესტივალი გრძელდებოდა, დრო ითმენდა თითქოს.

მასხოვს, თბილი და ალურსიანი მოსკოვი ივლისი იდგა. კინოთეატრ „როსინაში“, სადაც ფესტივალის საკონკურსო ფილმებს უჩვენებდნენ, ერთ უდიდესო სურათს გული ვეღარ დავუღი და დარბაზიდან გამოვედი. ვეცომა, სხვაც ბევრი მოქცეულა ასე და კინოთეატრის ტერასაზე, პუშკინის მოედანს რომ გადავყურებს, ხალხი ირეოდა. შორს, მოაჯირთან რუბენ მამულაიანი დავლანდე. იგი გარეგნობითაც უძალ იქცევა გულისყურს: - ტანმალაი, ჩვენში რომ იტყვიან - ხმელ-ხმელი, შუბლგახსნილი, შთაგონებული გამომეტყველებისა, ძველებური ყაიდის მრგვალი ლინზებთან სათვალეს ატარებდა, სომეხი ინტელიგენტის თავისებური იერით „დასატუს“ ანუ ჰაოსიანთა მასწავლებელს უფრო ჩამოჰკავდა. თვალებისა და პირისახის ნაკვეთების ასე მკვეთრი მონახულობა კი, შინაშეული მაქვს, სომხური ფრესკებისთვისა დამახასიათებელი... მიუხედავად, ვავეცანი: გაზეთ „თბილისიდან“ ვარ-მეთქი.

- თუ არ ვცდები, იმ დღეს ჩემ და არამ ხანატურიანის შეხვედრას ესწრებოდით „მეგობრობის სახლში“. დასტურად თავი რომ დავუკარი, მკითხა: - რატომ იქვე არ გამეტყვანითო.

- სულ სხვა გარემო იყო, მომერიდა-მეთქი.

- ვაჰ, „პრესა“ და მორიდება! - ისე შესძახა, უძალ ვიგრძენი მის კილო-მოქცევაში რაღაც ძველთბილისური.

*
მშვენიერად საუბრობდა რუსულად. ივონებდა თბილისს, მის აღმართ-დადმართიან რიგის ქვით მოკირწყლულ ქუჩებს, მტკვარსაგამა კლდეზე გადმოკიდებული აივნაინი სახლები ისევ თუ დგასო... გაიხსენა თავისი მამულითი - მუხრანი და მოულოდნელად ქართულით მოაყოლა: „როცა მუხრანში დიდუდასთან ჩავიდიდი და ორლობეში გავივლიდი (ეს სპეციფიკურად ქართული „ორლობე“ რაღაც თავისებური საზგასმით წარმოთქვა), მეზობელი დედაკაცები ერთმანეთს გადაულაპარაკებდნენ: - მამულაანთ კატოს შაქროს ბიჭი მოდისო“.

გაოცება რომ დამატყუ, ოდნავ თავმომწონედ თქვა: - „დახ, ავერ ორმოცი წელია ამერიკაში ვცხოვრობ, მაგრამ არც ქართული და არცა სომხური არ დამვიწყებია. ორივე ჩემი მშობლიური ენაა. პაპაჩემი

და დიდდა (მამის მხრიდან), ისევე როგორც ჩვენი ოჯახის ბევრი ახლობელი და ნათესავი - „მამულაინი“ ქართულად მეტყველებდნენ, დედაჩემი კი თბილისის სომხური დრამის მსახიობი იყო. ჩვენ - მე და დედა - ახლაც, კალიფორნიაში, შინ მეტწილად სომხურად ვსაუბრობთ...*

კვითხე: საზღვარგარეთ როგორ მოხვდით-მეთქი.

- ექვსი წლისა ვიყავი, - თქვა, - პარიზში რომ გამაბარეს სასწავლებლად და ათ წლამდე მონტენის ლიცეუმში დავიარებოდი. სხვათაშორის, იქ ჩემი თანაკლასელი იყო რენე შომეტი, შემდომში ფრანგული კინოს თვალსაჩინო რეჟისორი - რენე კლერი... თბილისში რუსული გიმნაზიის დამთავრების შემდეგ კი, მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ვსწავლობდი. მაგრამ გული მუდამ თეატრისაკენ მიწევდა. და როგორც კი გავივე - ვახტანგოვის სტუდიაში ახალ ნაკადს ლებულობენო, დაუყოვნებლივ იქ მივაშურე. წარმოვიდგენია, სულ რაღაც სამი თვე დავყავი ვახტანგოვის სტუდიაში, მაგრამ სწორედ იმ სამმა თვემ განსაზღვრა ჩემი მომავალი. მოდი და თქვი - ბედი არაფერ შუაშიაო. რაც შუბლზე გაწერია, ის ახდება!..

მეჩვენა, თითქოს განგებ ამოილო ჯიბიდან ხელსახოცი და ოდნავ დაცვარული შუბლი მოიწმინდა. პაუზის შემდეგ კი, განაგრძო:

- 1920-ში ჩემი და გათხოვდა, ცოლად გაჰყვა ინგლისელს. დისა და სიძის მოსანახულებლად ლონდონში ჩავიდი და იქ, შემთხვევით, „სენტ-ჯეიმსის“ თეატრში ერთი მაღალი კლასის რეჟისორის ასისტენტობა შემომთავაზეს. ახალგაზრდა ვიყავი, გაბედული და უკომპრომისო. იმ რეჟისორთან ჩემი ურთიერთობა კონფლიქტით დამთავრდა. თუმცა კი, მოხდა ისე, რომ სულ მალე იმავე თეატრში დამოუკიდებლად დავდგი სპექტაკლი, რომელმაც სახელი გამითქვა... მერე ჟან ებერტომ მიმიწვია პარიზში, ელისეს მიმდევრებზე თეატრში, სადაც ცნობილი თეატრ კომისარჟეესკი დგამდა სპექტაკლებს... სხვათაშორის, ამ ხუთი წლის წინ ისევ მიმიწვიეს პარიზში და იმავე თეატრის სცენაზე განვახორციელე ახალი დადგმა. პარიზი მაინც პარიზია: იქ თუ ერთხელ გული გაუთბათ რაიმეზე, მერე დავიწყებისთვის არ ემეტებათ...*

ლონდონსა და პარიზში ჩემი სპექტაკლები ამერიკელ ჯორჯ ისტმენს უნახავს როგორღაც და წერილი გამომიგზავნა: მთხოვდა როჩესტერში ჩავსულიყავი. საოპერო სტუდიის ჩამოყალიბებაში დავხმარებოდი და სპექტაკლებიც თავადვე დამეღდა.

იმხანად უსასრულოდ შორი და თვალმიუწვდომელი მეჩვენებოდა ოკეანის გაღ-

მა „ახალი სამყარო“. თუმცა, ასე იყო თუ ისე, სულ რაღაც ორ კვირაში უკვე იქ ვიყავი და 1922-ში პირველად შევაველეთ თვალი ცათამბვჯენებს. ამ სანახაობით გაშეთებულს უფრო იმით მივლავლავდა გული - თურმე რა ახლობელი ყოფილა სულიერად ჩემთვის მარკ ტვენის, ბრეტჰარტის, ედგარ პოს და უოლტ უითმენის ქვეყანა. ისიც იქვე იყო, ახალბედას რომ მიჩნეის გვარის შეცვლა - „რუბენ მამ“ უკეთ ჟღერსო. უარი ვთქვი - თვითმყოფობის შენარჩუნებას ცვდილობდი ყველგან და ყველაფერში...

თითქმის სამი წელიწადი დაკავი „ისტემენ-თეატრში“. ვღაპდი ოპერებს. სწორედ აქ ჩამომიყალიბდა ძირითადი შეხედულება თეატრალურ ხელოვნებაზე, - შეიძლება ითქვას, - აქ მივაგენი ჩემს თავს. ისე, როგორც ყველა დებიუტანტს, თავიდან მეც მიტაცებდა ლოზუნგი „ხელოვნება ხელოვნებისათვის!“ მერე ცხოვრების ნატურალისტური ასახვა ვარჩიე. ეს მიკერძოებაც გადავლახე „ისტემენ-თეატრში“. დროის ქარსმოყოლილი თითქმის ყველანაირი „საყმაწვილო სენი“ ვინაღაც და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ თეატრში თავი და თავია არა სცენური ნატურალიზმი ანუ ცხოვრების, თვალხილული სინამდვილის ზუსტი ასლის კეთება, არამედ სტილიზება, პოეტური რეალიზმი. შემდეგ ამ გზას ვადექი კინოშემოქმედებაშიც... „ისტემენ-თეატრში“ კი ჩემი პირველი სპექტაკლი იყო „ზმაურის სიმფონია“ - ამერიკის სამხრეთის ზანგებზე. შემდეგ დავდგი იუჯინ ონილის სატირული პიესა მარკო პოლოზე და კარელ ჩაპკის - „რობოტი“...

თუმცა, ეს ყოველივე მშრალი ბიოგრაფიული ფაქტების ჩამონათვალაა. რუბენ მამულიანი კი გიპყრობდათ პიროვნული ხიბლით, ერუდიციით, ხელოვნებასა და მწერლობაზე ორიგინალური და ღრმა სჯანით, ხშირად - მოულოდნელი, ჯერ არ გაგონილ დასკვნებით... დიხვი და, იმადვროულად, ემოციური მოსაუბრე იყო. მის ნათქვამში ვერ იგრძნობდით რაიმე მენტორულ შეგონებას, ისევე - როგორც მთლიანად მასში - გულზვიადობასა და ამპარტავენობას. თუმცა, საკუთარ დირსების გრძნობას მუდამ ინარჩუნებდა...

როგორღაც ვკითხე: - თქვენს სპექტაკლებს დგამთ ამერიკაში, ინგლისში, საფრანგეთში. „ენობრივი ბარიერი“ როგორ გადალახეთ-მეთქი? - მომიგო: ფრანგული ზომ ბავშვობაშივე ავითვისე პარიზში სწავლისას, ის კი, როგორ დავეუფლე ინგლისურს, თავად განსაჯეთ იმით, რომ ძველი ინგლისურიდან თანადროულ ენაზე გადმოვიტანე შექსპირის „ჰამლეტი“. შევცალავე მოძველებული სიტყვა-თქმანი, რომლებიც აღარ ინმარება, ან რომლებმაც სხვა აზრი და

მნიშვნელობა შეიძინეს. წიგნს ჰქვია „ჰამლეტი“ შექსპირისა. ახალი ვარიანტი“. სწორედ ჩემი თარგმანით დაიდგა „ჰამლეტი“ კენტუკის უნივერსიტეტის თეატრში... *

ეს ყველაფერი, - რაღა თქმა უნდა, - ყურადსაღები და საგულისხმო იყო ჩემთვის, მეტადრე, თუ ოდესმე მოვიხდომებდი რუბენ მამულიანის ლიტერატურული პორტრეტის დახატვას. მაშინ კი, ისიც მეამაყებოდა, რომ ყოველივეს ასე უშუალოდ - მოსაუბრისაგან პირველ პირში თქმულს - გადავცემდი ჩვენი გაზეთის მკითხველებს. თუმცა, გამოვიტყდებით, ძალზე გულდათანაღრულიც ვიყავი, რადგან ვგრძობდი, რომ ჩემს იმჟამინდელ შეხვედრებსა და საუბრებს რუბენ მამულიანთან ნამდვილად აკლდა ბოლომდე გულახდილობა, უთქმელი რჩებოდა რაღაც მნიშვნელოვანი, რომელიც შუქს მოჰყენდა ამ ხელოვანი კაცის იმწუთიერ სულიერ მდგომარეობას. არა-და, დანიანებით შეიძლება ითქვას, რომ იგი სულაც არ ყოფილა დაინტერესებული კინოფესტივალის მსვლელობითა და მოვლენებით. ერთ-ერთ საუბარში რაღაც გულცივად, ყოველგვარი სინანულის გარეშე წასცა: აქ, ამ ფორუმზე იაპონელი კანეტო სინდოს „მიშველი კუმბულიც“ არ მინახავს, რომლის გამოც გაზეთები აჭრელებულია, წერენ - „ნამდვილი კინოშედეგიაო“. (არა-და, ეს ფილმი იმ წელს კინოფესტივალის მთავარი ოქროს პრიზით აღინიშნა)... ერთ-თავად შინაგანად აფორიაქებული ჩანდა, თვით საჭირბოროტო თემაზე საუბრის დროსაც კი, აზრი თითქოს სულ სხვა საფიქრალისაკენ გაურბოდა... ცდილობდა, შეუმჩნეველი დარჩენილიყო, მეტადრე - ჟურნალისტთა გულიწყური არ მიეპყრო თავისკენ, ამერიკელი კინოს მოღვაწეებთან ერთადაც კი ერიდებოდა საჯაროდ გამოჩენას... თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ რუბენ მამულიანისათვის თვალი არ მომიკრავს იმ დარბაზობაზეც, საბჭოთა კულტურის მინისტრმა - ეკატერინე ფურცევამ რომ გამართა კინოფესტივალის მონაწილეებისათვის.

აქ, ამ დარბაზობაზე შედგა პირველი გმირი კოსმონავტის - იური გაგარინის მართლა დაუვიწყარი სენსაციური შეხვედრა მსოფლიო პრესისა და ელიტარული მხატვრული სამყაროს წარმომადგენლებთან. მაგრამ პარადოქსი ის არის, რომ გაგარინთან შეხვედრაზე მეტად, საყოველთაო რეზონანსით განმარდა ასეთი „მაღალი დონის“ ღონისძიებაზე ძნელად წარმოსადგენი კურიოზი, - კერძოდ: მინისტრთან დარბაზობაზე ზუსტად ერთფერ და ერთნაირად შეკერილ კაბებში ტყუპის ცალბივით ჩაცმულნი, ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ იმ კინოფესტივალის ყველაზე კამკამა კინოვარსკვლავები - ამერიკელი ლიზ

თელიორი და იტალიელი ჯინა ლოლობრიჯიდა... უნდა გენახათ, ლამისა ყირაზე რომ გადადიოდნენ ფოტორეპორტიორები, რა რაკურსით აღარ ცდილობდნენ გადაეღოთ ესოდენ მოულოდნელ საჭოკმანო ვითარებაში ჩავარდნილი და გაშეთებული ვარსკვლავები, რომელთა სახეზე აღბეჭდილ დაბნეულობასა და სიბრაზეს თვით მათი ნამალადევი ღიმილი და ოსტატურად დაღებული მაკიაჟიც ვერ ფარავდა.

მერე ამბობდნენ, რომ ერთსაც და მეორესაც - (ცხადია, ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად), პარიზში სახელგანთქმულ სამკერვალო ფირმის დაუკვეთათ - საგანგებოდ მოსკოვის კინოფესტივალზე გამოსაჩენად - ძვირადღირებული კაბები, და იქ მომხდარაო გაუგებრობა... მე კი, იმთავითვე შეეჭვებოდა, რადგან ეს ყოველივე განგებ გამოწვეულ პროვოკაციას უფრო ჰგავდა, ვიდრე რაღაც შეცდომას ან უნებლიე გაუგებრობას. და აი, რატომ:

იმ მომენტისათვის კარგა ხანია (თითქმის ორი წელი) იღებდნენ ამერიკულ ფილმ-სუპერკოლოსს - „კლეოპატრას“, რომელშიც მთავარი როლის შესრულებისათვის ლიზ თელიორს ერთ მილიონ დოლარზე დაუდეს კონტრაქტი. ბულვარული პრესა სწორედ ამ ფაქტზე ამახვილებდა გულისხმურს, წერდა - მსახიობისათვის ერთ როლში ესოდენ იგავითიწვედომელი ჰონორარი პირველი შემთხვევაა კინოს ისტორიაში... თუმცა, რომ იტყვიან - „ეხადღებული წყალწაღებული“, ისე მოხდა. ბევრი გაღიზიანებული იყო მომავალი ფილმის წინასწარი წრესგადასული ხმაურიანი რეკლამით, ზოგი შურს ვერ ფარავდა ღვარძლიან რეპორტაჟებში. ამ მხრივ ყველაზე დაურიდებელი იყო ევროპული პრესა, მეტადრე - ფრანგული ჟურნალი-გაზეთები. წერდნენ: ეს არნახულად ძვირადღირებული „ბალაგანური მოუ“ (ინგლისურად „მოუ“ სანახაობას ნიშნავს), იმადვროულად ისტორიაში ჩაუხედაობისა და გაუგონარი უმეტრების ნიმუშიაო. ხშირი იყო გესლიანი და დაუფარავად სკაბრეზული გამოთქმები ლიზ თელიორის მიმართ. ერთთავად პირზე ეკერათ მისი ეჭვისაღმძვრელი დამოკიდებულება მეხუთე ქმართან - ჯაზის მუსიკოს ედი ფიშერთან და ფილმ „კლეოპატრაში“ მის პარტნიორ მსახიობ რინარდ ბართონთან. მხედველობიდან არ რჩებოდათ კინოვარსკვლავის ქედმაღლობა, სიუხეშე, მომხვეჭველობა, ძვირფასი თვლებით მოოჭვილ სამკაულებზე დასარბება და იმადვროულად - უწიგნურობა და მეშინური გემოვნება. პირდაპირ აღინიშნავდნენ: არ იცის და არც ენადლევა, რა სახეს ქნის ეკრანზე იგი ცხოვრებაში უფროა ფარაონი, ვიდრე ფილმშიო. თავი მოაქვს ნამდვილ ქალღვთაებად, შეუვალ დედოფალად... ერთ-ერთი რეპორტაჟის ავტორი კი, რომელიც - შედა-

რებით, - უფრო თვალმასხვილი და საქმეში ღრმად ჩახედული ჩანდა, გვიზიარებდა საკუთარ დაკვირვებას: „ფილმის რეჟისორს კიდევაც რომ გაეებდა და მონედომებიან ლიზ თეილორის კლეოპატრასთვის რაიმე ისტორიულად მართალი შტრიხის ან პლუტარქეს მიერ აღწერილი ეგვიპტის განმგებლის პორტრეტთან მისი რომელიმე დამახასიათებელი თვისების მინიჭება, რაგინდ აღიარებული ხელოვანიც უნდა იყოს ის რეჟისორი, სულერთია, ისეთი რისხვა და ზარი დაატყდებოდა თავს გაავეებული და თავნება კინოვარსკვლავისაგან, რომ გადასაღებ მოედანზე მას აღარ დაედგომებოდა“...

და აქ - სდექ! სწორედ ამ რეპორტაჟის ბიძგით ყველა ფაქტი - ჩემი თვალთ ნანახი, ყურით გაგონილი ან პრესიდან გამოხშირვით აღებული - თითქოს ერწყმოდნენ ერთმანეთს ჩემს წარმოდგენაში იმის პასუხად, თუ რატომ მეჩვენებოდა იმ 1961-ში, მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე ჩამოსული რუბენ მამულიანის დაბნეულობა, ხშირად - გამოხედვა თუ სიტყვა-პასუხიც - ესოდენ უცნაური და იდუმალი.

ვისსენებ: მაშინ, ლიზ თეილორის ავადმყოფობის გამო, შეჩერებული იყო „კლეოპატრას“ გადაღება, რომლის დამდგმელი რეჟისორიც იმჟამად რუბენ მამულიანი გახლდათ. მანამდე კი, ცოტა ადრე, ჰოლივუდის ერთ-ერთ საინფორმაციო გამოცემაში უკვე გამოჟონა ცნობამ, რომ „კლეოპატრას“ გადაღები კომპანიის მითითებით ფილმის რეჟისორობიდან გადაყენებულია ანუ მოხსნილია რუბენ მამულიანი. ეს თითქოს ისე, სასხვათაშორისოდ იყო თქმული, რაიმე მიზეზის დასახელების ან კომენტარების გარეშე... ბუნებრივია, თუ შეურაცხყოფილმა რეჟისორმა მოითხოვა კომპანიის თავკაცებისაგან ახსნა-განმარტება, რატომ ან რის გამო გააუქმეს მასთან დადებული კონტრაქტი. ისიც ცხადია, რომ კინოკომპანია კარგად იცნობდა და აფასებდა რუბენ მამულიანის რეჟისორულ გამოცდილებას და ოსტატობას, სხვაგვარად წარმოუდგენელი და შეუძლებელია ასეთ გრანდიოზულ, მრავალმილიონიან პროექტზე საბუშაოდ მისი მიწვევა. თუმცადა, მათთვის მთავარი მაინც კომერციაა. და თუ მართლა ყველაფრის მიზეზი თავნება კინოვარსკვლავის გაკაპასება-ამხედრება იყო პრინციპული რეჟისორის წინააღმდეგ, მაშინ, - რალა თქმა უნდა, - ისინი ამ კონფლიქტში ლიზ თეილორის მხარდამჭერნი იქნებოდნენ, მიუხედავად, რომ ფილმის ნახევარზე მეტი უკვე გადაღებული იყო და ასეთ დროს მთავარი როლის შემსრულებლის სურათიდან ჩამოშორება და განაწყენებულად წასვლა - გარდუვალი ფინანსური კრახი იქნებოდა კომპანიისათვის... ამიტომაც ვიფიქ-





რე - იქნებ სწორედ კინოკომპანიის თავ-
კაცებმა ურჩიეს-მეთქი რუბენ მამულიანს
- მოსკოვს ჩასულიყო კინოფორუმზე და
როგორმე შემოერიგებინა დამღურებული
კინოვარსკვლავი. მაგრამ ჩანს, რუბენ მამუ-
ლიანისათვის ძნელი აღმოჩნდა თავის ასე
დამდაბლება, მის სულწიაღში ერთმანეთს
ებრძოდა ნამდვილი მხატვრის რწმენა -
საქმოსანთა გარიგებას. იგი ახალგაზრდა
აღარ იყო და არჩია საკუთარ პრინციპებ-
თან დარჩენა. თუმცადა, არც ისაა გამო-
რიცხული, რომ მაშინ ლიზ თეილორის
სიჯიუტის გამო მათი შერიგება არ მოხერ-
ხდა...

არ ვიცი, სინამდვილეში რა რით დას-
რულდა. ის რაც ზემოთ ითქვა, მხოლოდ
ფიქრში დაშვებული ვარაუდებია. მაგრამ
მაშინ - 1961-ის ივლისში, მოსკოვის კინო-
ფესტივალის ორომბრიალში, ამ ფაქტების
გამო - არც მას, არც მე - ერთმანეთში
სიტყვა არ დაგვცდენია.

დღეს კი, ალბათ, უფრო იმისთვის ვისე-
ნებ იმ უთქმელ ამბებს, რომ დარწმუნებუ-
ლი ვიყავი მაშინ და მჯერა ახლაც: იმ
დროს „კლეოპატრას“ გადაძღვებ კინოფირ-
მის თავკაცებს - და თავად ფილმში მონა-
წილე ვარსკვლავებსაც - მეტი სულგრძე-
ლობა და ცოტა სიბრძნეც რომ გამოეჩინა-
ნათ, უდავოა, რომ რუბენ მამულიანისეუ-
ლი „კლეოპატრა“ ბევრად ახლო იქნებო-
და როგორც ისტორიულ სიმართლესთან,
ისე ნამდვილ კინოხელოვნებასთან... არადა,
ვკითხულობ ახლა რუსეთში გამოცემულ
ენციკლოპედიურ კინოლექსიკონში რუბენ
მამულიანისადმი მიძღვნილ სტატიას, რომე-
ლიც მთავრდება ასე: „ფირმის ხელმძღვა-
ნელობის მითითებით, 1961-ში, ისტორიულ
სუპერკოლოს „კლეოპატრას“ გადაღებას ჩა-
მომორებული, იგი კინოშემოქმედებას აღარ
დაბრუნებია“.

დააკვირდით, ამ სიტყვებში სინამდვილის
ობიექტური ძიების და ახსნის არავითარ
სურვილიც კი არ იგრძნობა, არც ღვა-
წლმოსილი ხელოვანისადმი რაიმე თანაგ-
რძნობა?! არც ილფისა და პეტროვის „ერთ-
სართულიანი ამერიკა“ გახსენებით!

*

... რუბენ მამულიანთან საუბრების ფრაგ-
მენტები იმავე - 1961-ის ივლისში დაი-
ბეჭდა გაზეთ „თბილისში“, კინოფესტივა-
ლიდან გამოგზავნილ ჩემს რეპორტაჟში.
გაზეთის ნომერმა მოსკოვში ჩამომისწრო.
მსოფლიო კინოფორუმის ბოლო დღე იყო.
სასტუმრო „მოსკვას“ ჰოლი ჟამუხსოვა-
რი ბაბილონი გეგონებოდათ, ერთმანეთში
ირეოდა მთელი მილეთის ხალხთა ენები,
რასები, ერები... ამ სიჭრელეში თვალის
ცეცებით დავეძებდი რუბენ მამულიანს.
მალე მივაგენი. გაზეთი გადავეცი. სახეზე
კმაყოფილება დაეტყო. გაკეცა და პიჯა-
კის უბის ჯიბეში შეინახა. არადა, შეწუ-



■ წარწერა საფლავის ძვავზე:
„რუბენ მამულიანი -
დიდი რეჟისორი“

ხეული, აშკარად რაღაცით გულდათან-
ღრული და გაწილებული ჩანდა. ალბათ
სახეზე შეკითხვა გამოქნა და პასუხი
არ დაყოვნა:

- როგორც ჩანს, წელს პირობას ვერ
შეგასრულებ - თბილისში ვერ გეწვევით.
დღეს ოფიციალურად განმცხადეს - „თქვე-
ნი სამშობლო ახლა მზად არ არის თქვენს
მისაღებად“. არა-და, როგორ მოგწონთ
ფორმულირება: - მშობელი მზად არ გახ-
ლავთ „ემეცტომილის“, „უძლები შვილის“
მისაღებად! - ეკ, რა გაეწყო... სამერ-
მისოდ გადაიღო თბილისთან შეხვედრა.
ოღონდ, იქნება კი ეს მერმისი?!

*

... და მხოლოდ ათი წლის შემდეგ -
1971-ში ისევ მოსკოვში შეგვხვდი რუბენ
მამულიანს. ამჯერად ცოტა დაგვიანებით
ჩამოვიდა საერთაშორისო კინოფესტივალზე,
ზურგიდან მომესმა ნაცნობი ხმა:

- „შვილი!“ - მივიხედე. ღიმილი შემა-
გება და ხმადაბლა, მაგრამ მტკიცედ თქვა:
- აი, წელს კი ნამდვილად ჩამოვალ თბილის-
ში“ - თვალეში ჩამხედა და კვიმატი იე-
რით დასძინა: „ჩემს მისაღებად „მომზადე-
ბას“ როგორ ვერ შეისძლებდნენ ამ ათ წე-
ლიწადში?!“

შემდეგ ყოველივე სტანდარტულად წა-
რიმართა: კინოფესტივალი რომ დაიხურა,
ფორუმის მონაწილენი მოსკოვიდან გაემ-
გზავრნენ - ზოგი სად და ზოგი სად. რუ-
ბენ მამულიანი თბილისში გადაფრინდა,
მე კი ორი დღე მოსკოვში შევყოვნდი.
თბილისში ჩამოსვლისთანავე ტელეფონით
დავუკავშირდი. დათქვით - ხვალ სასტუმ-
რო „ივერიაში“ მივაკითხავდი...

ნომერში რომ შევედი, წიგნში ფურც-
ლებზე ხის ფოთლებს აწყობდა საგულდა-
გულოდ. თქვა: „გუშინ მუხრანში ვიყავი,
ჩემს მამულეთში, პაპაჩემის ნასახლარზე
ხეხილის ფოთლები დავკრიფე, მინდა თან
წავიღო“ - ის არისო... ცოტა სენტიმენ-
ტალურად მიჩვენა მისი მოქმედებაც და
კილო-თქმაც. ალბათ სახეზე დამტყო, რაც
გავიფიქრე და თითქოს თავისთვის ჩაი-
ლაპარაკა: „წლები!.. წლებს თავისი გააქვთ...
დამიჯერე - არც „მიწის ყვილია“ უაზრო
თქმა!“...

*

მოელი ის დღე ერთად დავყავით. მოვი-
არეთ თბილისის ძველი უბნები. სიონი
მოვინახულეთ, ტაძარში არ შევსულვართ,
გარედან იჭვრიტებოდა თავდახრილი, ღია
კარში... გატიალებულ ქარვასლას ზერელედ
შეავლო თვალი და ზურგი აქცია. მერე
მედანში „სურბ სარქისის“ სომხური ეკ-
ლესია და იქვე - აშუღ საიათნოვას საფლა-
ვი მოვინახულეთ... ბნელ რიეთან რაღა-
ცით გაცეცხლებული მომიბრუნდა: „მოიცა,
აღარც ვანქის ბაზარია, არც შიიტების ცის-
ფერმინარეთიანი მეჩეთი, სად გააქრეთო?“

- ორთაგალისკენ მიმავალი მაგისტრალის
მშენებლობას შეეწირა-მეთქი. ეჭვის თვა-
ლით გადმოხედა, თუმცა, არა უთქვამს
რა, უბრალოდ ხელი ჩაიქნა და დადუმდა.
ნეტა რა სათქმელი შეაშრა პირზე?..

*

ესაუბრობდით. რაღა თქმა უნდა, მერჩია
მისგან მეტი გამეგონა. ამიტომაც უფრო
შეკითხვებით ვიფარვლებოდი.

- კინოში როგორღა მოხვდით-მეთქი.

- კაცმა რომ თქვას, სცენაზე მეტი
მაქვს გაკეთებული, ვიდრე ეკრანზე. და
მაინც, სხვა ქვეყნებში კინოთი უფრო მიცნო-
ბენ. ხელოვნებაში რისკი მიყვარს - ახლის
ძიება. გემოვნებით კი, ალბათ ეკლექტიკუ-
რი უფრო ვარ. არა-და, შენივე მიგნებების
გამეორება, გინდა თუ არა, მოსაბეზრებელ
სტერეოტიპთან მივიყვანს. ამიტომაც ყო-
ველ ახალ საქმეში ახლებურად ვცდიდი
თავს... როცა „პარამაუნტიდან“ მიწვევა
მივიღე, გამეხარდა - გაუკვალავ გზას უნდა
დავდგომოდი!.. ხშირად მეკითხებიან: - რამ-
დენი ხნის სწავლაა საჭირო, რომ კინო-
რეჟისორი გახდე? - ვინ იცის, მე, ალბათ,
კინოხელოვნებას ყოველი ეკრანული სურა-
თის ნახვით ვსწავლობდი. ფილმის წარმო-
ების ტექნიკა კი, სულ რაღაც ხუთ კვირა-
ში ავითვისე. დავეხეტებოდი კინოსტუდიის
პავილიონებში, ვაკვირდებოდი სხვა რეჟი-
სორთა მუშაობას და იმას უფრო ვიმახ-
სოვრებდი, თუ რა როგორ არ უნდა მეკე-
თებინა. ხელოვნებაშიც ასეა: კაცი კაცისა
ხიდა. შემდგომი გზა კი დამოკიდებულია
შენს მხატვრულ წარმოსახვაზე, შენს კინე-
მატოგრაფიულ ჭკურებაზე...

*

რუბენ მამულიანმა თავისი დებიუტი-
ფილმი „აპლოდისმენტები“ 1929-ში გადა-
იღო და კინოში პირველად ხმათა სხვადას-
ხვა ბილიკებზე ჩაწერით უმაღლეს დავად
ინოვაციური ხელოვანის სახელი. შემდეგ
მუსიკალურ ფილმ „ქალაქის ქუჩებში“
(1931) მან პირველმა შემოიღო კადრსმილმა
ხმა, როგორც სურათის გმირისა თუ მიხ-
რობელის შინაგანი მონოლოგი... ფილმში
„დოქტორი ჯეკილი და მისტერ ჰაიდი“,
რომელიც მან სთივენსონის მოთხრობის
მიხედვით დადგა 1932-ში, მსახიობი ფრედ-
რიქ მარჩი, ყოველგვარი კომბინირებული
კინოგადაღების გარეშე, უშუალოდ მყურებ-
ლის თვალწინ, გარდასახებოდა სრულიად
სხვა გმირად. ამ ხერხს კინომცოდნეებმა
„მამულიანის ეფექტი“ შეარქვეს და, თუ
არ ცვდები, იგი რეჟისორის საიდუმლოდ
დარჩა სამუდამოდ... 1935-ში დადგმული
მისი სურათი „ბეკი შარპი“ - თეკერეის
„ამაოების ბაზრის“ მიხედვით, - კინოს
ისტორიაში მიჩნეულია „ტექნიკოლოგზე“
გადაღებულ პირველ მხატვრულ ფილმად,
რომელშიც ფერი გამოყენებულია დრამა-
ტურგიულად. ამ მხრივ კიდევ უფრო

მნიშვნელოვანია, თავად რეჟისორის თქმით,
მისი ფილმი „სისხლი და ქვიშა“ - ბლასკო
იბანიესის რომანის ეკრანიზაცია (1941)...

მამულიანისეული ფილმების თუნდაც
ამ არასრულ ჩამონათვალში რამდენჯერ
მოგვიხდა ხმარება სიტყვებისა - „პირვე-
ლად“, „პირველმა“... ასე იყო ყოველთვის
- ხელოვნებაში ჭეშმარიტი აღიარება მარ-
ტოდენ ფაძირის გამტეხთა, ხნულის პირველ
გამვლებთა წილხვედრია.

სტილისტიკური, ჟანრობრივი და თემა-
ტიკური მრავალფეროვნებითაა აღბეჭდილი
რუბენ მამულიანის კინოშემოქმედება. გადა-
ღებული აქვს მიუზიკლები, ფათერაკები-
ანი თუ განგესტურული ფილმები, ტრაგე-
დიები თუ კომედიები, მელოდრამატული
„ქებათა ქება“ და ლიტერატურული კლა-
სიკის ეკრანიზაციები, ღრმა ფსიქოლოგი-
ური თუ ხელიეროტირად გამართობი სურა-
თები...

*

- როდესაც ვკითხე: და მაინც, კინო
ნამდვილ ხელოვნებად მიგაჩნიათ თუ მასობ-
რივი ვართობის საშუალებად? - მიპასუხა:

- ძირშივე მცდარია ამ ორი ცნების
აგრე გათიშვა. მართალია, ყოველი სანა-
ხაობა, ის, რაც ვართობაა, ხელოვნებად არ
იგულისხმება, მაგრამ ყოველგვარი ხელო-
ვნება, რაღაც წილად მაინც, ვართობაცაა.
თუ ხელოვნება ადამიანს ვერ აართობს, ანუ
ვერ იპყრობს, ვერ ითრევეს თავის სტიქი-
აში, იგი ან ნაკლები ხელოვნებაა, ანდა,
საერთოდ, მისათვლელი არ არის ხელოვნე-
ბათა შორის... ახლა ერთი გაუთავებელი
მითქმა-მოთქმა იმაზე, რომ „ვარსკვლავებს“
ყავლი გაუვიდათ - სცენაზეც და ეკრან-
ზეცო, მათი მზე ჩაესვენაო. სისრულელა!
ხალხი ყოველთვის მიდიოდა სანა ბერნა-
რის, მიხედა ჩუხოვის, ლორენს ოლივეისა
თუ ვივიენ ლის, - ან თუ გნებავთ, - ჩვე-
ნებურების - აკაკი ხორავასა და ფაფაზი-
ანცის საყურებლად. თვით ძველბერძნულ
თეატრშიც იყვნენ „ვარსკვლავები“, ოღონდ
მაშინ, ალბათ, სხვა სახელი ერქვათ... ახლა
დასტინ ჰოფმანი „ანტივარსკვლავად“ გა-
მაცხადეს. მერე-და, რა მნიშვნელობა აქვს,
ვის რას უწოდებ. მთავარია, რომ იგი უყ-
ვართ, მის სანახავად შედიან კინოფილმებზე,
- მამასადამე - „ვარსკვლავია!“ ამისათვის
კი არ კმარა მარტოდენ არტისტული ტა-
ლანტი, არც ოსტატობა, საჭიროა კიდევ სხვა
- რაღაც იდეალური, აუხსნელი, - რომ იტყ-
ვიან, - ღვთისგან ხელდასხმული. აი ის,
გრეტა გარბოს რომ ჭკონდა მიმადლებული.

*

... და მომენტი ვიხელთე. არა ერთი
და ორი ჭორმართალი მქონდა გაცონილი
მათ ურთიერთობაზე. ეს რომ გულახდი-
ლად ვუთხარი, მანაც მოკლედ მომიჭრა -
ჩვენ დღესაც ვმეგობრობთო. მე კი მსურდა
რაღაც მეტის გაგონება, რაც ლევენდის

დასტური ან უარყოფა იქნებოდა. არა, მე არ ვგულისხმობდი იმ პიკანტურ თუ, - ხშირად, - უხამს გამიშვლებას ობიექტისას, რომლის გარეშეც ახლა, ლამის, წარმოუდგენლად მიაჩნიათ „ვარსკვლავებზე“ საუბარი. მანაც დინჯად დაიწყო:

„ის იყო პროდიუსერთა და ვარსკვლავთა ეპოქა. მაშინ ეს ორი ფიგურა განსაზღვრავდა კინოს შუქ-ჩრდილს. რეჟისორს მხოლოდ ხელობის მარჯვედ ფლობა ანუ პროფესიონალიზმით მოეთხოვებოდა. გემოვნებისა და მოდის კანონმდებლები კი პროდიუსერები და ვარსკვლავები იყვნენ. ამიტომ ფილმის წარმატებაც და მარცხიც მათ მიეწერებოდა... მე რომ მისი მონაწილეობით ფილმს ვიღებდი, იმ პერიოდში გრეტა გარბო ღიღების მწვერვალზე იყო და აბსოლუტურად მბრძანებლობდა გადასაღებ მოედანზე. სცენისა თუ ეპიზოდის ღებულსაც თავად ირჩევდა - რომელსაც ჩათვლიდა სრულყოფილად, ის შედიოდა ფილმში. იტყოდა: ყველა სხვა ღებული მოსპეთო და... გათავდა, წინააღმდეგობას ვერავინ გაუბედავდა. მაგრამ ერთ-ერთი სცენის გადაღების შემდეგ, როცა პავლიონში უკვე გამორთეს სინათლები, ახლო მიველ მასთან და მტკიცედ ვუთხარი: გავიმეორებოთ ეს სცენა ერთხელ კიდევ, ოღონდ ისე, როგორც მე გეტყვით. გინდა დაგითქვებ, მუხლმოდრეკით შეგვევლერები ყველას თანდასწრებით, ოღონდ გააკეთე ეს ისე, როგორც მე წარმომიდგენია!..“

არ ვიცი, რამ იმოქმედა მასზე, იმან, რომ ალგზნებული ვიყავი, თუ იმან, რომ ჩემს სიტყვებში ნამდვილი რწმენის ძალა იგრძნო, და... მოულოდნელად დამეცა. მოისმინა სცენის ჩემი ინტერპრეტაცია და ჩვეულებრივ მბრძანებლობით თქვა: ჩართეთ შუქი!..

მაშინ განვიცადე მისი არტისტული სიდიადე და ის რაღაც ჟრუანტელის მომგვრელი იდუმალეობა, რასაც „გრეტა გარბო“ ერქვა. გაოგნებული შეცქეროდი, როგორც ქალღვთაებას. რასაც იქ, ყველას თვალწინ ხილულად ის იქმნოდა, იყო ჩემი ჩანაფიქრის ზუსტი ხორცშესხმა, ოღონდ გრეტა გარბოს სულწიაღის პრიზმაში გარდატეხილი და ამიტომაც განუმეორებელი... სცენის გადაღება რომ დავასრულეთ, ერთხანს ისევ იდგა სფინქსის აუხსნელი გამოძეტვლებით, შემდეგ კი მშვიდად თქვა: - გაანადგურეთ წინა ღებლი!.. აქედან დაიწყო ჩვენი, - არ ვიცი რა ვუწოდო, - იქნებ, საბედისწერო, - მეგობრობა, რომელიც დღემდე გრძელდება.

პოლივედი, - ამბობდა რუბენ მამულიანი, - ყოველთვის იყო „ზმანებათა ფაბრიკა“ და, იმავდროულად, იგი წარმოადგენდა მთელი ქვეყნიერებიდან თავმოყრილ ულაძაზხეს ქალთა უნიკალურ „ნაკრძალს“. მე მასსოვს, შენ რომ ჩარლი ჩაპლინი ვიყავარს.

პოლა, ის რომ ხანში შევიდა, იმ ლამაზმანებზე თქვა თავის მეზუარებში: „მათზე თვალის ერთი შევლებაც კი, სიცოცხლედ ღირდაო“. მეც არაერთ ნამდვილ კინოვარსკვლავს შევხვედრივარ, დავუფიქრებევარ მათი ანდამატივით მიზიდულობის იდუმალეობას და ვცდილვარ მათში წვდომას. ზოგი ჩემს ფილმშიც კი ვაღამილია, მაგრამ - გინდა გარეგნობით, გინდა სულიერებით - უფრო სრულქმნილი, ვიდრე გრეტა გარბოა, არავინ შემხვედრია...“

აბა წარმოიდგინე: კინოში თხუთმეტი წლისა დაძაბული მუშაობის შემდეგ, აძთავრებს „მეტრო-გოლდვინ-მაიერთან“ დადებულ კონტრაქტით გათვალისწინებულ 27-ე ფილმში გადაღებას და საყოველთაო პოპულარობის ზენიტში მყოფი, თავისი ცხოვრებისა და სილამაზის, - მე ვიტყვოდი, - „კამეა შუადღეს“, 36 წლისა, სამუდამოდ და დაუნანებლად განერიდება კინოსამყაროს. ეს მოხდა 1941-ში. მას შემდეგ განდევნილივით ცხოვრობს.

და განაგრძო: გრეტა გარბოს, - ერთი მისი ფილმის სახელწოდების კვალობაზე, - „ღვთიური“ უწოდეს. და განა იმიტომ, რომ რაიმე მიწიერი თუ ადამიანური მისთვის უცხო იყო. უფრო, ალბათ, იმიტომ, რომ იგი მიუწვდომელი, შეუვალი დარჩა ყოველგვარი ამაოება-ამაოებისთვის...“

იგი ეკრანზე ასახიერებდა მშვენიერ და, იმავდროულად, უღებლო და უსასრულოდ მარტოსულ ქალს. გრეტა გარბო ღირიკოსი მსახიობია. მისი გმირები იტანჯებოდნენ სიმარტოვის დაძლევის, საკუთარი მარტოსულობის გადალახვის სულიერი წყურვილისაგან. მაგრამ მათ ლტოლვას ნათელისაკენ, ამაღლებულისაკენ, მათ იმდესა თუ სიყვარულს ყოველთვის წინ ეღობებოდა ადამიანთა სიმდაბლე, წვრილმანი ანგარება, ბინძური ინტრიგები, ცბიერება და ისინი იღუპებოდნენ - იღუპებოდნენ ბედსმეურთიერებელნი, დაუმორჩილებელნი.

მე მოვიწადინე, რომ ერთდროულად ყველა ამ თვისების ხატად წარმომდგარიყო მისი გმირი ჩემ ფილმში „ღვთიური ქრისტინე“. აკი ისევ მოხდა, რომ შემდეგ ქრესთომატიულად აღიარეს ამ სურათის ფინალური კადრი: გემის ქჩროზე დგას მე-17 საუკუნის შვედი მონარქი ქალი - დევნილი და ტრაგიკული ქრისტინე - გრეტა გარბო; ჩაუწვდომელი და აუხსნელია მისი გაქვავებული გამოძეტვლება, მის სახეზე არ იკითხება არც ფიქრი, არცა რისამე მიზან-ზრახვა. და ახლა ცოტა მეამყება კიდევ, რომ ეს კინოხატი თავის დროზე სფინქსს და მის მარადიულობას შეადარეს...“

დადუმდა. ყოფილი მეფის ნაცვლის სასახლის წინ, სეივანში ვიდეკით. მხრებგამოღილ ჭადრებს მიღმა თბილისის ლაყვარდ

ცას შეჭყურებდა. და მეჩვენა, რომ ახლა, ამ წუთში ეს კაცი თავის მშობლიური ქალაქის ქუჩიდან მზერით წვდებოდა შორს, ოკეანის გაღმა, მანკეტენის ცათამბჯენებში ჩაკირულ ლეგენდას, რომლის რეალურად ხორცშესხმამი თავადაც ელოდომის წილი... მერე, ისე, თითქოს ეს-ესაა რაღაც აღმოაჩინაო, ბავშვური მიაბიტიური კილოთი თქვა: - იცი, მართლა არსებობს ბედისწერა. - ტრივიალური ნათქვამია? - მაგრამ ასე როა? მე რომ აქაობას ვტოვებდი, ეს ჭადრები ჯერაც ნორჩი ხეები იყო. ახლა კი, ჩვენ - ისინიც და მეც - ჭარმაგები ვხვდებით ერთმანეთს. ისინი ისევ აქ დგანან, იმიტომ, რომ ფესვები აქვთ მიწაში გადგმული. გასსოვს, ანტუნან დე სენტ გეზიუპერისთან, გაოცებული ყვავილი რომ ეკითხება პატარა უფლისწულს: - როგორ უძლებენ გაავებულ ქარს ადამიანები, ფესვები რომ არ გააჩნითაო?! - აკი ვერც უძლებენ, ჩემო ძმაო, ვერ უძლებენ!

... ცხელოდა. ხვატი იდგა - ისეთი, თბილისში რომ იცის ივლისში. ოპერის თეატრთან შადრევანს დაეწაფა. - აქაურს წყალსაც კი სხვა გემო აქვსო, - თქვა. - და საერთოდ, რა გინდაც გაიზარდოს თბილისი, მაინც გამორჩეული კოლორიტის ქალაქად დარჩებაო. აქაობას გამჩენმა თუ ბუნებამ სხვა ბეჭედი დაასვა, მის ხიბლს ვერ აირიდებ...“

ოპერის თეატრში შესვლა მთხოვა. - სეზონი დახურულია-მეთქი. დაიყნა - იქნებ შეგვიშვანო. გვერდით შესავალს მივადექით. მორიგეები დაგვხდნენ. ჩვენში იციან სტუმრის დაფასება, - შეგვიშვეს. დარბაზში ერთი-ორი ნათურა თუ ენთო. საგარძლებზე თეთრი ქსოვილის გრძელი ზოლები იყო დაფარებული. ერთგან გადასწია - სკამზე ხავერდი მოსინჯა... ამფითეატრის დასაწყისში იდგა. მაღლა აიხედა, იარუსებს და ჭერს შეავლო თვალი. ჩემკენ გადმოიხარა და ხმადაბლა მითხრა, ისე, ტაძარში რომ წარმოთქვამენ კრძალვით: - რა გრანდიოზული მეჩვენებოდა ჩემს ბავშვობაშიო...“

გარეთ რომ გამოვვლით, რუსთაველის თეატრისაკენ აიღო გეზი. - მოდი, ვცადოთ, იქნებ აქაც გავვილიდომს ბედმაო... იმხანად რუსთაველის თეატრში ხანძრის შემდგომი აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობდა. მაინც შეგვიშვეს. მასსოვს, სცენის ოქროცურვილი ჩუქურთმისანი ჩარჩოდან თაბაშირის პატარა ჩამონატეხი შენიშნა ძირს დაგდებული. დაიხარა და აიღო. იკითხა - თუ შეიძლება თან რომ წავიღოო. მერე ხელსახოცში გამოკრა ის ნატეხი, სწორედ იმ ყაიდაზე - რასმე ძვირფასს რომ გამოკრავდნენ ხოლმე ძველად. თქვა: - დედაჩემს ეს ყველაზე დიდ სიხარულს მიაჩნებოდა...“

განციფრებული შეჭყურებდი: სამოცდათხუთმეტში იყო გადადგმარი, შინ დედა ელოდა!



რედაქციისაგან:

ოთარ სეფიაშვილი უკვე ამერიკის შეერთებულ შტატებში იყო ჩამოსული, როდესაც აღინიშნა გრეტა გარბოს დაბადებიდან 90 წლისთავი, 1996 წელს. ამ თარიღთან დაკავშირებით, მან ჟურნალ „ნიუ ლაიფში“ გამოაქვეყნა დიდი კინოვარსკვლავისადმი მიძღვნილი სტატია, რომელსაც გვერდი ვერ ავუარეთ და აქვე გთავაზობთ.



ჟურნალი დასაბეჭდად მზად იყო, როცა შევიტყვეთ ეს ინფორმაცია: ნიუ-იორკში საქართველოს პრეზიდენტმა გადაცემა „ილუზიონის“ წამყვანი ოთარ სეფიაშვილი, რომელიც უკვე 17 წელიწადია ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს, ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენით დააჯილდოვა. პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა მას წლების განმავლობაში გაწეული ღვაწლისთვის.

ქვეყნის პირველ პირს მან ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცემული წიგნიც უსახსოვრა, რომელიც, მიხეილ სააკაშვილის თქმით, საპატიო ადგილს დაიკავებს საპრეზიდენტო ბიბლიოთეკაში, რომლის გახსნასაც საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ გეგმავს.





გრემსი ქატი

„ვარსკვლავი“... არ ყოფილა კინემატოგრაფის ასწლიან ისტორიაში სხვა მსახიობი, რომლის არსიც და მშვენიერბაც ასე ზუსტად გამოეხატოს სიტყვა „ვარსკვლავს“. გრეტა გარბო - სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული - ჭეშმარიტი კინოვარსკვლავი გახლდათ! სამოცდაათი წლის წინათ გამოჩნდა, - ან იქნებ მართლაც - ამობრწყინდა იგი ამერიკული კინოს ცარგვალზე, და უმაღლესი მონუსხა, გააოგნა მაყურებელი თავისი სახის არამქვეყნიური შუქით, ნათელით, უთქმელი ხიბლით...

1926 წელს გამოვიდა მისი მონაწილეობით პირველი ამერიკული ფილმი, რომელშიც ჯერ კიდევ ყველასათვის უცნობი შვედი გრეტა გუსტაფსონი მთლად აბრეშუმებში მორთულ-დაბურულ ესპანელ პრიადონას ასახიერებდა. მაშინ გაჩნდა მისი არტისტული ფსევდონიმიც - „გარბო“, რაიც ნორვეგიულად „კეთილ ფერიას“ ნიშნავს, ესპანურად კი - „გრაციას“. აღფრთოვანებულ მაყურებელს და პრესას ერთხმად აღმოხდა - „დაიბადა ეკრანის ქალღვთაება“, და შემდეგ, რაც მან გააკეთა თხუთმეტი წლის განმავლობაში ეკრანზე ყოფნით, უფრო მეტი და მრავლისმთქმელია, ვიდრე - უბრალოდ დიდი აქტიორული ოსტატობის ხელოვნება. იგი „ჰოლივუდის რომანტიზმის“ სტილის ხორცშესხმულ ხატებად იქცა.

სულ ოცდარვა შავ-თეთრ ფილმშია გადაღებული გრეტა გარბო. მან შექმნა გაუნელებელი ჟრუნტელის მომგვრელი სახიერი იდუმალებით მოსილი და აუხსნელი ქალებისა, გადმოსცა მათი თვალშეუდგამი შინაგანი ვნებათა ჭიდილი,

დახატა არნახული პორტრეტები ქალებისა, რომლებიც გუნესხავენ და ანდამატივით გიზიდავენ და უსასრულოდ მიუღწევლნი არიან. ეს იყო ოცნება, მაგრამ ოცნება რეალურად ჩამოქნილ-განსხეულებული.

რალას არ უწოდებდნენ: შვედურ სფინქსს, ამოუცნობს, აუხსნელს, ღვთიურს, შეუდარებელს, იმ შუქის ციალს - ყინულქვეშ რომ გამოსჭვივის... კინემატოგრაფის ოლიმპზე ერთად-ერთი, ალბათ, მარლენ დიტრიხია, რომელიც მას გვერდით ამოუდგებოდა.

ჩვენში მაყურებელს ბევრი ფილმი არ უნახავს გრეტა გარბოს მონაწილეობით. ასსოვს - ანდა რა დაავიწყებდა! - მისი მარგარიტა გოტიე სურათიდან „კამელიე ბიანი ქალი“, რომელშიც მას პარტნირობას უწევდა ასალგაზრდა რობერტ თეილორი, და შეუდარებელი დედოფალი ქრისტინე - თბილისელი რუბენ მამულაიანის ამავე სახელწოდების ფილმიდან. კლასიკურად, იგავიმიუწვდომლად არის აღიარებული ამ სურათის ფინალური კადრი - მსხვილი პლანით გადაღებული მართლაც ჯადოსნური იდუმალებით აღსავსე და აუხსნელი სახე გრეტა გარბოს დევნილი გმირისა, რომელიც გემის კეჩოზე შემდგარი გაცქერის უსასრულობას და მიემართება შეუცნობი მომავლისაკენ...

ამერიკულ ეკრანზე ფილმ „ინიჩკას“ გამოსვლის შემდეგ კი, საბჭოთა ოფიციალმა, - რომელმაც რაღაც ანტისაბჭოური კრამოლი დალანდა ამ მსუბუქ პაროდიულ სურათში, - ამოიძულა იგი და ჩვენი თვალსაწიერიდან გაქრა გრეტა გარბოს ეკრანული ხატაცა და მისი სახელის ხსენებაც. და ისევე, როგორც რწმენა ღვთისა, როგორც სხვა ბევრი რამ - სულიერებასთან დაკავშირებულ ამ შემთხვევაშიც ძალმომრე-

ბით გაგვექურდეს, წავგართვეს კინოს „ქალ-ღმერთი“.

ფილმ „გრანდ-ოტელში“ - 1932 წელს - მას როგორღაც დასცდა: „მე მინდა მარტო ვიყო“ და ეს რეპლიკა თითქოს მსახიობის ბედისწერად იქცა. მკაცრ ჩრდილოელთა გარემოში აღზრდილს ბუნებრივად ახასიათებდა გრძობათა ალაგმვა და გაუმჟღავნებლობა. იმთავითვე, კარიერის დასაწყისიდანვე იგი თავს იკავებდა ან უხალისოდ თანხმდებოდა პრესასთან კონტაქტებზე, უარს ამბობდა ფოტორეპორტიორების წინაშე პოზირებაზე; ამბობენ, მაყურებელთა არც ერთ წერილზე არ გაუცია პასუხი, არც ავტოგრაფი „უჩუქნია“ ვისმესთვის ოდესმე. იგი შეუვალად იცავდა საკუთარ სიმარტოვეს და დისტანციას „ბროსთან“, რომელშიც მაყურებელთან ერთად კოლეგებიც იგულისხმებოდნენ. ერთად ერთი, ვისთანაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა, მასსავით ლეგენდა - ქეთრინ ჰუბერნი გახლდათ. ჩვეულებრივ მოკვდავთათვის კი მუდამ მიუწვდომელი იყო.

ფილმებით - „მარია ვალევსკაია“, რომელშიც იგი ნაპოლეონის პოლონელ საყვარელს თამაშობდა, და „ორსახა ქალი“, რომელიც გრეტა გარბოს უკანასკნელი ეკრანული ნამუშევარი აღმოჩნდა - დასრულდა ამერიკული კინორომანტიზმის ბრწყინვალე ეპოქა. ეს სურათი დაუნდობლად დაგესლეს მაშინ კრიტიკოსებმა. ყველაზე უკეთ კი თავად მსახიობი გრძობდა დროის უღმობელობას, რომ შეუძლებელია ფამთასვლის შეჩერება. და სწორედ თავისი ნიჭისა და სილამაზის გაფურჩქვნის ხანაში, დიდების მწვერვალზე მყოფმა გადაწყვიტა გარიდებოდა ყველას და ყველაფერს, სამუდამოდ მიეტოვებინა ზმანებათა სამყარო კინოსი. მაშინ გრეტა გარბო სულ 35 წლისა იყო.

მას შემდეგ, თითქმის ნახევარი საუკუნე სიცოცხლისა, განდევილობასა და მარტოსულობაში გალია. არსად ჩნდებოდა საჯაროდ. არც მეშუარები დაუწერია, თუმცაღა, ამისათვის იგავიმიუწვდომელ ჰონორარებს თავაზობდნენ, არც ინტერვიუზე დათანხმებია ვისმე. ღუმდა შეუვალად, ვითარცა სფინქსი.

1984-ში გამოვიდა რეჟისორ სიდნეი ლუმეტის ფილმი „გარბო ლაპარაკობს“, რომლის ცენტრალურ თემად იქცა მსახიობის ლეგენდარული განდევილობა.

ასე დარჩა დრო-ჟამისაგან ხელშეუხებელი გრეტა გარბოს აუხსნელი და ამოუცნობი სილამაზე, რომელსაც - იქნებ, მართლა, - ის შუქი ადგა, ყინულქვეშ რომ გამოსჭვივის.

ოთარ სეფიაშვილი

ხმადაძვრო ფიჩიბი
ფიჩიფიბაში, „ფიჩიფიბაში“
ჩიჩი შიჩიფიფიფიფი და
ფიჩიფიფიფიფიფი

თამაზ ჯვანციანიძე.

თამაზ ჯვანციანიძე

ფიჩიფიფი ფიჩიფიფიფი

მარტოობა

„ეროვნება, ღვთის ნიჭი ხარ, არც საპოენი, ვერც საყიდი“... ეს აკაკი გახლავთ... მონახულია უზუსტესი გამოთქმა - „ღვთის ნიჭი“, ღვთიური საჩუქარი, წყალობა, ანუ მადლი - და ამ მადლს, აკაკის აზრით, ვერც შემთხვევით გადააწყდები და ვერც ფულად დაახურდავებ.

და მაინც - რა არის ის ერთი, განმსაზღვრელი სიტყვა-ცნება, რომელიც ეროვნების არსს გამოხატავს? აკაკისეული „ღვთის ნიჭი“ უფრო შემფასებლური ცნებაა, მე კი ამჯერად არსით მხარე მანტერებს, რის მიხედვითაც ერთი ეროვნების ადამიანები თავს ერთმანეთს უიგივებენ...

რა არის ეს სიტყვა-ცნება:

სული? ენა? ისტორია? კულტურა?

ებრაული წარმომავლობის პოლონელი პოეტი იულიან ტუვიმი მეორე მსოფლიო ომის დროს წერს წერილს „ჩვენ, პოლონელი ებრაელები“ და პირველ კითხვას - „რატომ - ებრაელი?“ - ასე ჰპასუხობს: „ებრაელი ვარ სისხლით“... და იქვე განმარტავს: „არა იმ სისხლით, მარღვებში რომ დამიდის, არამედ იმ სისხლით, ვარშავის ქუჩებში რომ იღვრება“...

ახლა ყველაფერი ნათელია: მარღვებში მთარული სისხლის შემადგენლობით ადამიანთა სრულფასოვნებას როზენბერგები და გებელსები ადგენენ, პოეტი კი მარადიული ზვარაკია და ტუვიმიც სწორედ ამ ომის ზვარაკებს, ებრაელობას, უიგივებს თავს.

ხოლო კითხვას - „რატომ - პოლონელი?“ - ტუვიმი უპასუხებს: „პოლონელი ვარ „ჩემიანობის“ გამო: ვერავითარი ლოგიკით ამას ვერ ავიხსნით, მაგრამ შოპენი უფროა ჩემი, ვიდრე ბეთჰოვენი“.

ისევ სისხლს დაუბრუნდეთ, რადგანაც ჩვენშიაც გააქტიურდნენ ფაშინზმთან მოკეულუცე ყვარყვარებები... ნუ მოვეტყუებინებით ქართველთა „წმინდასისხლიანობის“ ამ ცრუდამცველებს; პაპის პაპა ქართველი არა გყოლია და ნაღდი ქართველი ვერც შენ იქნებიო - მე, პირადად, სწორედ წინაპართა წარმომავლობაში ამგვარი ჩაკირკიტება მიმჩნია არაქართულ, მეტიც - ანტი-ქართულ პოზიციად.

ოღენ სისხლისმიერი წარმომავლობა ეროვნების განმსაზღვრელი ვერ იქნება - ადამიანი, შეიძლება, გაქართველდეს, ან, პირიქით, გადაქართველდეს; თანაც - გადაქართველდეს ის, ვისაც, თუნდაც, წინა ხუთ თაობაში წვეთი არაქართული სისხლისა არა ჰრევია, ხოლო გაქართველდეს ის, ვისაც, თუნდაც, შშობლები ჰყავს არაქართველი.

ყველაფერს რომ დავეხსნათ, მარტო ჩვენი წმინდანებისა და მეფეების წარმომავლობის გახსენებაც იკმარებს:

ნინოსი, შუშანიკისა, მირიანისა, გორგა-

სალისა, თამარის...

ასე იყო ყოველთვის, ასე იყო ყველგან; განსაკუთრებით - სასახლის კარზე, სადაც წესად ჰქონდათ სხვა ქვეყნების სამეფო დინასტიებთან დამოყვრება.

ახლა სხვა ავტორის, ამჯერად - ქართველის, ციტატას მოვიხმობ:

„ვინ არ იცის, რომ ეროვნება ნებაყოფლობის ამბავია, ისე ეგებ ჩვენ ყველანი ზოგი არაბი ვიყოთ, ზოგიც - ესკიმოსი“.

ამ ზოგადი დებულების რეალური „თარგმანება“ ავტორის სათქმელს უფრო დაგვიკონკრეტებს: ქართველი ისაა, ვინც თავისივე ნებითა და შეგნებით თავს ქართველად მიიჩნევს, თორემ - თუ წინაპართა წარმომავლობას მივსვლით, ზოგიერთი ქართველი, შესაძლოა, არაბი აღმოჩნდეს, ზოგიც ესკიმოსი.

ითხსაუკუნოვან არაბობას თუ გავიხსენებთ ჩვენში, არაბის გაქართველებას ისტორიული საფუძველი დიხაზც გააჩნია (მაგალითად, ჩვენი წმინდანი არაბი აბო!), ესკიმოსი კი ირონიისათვის „შეაწუხა“ ავტორმა: სისხლისმიერი წინაპრის ძიება კაცი, შეიძლება, ყინულეთში მიიყვანოს.

ისე, საირონიე მასალად „ესკიმოსი“ გალაკტიონმაც გამოიყენა:

„ეს - გიორგის, ეს - იოველს, ეს - ივანეს, ეს კი - მოსეს...“

ჯერ ვითვლებით ქართველებად, თუ არ ვაკვაყესკიმოსეს“...

ძირითად აზრს დაუბრუნდეთ: „ეროვნება ნებაყოფლობის ამბავია“...

თამამი, მეტიც - უაღრესად სარისკო ნათქვამია. საქართველოში - მაინც...

და ამას ბრძანებს გამორჩეულად ეროვნული მწერალი ქართველთა შორის - კონსტანტინე გამსახურდია.

ხოლო წერილი, რომელშიც ეს აზრია გაჟღერებული, საოჯახო არქივიდან მისმა ვაჟმა გადმოძევა გამოსაქვეყნებლად და დაუბეჭდევ კიდევ.

უკიდურესად თამამი აზრია-მეთქი, ამას მე მოგახსენებთ, თორემ, რა ეროვნებისადაც ჩათვლის პიროვნება საკუთარ თავს, ეს რომ ნებაყოფლობის ამბავი ყოფილა, ამას თვითონ ბატონი კონსტანტინე - „ვინ არ იცისო“ - ცხადზე უცხადესად მიიჩნევს.

გავბედავ და ერთს „ჩაუხუხულებ“ დიდ მწერალს: არ უნდა იყოს ეს ამბავი ცხადზე უცხადესი და ყველასათვის ანბანური ჭეშმარიტება. თუმცა თავად პრინციპს - ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება თავისი თავი თავადვე მიაკუთვნოს ამა თუ იმ ეროვნებას - მეც ვეთანხმები... ოღონდ აქ ზოგი რამ დასაზუსტებელი მგონია; ნებაყოფლობაც არის და ნებაყოფლობაც; ნებაყოფლობა ეროვნების არჩევაში სხვა გახლავთ და ნებაყოფლობა, ვთქვით, საკუთარი გარდერობის შერჩევაში - სხვა. მოკასინით ივლით თუ შტიბლეტით, ეს მხოლოდ თქვენი (პა,

პა, მეუღლის!) გადასაწყვეტია, მაგრამ გარუსდებით თუ გათარღებით, ეს მხოლოდ თქვენი და თქვენი მეუღლის გადასაწყვეტი ვერ იქნება თუნდაც იმ მიზეზისა გამო, რომ, ვთქვით, გარუსება, პირველ ყოვლისა, სწორედ იმას გულისხმობს, რომ თვითონ რუსებმა მიეჩინონ რუსად. მახსენდება გრიგოლ ორბელიანის პირადი წერილიდან პოეტის გაგულისებული წამოძახილი რუსებზე - რომ ვერაფრით დავაჯერეთ ეს მამაცხონებულები, მათზე მეტად რუსები რომ ვართო!

ვერაფრით დავაჯერეთ... არ დაიჯერეს - და ძაღლის თავიც სწორედ აქაა დამარხული!

ეს ჩვენი „ნებაყოფლობითი არჩევანი ეროვნებისა“ სხვა ფაქტორებითაც იზღუდება. ამ არჩევანის გაკეთება შეუძლია:

არა - ყველას...

არა - ყოველთვის...

არა - განურჩევლად...

და ისიც, ალბათ, ანგარიშსაცნავია, რომ ხალხის უდიდესი ნაწილი ასეთი არჩევანის წინაშე არც არასდროს დაემდგარვართ: ბევრნი მივიჩნევთ, რომ ამ მხრივ ჩვენი წილი უკვე ნაყარია ჩვენ გარეშე და ჩვენ ძალა - ეროვნებას ვღებულობთ, როგორც ბედისწერას.

ვევლებ, ისევ აკაკის მიუბრუნდი:

„ეროვნება, ღვთის ნიჭი ხარ“...

და მაინც, იულიან ტუვიმის მეორე მტკიცებას ჩაუვრდებოდა: „პოლონელი ვარ იმიტომ, რომ შოპენი უფროა ჩემი, ვიდრე ბეთჰოვენი“.

უფრო ჩემია!

„ჩემია“-ს განცდა ადამიანს ჩასახვისთანავე თან დაჰყვება. დასაკუთრების ლტოლვა ოდენ საგანს, სხეულს, ნივთს, არსებას - ეს საზრდო ჩემია, ეს ტუბუ, ეს ქალი, ეს დედა ჩემია - როდი სჯერდება და არც „ეს მთა ჩემია, ეს ცა ჩემია“-თი იფარგლება; იგი უფრო ღრმად ჩაფეხვილა ჩვენს სულში და უკვე სხვა სფეროებსაც ეპატრონება: ჩემია ეს ფერი, ეს - გემო, ეს - სურნელი; ჩემია ეს ზმიანობა ანუ ჰანგი ანუ მოტივი ანუ სიმღერა ანუ მუსიკა...

სწორედ მუსიკის - ამ არაცნებისმიერი, უნივერსალური მსოფლიო „ენის“ - ჩემიანობის ხარისხით („უფრო ჩემია!“) განსაზღვრავს პოლონელი პოეტი თავის ეროვნებას.

ცხადია, ბეთჰოვენიც მისია... არც შეიძლება, გენიოსი მისიც არ იყოს... ტუვიმის ქართველი კოლეგისთვის კი „მეცხრე სიმფონიის“ ავტორი იმდენად თავისია, რომ დაუჯერებელში გვაჯერებს:

„ქართული მოტივი - მეცხრე სიმფონია“

ბეთჰოვენის მუსიკით გალაკტიონი კი არ გააერმანელდა - ამ მუსიკით გალაკტიონმა გაიქართველა ბეთჰოვენი.

და ისიც მჯერა, ბეთჰოვენს რომ ქართული სკოლბოდა და გალაკტიონი დედანში წაეკითხა, თვითონ კი არ გაქართველდებოდა - გალაკტიონს გაიგერმანელებდა.

საერთოდ, გენიოსს არავინ გადაჰყავს თავის ეროვნებაზე: ბასს არ გაუგერმანელებივართ, შექსპირს არ გაუგერმანელებივართ, ჰომეროსს არ გაუგერმანელებივართ...

ბირთვით, გენიოსი გარდაუვსახება ხოლმე ჩვენი ეროვნებისად: ქართველს - გაგვიქართველდება, სომეხს - გაუსომხდება, ფრანგს - გაუფრანგდება...

ანუ - იქცევა სამთელქვეყნო, საკაცობრიო საკუთრებად!

ბეთჰოვენი ტუვიმმაც გაიპოლონელა: მარტო შოპენი - არა, ბეთჰოვენიც ჩემი-აო... ოღონდ მთელი მულამი ამ „ჩემია“ს ინტენსივობაშია: ერთი უფრო მეტად არის ჩემი, ვიდრე - მეორე.

რატომ?

და აქ უკან იხვევს ცოდნა, განსჯა, გონება... აკი თავად აღიარებს პოეტი: ვერავითარი ლოგიკით ვერ აგისხნით, რატომ არის შოპენი ბეთჰოვენზე უფრო ჩემიო.

მართლაც, რატომ არის პირადად ჩემთვის „ჩაკრულო“ „აპასიონატაზე“ უფრო ჩემი? არ ვამბობ - უკეთესი ან უდიდესი... უბრალოდ - უფრო ჩემი?

ამაზე, შეიძლება, ყოფითი, მიწიერი, ჭეშმარიტებასთან მიახლოებული პასუხიც გამეცა: უფრო ჩემია სიხსლოვის გამო, ისტორიის გამო, ცხოვრების გამო, კულტურის გამო.

ამოდ ვირჯები - ყოველი პასუხის უკმარისობას თავადვე ვგრძნობ.

თუ რატომ თვლის ადამიანი თავს ამა თუ იმ ეროვნებისად - ამისი პასუხი რწმენის სფეროში ძვეს და არა - ცოდნისა.

ეროვნება უნდა იწამო.

მე, სიტყვამ მოიტანა და, მწამს, რომ ქართველი ვარ.

„მეოცეობა“

ეროვნება და „ენოვნება“ მარტო ჟღერადობით არა - შინაარსობრივადც ემსგავსებიან ერთმანეთს; კაცი არა მარტო ამა თუ იმ ეროვნებას, არამედ ამა თუ იმ „ენოვნებასაც“ მიეკუთვნება: თუ ქართულია მისი დედაენა, ქართულენოვანი იქნება, თუ ჩინური - ჩინურენოვანი.

მოკლედ, ეროვნებისა და „ენოვნების“ ცნებები ერთმანეთს ეწმანის.

ცნობილია, ძველად სიტყვას „ენა“ შეეძლო „ხალხი“-ს, „ერი“-ს მნიშვნელობაც გამოეხატა. როცა ძველ ტექსტში ვკითხულობთ, ბიბლიური ნიუსი შედლებისაგან წარმოიშვა 73 ენაო, ცხადია, აქ „ენა“ ხალხის, ერის, ტომის გაგებასაც ითავსებს.

ცნებათა ამგვარ „გაიგივებას“ საფუძველი რეალობაში უძევს: ხალხის მეობას სწორედ მისი ენა წარმოაჩენს. ენავე გვი-

ლენს თავის „ორგემაგე“, დიალექტიკური წინააღმდეგობებისაგან ნაქსოვ ბუნებას: იგი პიროვნულიცაა და საზოგადოც, კიდევ აერთიანებს და კიდევ თიშავს... ბაბილონის გოდოლის ბიბლიური ამბავი გავისხენოთ: ერთ ენაზე მოლაპარაკე ადამიანებს უფალი სხვადასხვა ენაზე ალაპარაკებს და ამით განსხვავებულ ტომებს, ხალხებს, ერებს უყრის საფუძველს. ბიბლიის მიხედვით, ერთი ენის სხვადასხვა ენებად „დაშლა“ ფაქტობრივად წარმოშვა შესაბამისი ხალხები; მოკლედ - ენამ შვა ერი.

ენაა ის, რაც აიგივებს...

ენავეა ის, რაც განასხვავებს...

აიგივებს - კრებულს შიგნით.

განასხვავებს - კრებულს გარეთ.

ეროვნული თვითშეგნება სწორედ ამ იგივეობა-განსხვავებას ეყრდნობოდა და, მეტწილად, ახლაც ეყრდნობა; რაც ჩემი მსგავსია, ის ჩემიანია.

ჩემი ენა - ჩემი ხალხი... ისევ იმ „ჩემია“-ს განცდას დაუბრუნდით, ეროვნულობის საზომად რომ გამოიყენა პოეტმა.

მაგრამ „ჩემი“ თავის თავშივე გულისხმობს, რომ არსებობს „არაჩემი“, „სხვა“, „უცხო“.

ამ „ჩემია“-დან იწყება ყოველგვარი უბედურება: ომი, ნგრევა, სისხლისღვრა, გაპარტახება.

იგივე „ჩემია“ განსაკუთრებით, ბედნიერების, ადამიანობის საფუძველთა საფუძველიც... განსაკუთრებით, „ჩემია“-ში გადაზრდილი „ჩემია“.

და სწორედ ენაა ის, რაც შეუძლებელია „ჩვენი“ არ იყოს: მარტო „ჩემი“ ენა, ენა - როგორც კერძო კაცის პირადი საკუთრება - არ არსებობს.

როგორ, ჯგოსის ენაზე, ვაჟას ენაზე ხალხი წიგნებს წერს და, რა გამოდის, არარსებულ მოვლენებზე იწერება მეცნიერული შრომებიო, გააკვირვებს, ალბათ, ზოგი.

ცხადია, არა მხოლოდ ენობრივად უნიკალურ ამ მწერლებზე ვიყენებთ ამგვარ გამოთქმებს - თითქმის ყოველ მწერალზე ამბობენ, მაგანისა და მაგანის ენაო. „ვაჟას ენა“ - ეს გამოხატულება მეტაფორულად უნდა გავიგოთ, თორემ პირდაპირი გაგებით ეს ენა ჩვენი საერთო ენაა, ჩვენი ქართული, ოღონდ - ვაჟათი გაცხადებული, ვაჟას მიერ ამოქმედებული შესაძლებლობა ჩვენი დედაენისა.

გენიოსებს დავეხსნათ - ყოველ ჩვენგანსა გვაქვს ჩვენი-ჩვენი ენა... გვაქვს იმიტომ, რომ - ენა, მართალია, საზოგადო საკუთრებაა, მთელი ხალხის საერთო „ინსტრუმენტი“, მაგრამ მასზე ყველანი ჩვენებურად „ვუკრავთ“ ხოლმე - ენას ჩვენი ინდივიდუალური შესაძლებლობით მოვიხმართ.

ქართულ ენას იყენებდა შოთა რუსთაველიც და ფემანგი ფაშვი-ბერტყაძეც. და როგორც ცალკეულ პიროვნებათა მეტყვე-

ლება ინდივიდუალურად გვივლენს საერთო ენას, ცალკეული ენებიც ასევე ინდივიდუალურად წარმოგვიჩენენ ერთან, უნივერსალურ სამყაროს.

უფრო მეტიც: ვიღვქვამ ფონ ჰუმბოლდტი გვიმტკიცებს, ენა მსოფლხედვის წესია; ანუ - სამყაროს ადამიანი აღიქვამს ენის „ცხაურში“ გამოტარებულს, კერძოდ, დედაენის „საცერგამოვლილს“. ზედავთ, საით გაუტია ამ გენიალურმა კაცმა: რამდენნაირი ენაცაა, თურმე იმდენნაირი სამყარო ყოფილა... უფრო ზედმიწევნით - იმდენნაირად აღქმული სამყარო.

ენის იდეა, ანუ გამაერთიანებელი „ჩვენი“ იდეა, მაღალი რანგის იდეაა, მაგრამ არსებობენ მასზე უმაღლესი იდეებიც, უფრო მრავლის, იდეალში კი - ადამის მთელი მოდემის შემკველ-გამაერთიანებელი.

ასეთია სიყვარულის იდეა.

ასეთია სიყვარული

ღმერთის იდეა ანუ -

ასეთია ქრისტიანობის იდეა.

როდესაც მოზამბიკელი იესოს შავკანთან აღიქვამს, იაპონელი კი - ჭკუტალად, ეს აშკარა „სიცრუე“ სიღრმისეულ სიბრძნესა და ჭეშმარიტებას ეფუძნება: მაცხოვარი ყველასა და ყოველ მოდემს შეუძლია მისი გათავისება. ქრისტესათვის არ არის ოუდეველი და არ არის წარმართი, არ არის ელნი და არ არის ბარბაროსი... უფრო ზედმიწევნით - ყველა თანაბრდება სიყვარულში, ყველა ერთიანდება ქრისტეში.

ზემოთ რომ ბეთჰოვენის მუსიკის „გაქართულებაზე“ მოგახსენებდით („ქართული მოტივი - მეცხრე სიმფონია!“), ეს კიდევ უფრო სარწმუნოდ ითქმის სიყვარულის ამ ზეალმტაცი იდეის ანუ ქრისტიანობის შესახებ - ქართველი არა მარტო გაქრისტიანდა, მან ქრისტიანობა გაიქართველა. ასე მხოლოდ ჩვენში არ მომხდარა: ქრისტიანობამ ეროვნება კი არ გააუქმა და ეროვნებას კი არ ჩაენაცვლა, იგი ამ რწმენის ჭეშმარიტად აღმსარებელ ყოველ ხალხს გაუეროვნულდა და ამით ყველა ისინი სიყვარულში გაერთიანა. რელიგიის ამგვარ გაეროვნულებას ყოველი ენა თავისებურად გამოხატავდა და ამა თუ იმ რელიგიურ იდეას ამ მიმდინარეობას სხვადასხვა ეროვნებას უკავშირებდა: მაგალითად, ქართულში „გათათრება“ გამოუსულმანებას ნიშნავს, „გაფრანგება“ - გაკათოლიკებას, „გასომხება“ - გამონოფიტიზებას... და ამ კონტექსტშია გასახსენებელი: როცა კავკასიაში ვინმე გამართლმადიდებლდებოდა - გაქართველდაო, იტყოდნენ.

ქართველმა არა მარტო იდეურ-ინტელექტუალურ ღონეზე გაითავისა ქრისტიანობა, მან იგი შეისისხლხორცა ხელშესახებ-საგნობრივადც: საქართველოში, თავის საცხოვრისში, გადმოიტანა ბიბლიურ-ქრის-

ტიანული გარემო და გადმოიყვანა იქაური პერსონაჟები. მიმოიხედეთ, რამდენი სიონი, ბეთლემი, ბეთანია და თაბორი გვარტყია, რამდენი დავითი, თამარი, ილია და მარიამი გვახვევია ირგვლივ... გაიხსენეთ პოეტური თვალთ აღქმული ქართლი - უფრო ზუსტად, ნიკო სამადაშვილის გასაცარი ხილვა:

„ვით უკვდავება, წყარო ანკარა
აცისკროვნებდა ირმების ფერდობს...
ქრისტემ ბავშვობა აქ გაატარა
და ღვთისმშობელი უგვიდა ეზოს“.
დაიხ, იესომ ბავშვობა ატენის სიონთან
გაატარა...

მოკლედ, საქართველო „ენოვნებითაც“ გაქრისტიანდა; შესაბამისად, ქრისტიანობა ჩვენში არა მარტო გაქართველდა, გაქართულდა კიდევ.

ისტორიული გამოცდილება გვიდასტურებს ქართველთა ეროვნული და „ენოვნური“ განცდის განუყოფლობას. ისევე ვაჟას ავტორიტეტს მოვიხმობ: ენა დედაა ერისაო... სხვისა რა მოგახსენოთ, ქართველი ერი კი მართლაც ქართული ენის საშოში გამოშუშდა. იგივე ითქმის ქართულ სახელმწიფოზეც - ფარნავაზმა, ქართული მწიგნობრობისა და ქართულის სახელმწიფო ენად დაკანონებით („და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა“), სათავე ქართულ სახელმწიფოებრიობასაც დაუდო. ქართულმა ენამვე დასაზღვრა ეს სახელმწიფო, რაც შემდგომ ფორმულად ჩამოქნა გიორგი მერჩულემ: „ქართლად ფრიალი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწივის და ლოცვა ყოველი აღესრულების“.

მაგრამ ის, რაც ჩვენთვის განუყოფელია, სხვა ხალხისათვის, შესაძლოა, ასე არც იყოს. შემენდოს ამ მაღალ მატერიებზე მსჯელობისას ამგვარი „მიწიერ-სპორტული“ მაგალითის მოხმობა, მაგრამ - ეჭვი მეპარება, კვებეკელმა კანადელმა ჰოკეის მატჩში, როცა ფრანგები კანადელებს ეთამაშებიან, მხარი ფრანგებს დაუჭიროს... იგი კანადელებს უქომაგებს მიუხედავად იმისა, რომ მისი დედაენა ფრანგულია. ასევე - შვეიცარიელი, გერმანულენოვანი იქნება იგი თუ იტალიურენოვანი, თავს შვეიცარიულად მიიჩნევს და არა გერმანულად ან იტალიულად. ეგვევ ითქმის ესპანურენოვან ლათინური ამერიკის ქვეყნებზე...

მიუხედავად ამისა, ენა მაინც რჩება ეროვნების ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად. იგი ერთგვარი „პასპორტია“, ადამიანის სადაურობა-წარმომავლობას რომ გვიდასტურებს. მარტო ენა - არა, ერთი და იმავე ენის შიგნით რომ კაცი ამა თუ იმ კილოზე უქცევს, ამით თავის წარმომავლობას ავლენს. დიალექტურ-ენობრივი ჩვევა ძვალსა და რბილში უჯდება ადამიანს და

მის შეცვლას დიდი დრო და ძალისხმევა სჭირდება. გავიხსენოთ ბიბლიის „მსაჯულთა წიგნიდან“ ერთი ეპიზოდი: ერთმანეთს ებრაულად მოლაპარაკე ისრაელის ორი შტო, ორი ტომი დაუპირისპირდა - ეფრემელები და გალაადელები. ეფრემელები დამარცხდნენ, გალაადელებმა მათ თავიანთ მშობლიურ ქალაქში გადასასვლელი ფონი მდინარე იორდანეზე გადაუჭრეს. თუ ვინმე მოითხოვდა, ეფრემელი არა ვარ და გალმა გადამიშვითო, გალაადელები უბრძანებდნენ: აბა, „მიბოლეთ“ თქვეო („მიბოლეთ“ ებრაულად თავთავსა ჰქვია). ეფრემელი ამ სიტყვას თავის „სლიფინ“ კილოზე ამბობდა - „სიბოლეთ“ და უძალ მახვილით იგმირებოდა... უამრავი ეფრემელი გაიჟლიტა იორდანესთან, ამ - ერთი შეხედვით - მარტივი ხერხით ამოცნობილნი. მარტივი თვითონ ხერხი იყო, თორემ ეფრემელებისთვის რთული, თითქმის შეუძლებელი იქნებოდა მეცხეულად გადაეწყოთ თავიანთი სამეტყველო აპარატი მათი კილოსათვის უჩვეულო ბგერის გამოსათქმელად.

საქართველო ტერიტორიულად პატარაა, ენობრივად - დიდი. მე აქ იმდენად ქართული ენის სიდიადეს არ ვუკვლისხმობ, რამდენადაც - ჩვენს ტერიტორიაზე მოქმედ ენათა, დიალექტთა ნაირგვარობასა და სიმრავლეს.

ზოგადად თუ ვიტყვით, ერთგვარობა სიმწირეა, ნაირგვარობა - სიმდიდრე... ოღონდ - მოწესრიგებული ნაირგვარობა.

სიმდიდრეა ჩვენი მეგრული და სვანური ენები... სიმდიდრეა ჭანური, ანუ - ლაზური ენაც, ვაგლახ, სხვაგან განფენილი და ჩვენში ამჟამად მხოლოდ სარფშილა შემორჩენილი; სიმდიდრეა ჩვენი ნაირგვარი კილოები.

მაგრამ ქართულმა საზოგადოებამ უფრო უნდა მოაწესრიგოს ამ სიმდიდრის არა მარტო დაცვისა და სარგოდ გამოყენების, არამედ მისადმი მართებული სახელმწიფოებრივი მიდგომის საკითხიც.

დედაენის გადასარჩენად ჩვენ ზოგჯერ გვჭირდებოდა - და, იქნებ, ახლაც არ იყოს ზედმეტი - ხაზგასმა, რომ ეროვნება და „ენოვნება“ განუყოფელია (ქართველთათვის ეს ასეცაა!), მაგრამ ამის საფუძველზე სწორხაზოვანი მსჯელობით თუ იმას გამოვიყვანთ, რომ ენა უდრის ეროვნებას, მაშინ სწორედ ეროვნული თვალსაზრისით გავვიჩინებთ პრობლემები.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ „ევროპულ ქარტიანზე“, რომლის მიხედვით ევროპულმა სახელმწიფოებმა ეროვნულ უმცირესობათა ენების უფლებები უნდა დაიცვან. ჩვენში ამ საკითხს რატომღაც დაუკავშირეს მეგრული და სვანური ენები... არადა, მეგრულ-სვანური აქ მოსატანი არ გახლავთ - არც ერთი ქართველური ენა საქართველოს ტერიტორიაზე არავითარ „უმცირესობის

ენას“ არ წარმოადგენს! ქართული კუთხეებისა და ტომების ყოველი წარმომადგენელი, მათ შორის მეგრელიცა და სვანიც, სწორედ ის „უმრავლესობა“ გახლავთ, რომელსაც „ქართველი“ ჰქვია საქართველოში. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ „ქარტიაში“ ლაპარაკია არა უმცირესობის, არამედ „მცირე“ ენებზე ანუ „მინაურულ“ „შინ სახმარ“ არასახელმწიფო ენაზე, მაშინ მეგრულისა და სვანურის ამ კატეგორიის ენებად მიჩნევისასაც ზოგი რამ გასათვალისწინებელი ჩანს; კერძოდ:

რეალობაა, რომ მეგრული და სვანური ენებია, ოღონდ - შინაურობაში სახმარი; ამავე დროს მეგრელებისა და სვანების დედაენა იყო და არის ქართული, რომელსაც დანარჩენი სხვა ქართული ტომები ასევე ძველთაგანვე იყენებდნენ სახელმწიფო ენად; შინაურობაში კი ეს ტომებიც, ცხადია, თავ-თავიანთ დიალექტებზე უქცევდნენ.

ასე იყო ძველად, ასეა ახლაც - მიუხედავად იმისა, რომ მასმედიის ეპოქაში კილოები სალიტერატურო ენასთან ნიველირდება.

მაგრამ სვანური და მეგრულ-ჭანური, ერთი მხრივ, და სხვა ქართული დიალექტები, მეორე მხრივ, დიდად სხვაობენ თავიანთი ისტორიითაც და თავიანთი წვლილითაც ქართულის სახელმწიფო ენად ფორმირებაში. დღეს არსებული დიალექტური ფორმები, ჩვეულებრივ, ძველი სამწერლობო ქართულის ნორმათა კონტროლიდან გამოსვლისა და „თავისუფალი“ განვითარების შედეგია, აქედან გამომდინარე - შედარებით ახალი. სვანურისა და მეგრულ-ჭანურის ენობრივი ფორმები კი უშუალოდ ქართულიდან კი არა, ქართულთან საერთო წინაპარი ენიდან გამოიყვანება, რომელსაც ქართველურ ფუძემდებნებს ვეძახით და რომლის სავარაუდო სახე ქართული, სვანური და მეგრულ-ჭანური ენების ურთიერთშედარება-შეპირისპირებით აღდგება. დიალექტები ქართული ენის შვილები არიან, სვანური და მეგრულ-ჭანური კი - ქართული ენის ძმები. მშობლის, ქართველური ენის, იერ-სახე ზოგჯერ ქართულმა უკეთ შემოგვინახა, ზოგჯერ - სვანურმა და ზოგჯერაც - მეგრულ-ჭანურმა.

მაგალითად, ავტორიტეტული ენათმეცნიერების აზრით, ჩვენი წინარე ფუძემდების ხმოვანთა სისტემა უფრო ქართულმა შეინარჩუნა, თანხმოვანთა სისტემა კი - მეგრულ-ჭანურმა; მათი ვარაუდით, ქართული კაც და მეგრულ-ჭანური კოჩ ძირების შეპირისპირებით ქართველურ ენაში „ადა-მანის“ აღმნიშვნელად აღდგება ძირი, რომელიც სამი ათასწლეულის წინ, ვიდრე ეს ფუძემდებნი დაიშლებოდა ქართულ, სვანურ და მეგრულ-ჭანურ ენებად, მიახლოებულად ასე ჟღერდა - კაჩ.

სწორედ ერთ-ერთს ამ ძმა-ენათაგან,

ქართულს, გარკვეულ ისტორიულ-კულტურულ ვითარებათა გამო, მოუწია ძირითადი როლი ეტვირთა ქართველთა ყველა ტომისათვის საერთო სახელმწიფოების ფორმირებაში... ძირითადი - მაგრამ არა ერთადერთი; მისი ტვირთი მართლაც რომ ძმურად გადაიანწილეს ევროსიანელთა ენებმა: სვანურმა და მეგრულ-ჭანურმა. საერთოდ, ლეონტი მროველს თუ ვერწმუნებით, ქართველ ტომთა ეთნარქები ანუ მესაფუძვლენი ქართლოსი და ევროსი ღვიძლი ძმები იყვნენ.

ასე რომ, საერთო-ქართული სახელმწიფო ენა მარტო ძველი ქართულიდან კი არა, სვანურ-მეგრულ-ლაზური წიაღიდანაც იშვა.

ამიტომაც არა ჰქონიათ ჩვენს ევროსელ წინაპრებს ქართულის მიმართ გაცუცხობის განცდა... მით უმეტეს არა აქვთ იგი მათს დღევანდელ შთამომავლებს - სვანებსა და მეგრელებს. მაგრამ დანარჩენი საქართველოც არ უნდა უყურებდეს აღმაცერად სვანურსა და მეგრულს და არც „გაფუჭებულ“ ქართულად უნდა აღიქვამდეს ამ ენებს.

რა უნდა მოვიმოქმედოთ საამისოდ? ადრეც დამიწერია და ახლაც გავიმეორებ: სკოლაშივე უნდა შევუქმნათ ბავშვს ქართველურ ენებსა და ქართულის დიალექტებზე მართებული წარმოდგენა, უკვე დაწყებით კლასებში უნდა „გავუხედნოთ“ ყური მეგრული და სვანური ფოლკლორის ნიმუშებით: წარმოიდგინეთ ბარისახოელი პატარა ხევსური, დიდის ეშხით რომ ამბობს: „ბუა დიდა რე ჩქიმი“ („მზე დედა არი ჩემი“)... მერე და მერე ისეთი ლექსიკური მასალაც უნდა ვუჩვენოთ და შევასწავლოთ, ქართულ-სვანურ-მეგრულის საერთო წარმომავლობასა და ერთიანობაზე რომ მეტყველებს.

მოკლედ, ბავშვს სკოლაშივე უნდა გავაცნოთ და შევასწავლოთ სვანურისა და მეგრულის ელემენტები.

ნურავინ დამწამებს ენობრივი სეპარატიზმის ქადაგებას: სკოლაში სვანურისა და მეგრულის ელემენტების სწავლება სხვაა და, სვანურად და მეგრულად სწავლება სკოლაში - სულ სხვა, „შუა უზის დიდი მზღვარი“.

ისე, რუსეთის იმპერიამ, ცარიტულ-მაც და კომუნისტურმა, ქართველთა გარუსების სტრატეგიულ გეგმას ლეღვის ფოთლად მეგრულ გლეხკაცზე „ზრუნვა“ ააფარა: აქაოდა, უბირ ხალხს ქართული არ ესმის, სამეგრელოში სწავლება მეგრულ ენაზე უნდა გადავიყვანოთ.

პირველ ჯერზე, XIX საუკუნეში, ეს არ გამოუვიდათ - იაკობი და ძმანი მისნი აღუდგნენ წინ იანოვსკი-ვოსტორგოვის მზაკურულ გეგმას.

მეორე ჯერზე, XX საუკუნის ოცდა-

თიან წლებში, კომუნისტ-„მაფალუისტებს“ სამეგრელოს მხარიდან გამოსულმა ინტელიგენციამ ჩააკედინა ხმა: თელო საზოკამ, შალვა დადიანმა, კონსტანტინე გამსახურდიამ... ის ფრაზაც, ეროვნება ნებაყოფლობის ამბავიაო, კონსტანტინე-ბატონმა სწორედ „მაფალუისტთა“ სამხილებელ წერილში ბრძანა.

იმპერია ქართულ ენას მარტო სკოლიდან კი არა - ეკლესიიდანაც უპირებდა გამოძევებას: მისი გეგმით, სამეგრელოში ლეთისმსახურების ენად ქართულს მეგრული უნდა ჩანაცვლებოდა. აქ კი ხმა სამეგრელოს სამღვდლოებამ აღიმალა!

ოთხმოციანი წლების დასაწყისში ბატონმა არნოლდ ჩიქობავამ, უკვე ლოგინად ჩავარდნილმა, თავის ბიბლიოთეკაში საგულდაგულოდ გადაიხაზა მასალა მომძებნინა - შინ წაიღეთ, წაიკითხეთ და დამიბრუნეთო. XIX საუკუნის გაყვითლებული ფოლიანტები აღმოჩნდა - 1895 წლის მარტ-ივნისის ნომრები ეგზარქატის რუსულენოვანი გამოცემისა „Журнал“... ეგზარქოს დაუვალვებია გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის მიუფე გრიგოლისათვის (ერისკაცობაში - გრიგოლ დადიანი) კომპეტენტური კომისიისათვის გაეცნო მეგრულ ენაზე თარგმნილი რამდენიმე ნიმუში ლოცვებისა და გაერკვია, როგორ ზემოქმედებას მოახდენდა მრევლზე მღვდელმსახურების დროს მათი გამოყენება.

გრიგოლს მოუწვევია კომისია - სამეგრელოს სამღვდლოება, აგრეთვე განსწავლული საერო პირები ნიკო ტარიელის ძე და დავით გიორგის ძე დადიანები - და მოუსმენია მათი მოსაზრებანი...

სწორედ ეს მასალა დაიბეჭდა ზემოაღნიშნულ „Журнал“-ში.

წინაკითხმა გამოგნა: „რა განძი გვქონია, რა მხნე, რა მდიდარი“-ო, სამეგრელოს სამღვდლოებაზე აღმოჩნდა ზედამოჭრილი. ასეთი სიღრმითა და სიმართლით ამ საკითხზე დაწერილი არაფერი წამეკითხა... არ ვაჭარბებ, წმინდა ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც დღეს დაწერილი გეგონებოდათ - აღარაფერს ვამბობ მოქალაქეობრივ პოზიციაზე. ცხადია, მეგრული ენის დიალექტად მიჩნევამ მაშინვე შემაცბუნა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ამასაც სარჩულად სასულიერო პირთა პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა სდებია. ისე, სიტყვამ მოიტანა და, თავის ნაშრომებში არც პავლე ინგოროყვა მოიხსენიებდა მეგრულსა და სვანურს ენებად - ამ დიდ ეროვნულ კაცს, ჩვენი ფსიქოლოგიიდან გამოძდინარე, ეს პოლიტიკურად სახიფათოდ მიაჩნდა.

თუმცა, სჯობს თავად შენ დაიგეგოვო, მკითხველო, ეს მასალა, რომელსაც იმ პიროვნების ხოტბას წარუგმძღვარებ, ვისი „გორისანიც“ სამეგრელოს ეს უსახელო მღვდლები იყვნენ.

ქუჯური მენტალიტეტი

უძალი კაცს რომ პოლიტიკურ პირველობას დაათმობინებენ, ეს იძულების აქტია. ძალმოსილი კაცი რომ თვითონ დათმობს პირველობას - ეს ზნეობრივი აქტი განსლავთ.

ქუჯიმ, ევრისის ერისმთავარმა, ამგვარი ზნეობრივი, მე ვიტყვოდი, ქრისტიანული ქმედების მაგალითი გვიჩვენა ქრისტეს მოვლინებამდე სამსაუკუნენახევრის წინ.

როცა ფარნავაზი, ქართლოსის ჩამომავალი, და ქუჯი, ევროსის ჩამომავალი, შეითქნენ აზონის, ბერძენთა დასმული მმართველის, წინააღმდეგ, იმ მომენტში რეალურ სამხედრო-პოლიტიკურ ძალას ქუჯი, თუ ბეტს არა, ფარნავაზზე ნაკლებს არ ფლობდა.

მაგრამ ქუჯი ათასწლეულებით აზროვნებდა და არა - მომენტებით ან, თუნდაც, წლებით: გარდასული ჟამით იგი მომავალს ჭვრეტდა... აკი ქართლოსი უფროსი ძმა იყო ევროსისა. არ ეგებოდა მისი პირველობა და ასე შესთავაზა ქუჯიმ ფარნავაზს, მცხეთის სახელისუფლო სახლის შვილს: ვძლიოთ აზონს და მიუღ ქართველთა მოღმას შენ უმეფებ, მე კი შენს თანამდგომად მიგულე აწ და მარადისო.

ხელმწიფობაზე უარის თქმა მხოლოდ სახელმწიფო კაცს შეუძლია.

ასე აზროვნებდა და მოქმედებდა დიდი ქუჯი... ანუ - ასეთია ქუჯური მენტალიტეტი.

მაგრამ საქართველოს მარტო ქუჯი არ ჰყოლია - ჰყავდა თადა ამორდიც, ვისაც უმაღლესი ხელისუფლება თვალს უხუჭავდა ცალბისმქნელობაზე, ანგარებაზე, აფერისტობაზე... ამას, ყველაფერს, მთავრობა წვრილმანად მიჩნევდა იმ მსხვილი შეკვეთის შესრულებასთან შედარებით, რასაც ერქვა „ტუზემცების“ ხელითვე ქართული „ენოვნებისათვის“ საფუძვლის შერყევა, ქართველთა გარუსება.

ქუჯი უკვდავია - მას კვალში ლეგიონები უდგანან... მაგრამ, ვაი, რომ უკვდავია თადაც: ლეგიონები - არა, მაგრამ თითო-ორთა ამორდია საქართველოს ყოველთვის ჰყავდა... და - დღესაცა ჰყავს: საზოგადოება ხედავს, რომ ჩოხოსან თადას ჰალსტუხიანი ამორდიები შეენაცვლნენ და „გრუს“ პოლიტიკურ დაკვეთას ასრულებენ.

დღევანდელ პრესაში მკითხველს უფრო ისინი ეჩხირებიან თვალში, ვიდრე ქუჯის „გორისანი“, ამიტომაც გთავაზობთ ერთგვარ გამონაკრებს ქუჯის კვალში ჩამდგარ სასულიერო პირთა გამონათქვამებიდან სამეგრელოში ღვთისმსახურების ენის შესახებ.

**მიმგრულ მნაჴი
ფირგა-ლოცვის შმისახმ
გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლი (დადიანი):**

კავკასიის სასწავლო ოლქის ზე-დამხედველი საიდუმლო მრჩეველი იანოვსკი სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის მეგრულით ჩანაცვლებას ასე ასაბუთებდა: მეგრული ქართულთან ისეთსავე მიმართებაშია, როგორც - პოლონური ან ჩეხური რუსულ ენასთან, მათ კი სწავლებაც და ღვთისმსახურებაც თავ-თავიანთ ენებზე აქვთო. ეს მეუფე გრიგოლს მცდარ ანალოგიად მიაჩნია.

„სლავეური ჯგუფის ეს სამი მონათესავე ენა საუკუნეთა მანძილზე დამოუკიდებლად ჩამოყალიბდნენ სამწერლობო ენებად და ამ ენებზე შექმნილი ლიტერატურით გამოხატავენ თავ-თავიანთ ეროვნულ თვითშეგნებას. განსხვავებული ვითარებაა ქართულსა და მეგრულს შორის: აქ ჩვენ გვაქვს მკაფიოდ გამოხატული დაქვემდებარება, სლავეურ ენებში კი - სრულიად დამოუკიდებელი პარალელური განვითარება. უსამართლობა იქნებოდა ვინმემ ამ საკითხებში არაკომპეტენტურობა დამწამოს, ძირძველი მეგრელი განსლავართ და ქართულიცა და მეგრულიც კარგად ვიცო: მეგრელები უკვე 15 საუკუნეა ქართულ ენაზე ლოცულობენ და ევედრებიან უფალს; მე, როგორც მათი მღვდელმთავარი, ვადასტურებ, რომ ისინი კარგი ქრისტიანები არიან და სათანადოდ შეიმეცნებენ საღმრთო გამოცხადებას. მეგრელებმა სხვა ქართველებთან თანადროულად დაიწყეს ქართულად წერა-კითხვა და, ქართული საეკლესიო ტრადიციით, მათ, იმიერქართველებმა, ამიერქართველებზე ადრეც კი განადიდეს ქართულ ენაზე ჭეშმარიტი შემოქმედი“.

მღვდელი კაპიტონ გაწერელია

მასაც მიაჩნია, რომ მეგრული (ავტორი მას ერთ-ერთ ქართულ კილოდ მიიჩნევს და არა - ენად), არასოდეს ხმარებულა საღვთისმსახურო დანიშნულებით და ამ მალად მისიას იგი ვერც დღეს შეასრულებს - ასეთ საეკლესიო ენად ჩამოყალიბებას, სხვა პირობებს რომ დავესწნათ, საუკუნეები სჭირდებაო. თანაც:

„წმინდა წერილისა და ლოცვათა თარგმნა - ეს წმიდათაწმიდა საქმე - მოითხოვს ღვთაებრივ ზემოთგონებას ზემოდან, უფლისაგან... სწორედ ასეთ მოწოდებას აღასრულებდნენ ძველად წმინდა წიგნების მთარგმნელები, ამიტომაც შემოგვრჩა მათი ტექსტი შეურყენელად ჩვენცა და სხვა მართლმადიდებელ ქვეყნებსაც...

გარდა ამისა, მარტო ლიტერატურული ტრადიციებიც კი საკმარისი ვერ იქნება საღვთისმსახურო წიგნების სათარგმნად - თვითონ ენას უნდა ახასიათებდეს ეგრეთ წოდებული „ეკლესიურობა“. მეგრული, გასაგები მიზეზების გამო, ყოველივე ამას მოკლებულია.

არც წინათ და არც ახლა მეგრულად მღვდელმსახურების აღსრულება არ გვჭირდება, ვინაიდან ქართული და მეგრული ფაქტობრივად ერთი ენაა და მათს ლექსიკონებში უამრავი საერთო ძირის მქონე სიტყვებია. მეგრელს წირვა-ლოცვის ტრადიციული ენა კარგად ესმის და, თუ აქ გაგებინების თვალსაზრისით რაიმე სირთულე იჩენს თავს, ამის მიზეზი ის კი არ განსლავათ, რომ მეგრელს ქართული ცუდად ესმოდას, - საეკლესიო ტექსტებს ასევე ძნელად აღიქვამს არამეგრელი სხვა ქართველობაც, მათ შორის, განათლებული ხალხიც, - თავი და თავი პრობლემისა ამ საეკლესიო ენის არქულობაშია... აგრეთვე - ღვთისმსახურების დროს წმინდა ტექსტის სწრაფად ჩათავება - „შიფურჩების“ სამწუნარო ტრადიციაში... ამიტომაც ეს საკითხი ქართული მოსახლეობის - მეგრელებისა და არამეგრელებისა - ცოდნა-განათლების ამაღლებით გადაიჭრება და არა - ღვთისმსახურებისთვის მეგრული კილოს გამოყენებით. სხვა ხალხებსაც აქვს განსხვავებული დიალექტები, მაგრამ საღვთისმსახუროდ ყველას როდი იყენებენ: მაგალითად, მალოროსოული არანაკლებ განსხვავდება რუსული ენისგან, ვიდრე მეგრული ქართულისგან, მაგრამ მღვდელმსახურება მალოროსოულად კი არ აღესრულება, არამედ საეკლესიო-სლავეურ ენაზე... მეგრელებს არასოდეს გვქონია დამწერლობა მეგრულ ენაზე იმიტომ, რომ ამის საჭიროება არ ყოფილა: სამეგრელოს ხალხს ქართული დამწერლობაცა და ქართული ენაც თავის ღვიძლ ანბანად და თავის დედაენად მიაჩნია და ამავე ენაზე აღავლენდა და აღავლენს უფლისადმი ზოტბას“.

მღვდელი კლიმენტი ჭანტურია

„ქართულს და მეგრულს იმდენი რამ აქვთ საერთო, რომ მეგრული ქართულს თავის დედაენად (РОДНОЙ ЯЗЫК) მიიჩნევს. მეგრული ენა ქართული ენის საგანძურად ითვლება: ბევრმა სიტყვამ ქართულში დაკარგა თავისი თავდაპირველი მნიშვნელო-

ბა, მეგრულში კი ისინი ძველებურად შეურყენელი სახით შემოგვრჩნენ. ამრიგად, მეგრული და ქართული ორ განუყრელ ძმად გვესახება. ეს განცდა მარადიულია, დანარჩენ საქართველოსთან თავის ენობრივ ერთობას სამეგრელო ყოველთვის გრძნობდა, ქართულს ყოველთვის დედაენად თვლიდა, მას მიიჩნევდა სახელმწიფო ენად, მიიჩნევდა მწერლობის ენად - ამ ენაზე ლაპარაკობდნენ და წერდნენ მეგრელთა წინაპრებიც... მეგრელები ქართულად განადიდებდნენ უფალს; ამ ენაზე ლოცულობდნენ მათი მამა-პაპანი. შესაბამისად, სამეგრელო ქართულად მოლაპარაკე დაიბადა და ღვთის წინამეც ამ ენაზე მოლაპარაკე წარსდგება...“

საკუთარი გამოცდილებიდან მოგახსენებთ: ერთხელ მეც ვცადე ეკლესიაში მეგრულად მექადაგა. მრევლმა მომთხოვა, ისევ ქართულად იქადაგეთ, თორემ ეკლესიაში აღარ ვივლითო. ასეთი შემთხვევაც ყოფილა - სახარების რამდენიმე ადგილი მეგრულად თარგმნეს და, როცა ეკლესიაში წაიკითხეს, აღშფოთებულმა მრევლმა წველა-რუღვით დატოვა საყდარი... ევროპაშიც არის ქვეყნები, სადაც ორი ენაა: ერთი - სახელმწიფო, სალიტერატურო და საღვთისმსახურო, მეორე - შინაურებაში სახმარი, რომელსაც დამწერლობა არა აქვს. იქ აზრადაც არ მოსვლიათ, შინაურული ენა საღვთისმეტყველოდ ექციათ და, რაღა ჩვენ, მეგრელებს, გავხვევენ თავს ლოცვისათვის ამ ჩვენს შინაურულ ენას? რატომ თავად რუსები საეკლესიო სლავეურზე აღასრულებენ ღვთისმსახურებას და არა მათსვე მშობლიურ თანამედროვე რუსულ ენაზე?“

მღვდელი ევგენი შენგელაია

ისიც ამტკიცებს, რომ საღვთისმსახურო მიზნით ლოცვების ქართულიდან მეგრულად თარგმნა და გამოყენება დიდ ვნებას მოუტანს მოსახლეობას სწორედ რელიგიური თვალსაზრისით:

„სამეგრელოს ხალხი უძველესი დროიდან, ქრისტიანობის მიღებისთანავე, მიეჩნევა ლოცვების აღვლენასა და ყველა სახის ღვთისმსახურების აღსრულებას თავის მშობლიურ ქართულ ენაზე, ამ საღვთო სიტყვებს იგი უმუალოდ უფლის ბავთავან ამოთქმულად აღიქვამს და მისი შეცვლა მორწმუნეთა გულებში მხოლოდ ურწმუნობის ღვარძლს ჩათესავს. თარგმანის ვერავითარ საჭიროებას

ვერ ვხედავ, რამდენად მეგრელებს, მარტო ზუპურ საზოგადოებას კი არა, უბრალო მუშა ხალხსაც, ყველაფერი ჩინებულად ესმით ქართულად; მეტიც, ყოველ მეგრელს შესისხლხორცებული აქვს თავისი მშობლიური ქართული ენის სიწმინდისა და საღვთოობის განცდა, რასაც შეურყენის ლოცვათა მეგრული თარგმანი, ამაღლვრეველი არა მარტო ჩვენი რელიგიური, არამედ საზოგადოებრივ-ზნეობრივი ცხოვრებისა“.

მღვდელი ნესტორ ალშიბაია

„ხალხი არ თანაუგრძობს ლოცვათა გადმოთარგმნას ქართულიდან მეგრულად; იგი ოდითგან მოწიწებით უყურებს ქართულ საეკლესიო ენას, როგორც ამაღლებულსა და საღვთოს. საეკლესიო-ქართული ღვთაებრივი დიდებულების ნიშანს ატარებს და, თუ ლოცვათა სიტყვებს მეგრულად ვთარგმნით, კურონოზულ-სამასხარაო ეფექტს მივიღებთ. მეგრულს ჩვენ ვთვლით ჩვენს შინაურ, ოჯახში სახმარ ენად, რომელიც გამოუსადეგარია საღვთისმსახურად. უბირ ხალხშიც კი თავმოსაჭრელია უცოდინრობა ქართულის, როგორც ღვთისმსახურების ენისა, რომელიც მეგრული უხსოვარი დროიდან მოწიწებით ეთაყვანება; ასე რომ, ღვთისმსახურების დროს ქართულად ადვლენილ ყველა ლოცვას უბრალო ხალხი ჩინებულად გებულობს“.

მღვდელი ალექსი ქვარცხავა

„ქრისტიანობის შემოღებისთანავე სამეგრელოში, სადაც იგი წმინდა მოციქულებმა ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა გაავრცელეს ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში, საეკლესიო მსახურების ენად იყო და რჩება საეკლესიო-ქართული. საერთოდ, ჩვენში ყოველთვის ქართული ენა გამოიყენებოდა სახელმწიფო ენად; მას დაუბრკოლებლად იგებდა მეგრელი მოსახლეობა, რამდენადაც მეგრული იგივე ქართული ენა განსლავთ, ოღონდ, სხვადასხვა ისტორიული ვითარების გამო მეგრული მეტყველება სამწერლობო ენად აღარ განვითარებულა. მეგრული მიეკუთვნება ქართველური ერთიანი მოდგმის ენათა ოჯახს და მას გარკვეული რეგიონის მოსახლეობა შინაურულ ენად მოვიხმართ. ისტორიული ცხოვრების დასაწყისიდანვე სამეგრელოს სამწერლობო ენად ქართული ჰქონდა, რამდენადაც მეგრელებს ეს ენა მიგ-

ვანდა დედაენად; საეკლესიო-ქართული კი, რასაც მთელი მართლმადიდებელი მეგრელობა უკვე ამდენი საუკუნეა ყოველდღიურად ვისმენთ ეკლესიაში, ის წმინდა ენაა, რომელსაც შევესისხლხორცეთ და ურომლისოდაც არსებობა ვერც კი წარმოგვიდგენია... ამიტომაც ვივდრები, ეკლესიაცა და ხალხიც ვცვისენით ამგვარი სიანხლისაგან“.

თავადი ნიკო ტარიელის ძე დადიანი

კატეგორიული წინააღმდეგეა მეგრულ ენაზე ღვთისმსახურებისა. მეგრულის თაობაზე თვითონ ხალხშია მკაფიოდ ჩამოყალიბებული თვალსაზრისი:

„მეცა და მთელმა ჩვენმა თანამედროვე მეგრელობამ ვიცით, რომ ჩვენთან, სახლებში, ბატონების თანდასწრებით ფარეშებიც ერიდებოდნენ მდაბიოთა სალაპარაკო მეგრულს და ათვალისწინებით მას „მდაბიოლაცაფს“ ეძახდნენ, ხოლო „მარგალი“ იმდენად ტომობრივ კი არა, სოციალურ ტერმინად გამოიყენებოდა და „გლეხს“, „მდაბიოს“ აღნიშნავდა.

თავადი დავით გიორგის ძე დადიანი

მეგრულად ნათარგმნი ლოცვების დეტალური ანალიზის შემდეგ, ამ უაზრო და მავნებლური წამოწყების აღსაკვეთად დავით დადიანი რიტორიკული გზებით შესთხოვს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს:

„ყოვლადმოწყალე მწყემსმთავარო, მართლმადიდებელი კოლხიდელები, ახლანდელი მეგრელების, თვალში რათა ფეხქვეშ არ გაათელოს უწმინდესი რელიგია იესო ქრისტესი, ძისა ღვთისა, მაცხოვრისა ჩვენისა, და ამით მისი ხალხი არ მოვექცეთ დაუშრეტელი გეჰენის კართების ქვეშე, გევედრებით, ბრძანებით - შორს ჩვენგან ამგვარი სულისწამწყმედი წამოწყება, და ჩვენ, სულიერად მუხლმოყრილნი თქვენ წინაშე, ერთხმად დავიდასტურებთ - ამინ!“

მართლაც, ამინ, ანუ - ჭეშმარიტად! როგორც ვნახეთ, ჩვენმა წინაპრებმა უპატრონეს ჩვენს სახელმწიფო ენას, ახლა ჯერი ჩვენზეა. მარტო სალიტერატურო ქართულს კი არა, ასევე უნდა მოუპაროთ და ველოლიაოთ სხვა ქართველურ ენებსა და ქართულის დიალექტებს... ველოლიაოთ და არა - ვადაღაოთ: კაცს ხომ თავისი მეტყველების გამამსახარავება უფრო სწყინს, ვიდრე - თავისი გარეგნობისა! ცხადია, საჯარო გამოსვლისას ადამიანი უნდა ცდილობდეს სალიტერატურო

ქართულით ილაპარაკოს, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ბუნებრივი მეტყველება: ბუნებრიობასა და უშუალობას კი ხშირად სწორედ კილოური ფორმები ანიჭებს მეტყველებას. სხვათა შორის, ზომიერად და გემოვნებით გამოყენებული ეს დიალექტიზმები თვით კლასიკოსთა ნაწერებსაც თავისებურ კოლორიტსა სძენს. საერთოდ, დიალექტიზმების გარეშე ლიტერატურა თავის ფერ-ხორცს დაკარგავდა. თუ წარმოვიდგენია, მკითხველო, სალიტერატურო ქართულით მეტყველი ლელთ ლუნია ან კირილე მიმინაშვილი? მეტყველი, ესენი ხომ პერსონაჟები არიანო. აგრეთა, მაგრამ ვერ დამისახელებთ ვერც ერთ დიდ მწერალს, რომელიც ავტორისეულ მეტყველებაშიც არ იყენებდეს დიალექტიზმებს... მეტ-ნაკლებად, ცხადია.

მეტყველების შეფასებისას გადაწყვეტილია, რას ამბობს კაცი... არანაკლებ - როგორ ამბობს... და კიდევ უფრო მეტად - ვინ ამბობს.

როცა ვაჟა „ყვავილის“ ნაცვლად „ყოილიო“, იტყვის, ან „მოვიდას“ ნაცვლად - „მოიდას“, ამას, ყველაფერს, თავისი ემოციური დატვირთვა ანლავს.

სხვათა შორის, არა მხოლოდ პოეტურ ტექსტში.

ფხვიშვილა

„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშვილა არ გავიარე - რაა მამული?!“

გალაკტიონი

რასაც ახლა გეტყვით, ვიცი, რომ მარტო ჩემი ენის განცდა და აღქმა არ განსლავთ იმ მოვლენისა, რასაც ილია მეორე ჰქვია.

მოვლენა-მეთქი, არც წამცდენია და არც ენობრივ ადლოს უღალატა, ამჯერად, ჩემთვის: პატრიარქი თავისი დიდი მოსახელის ილია-მართლის დარად ხორციელი კაცადან მოვლენად იქცა. მისგან იღვრება ის, რაც ერთ სიტყვად ძნელად გამოითქმის - სიმშვიდეც, სათნობაც, სითბოც, ძალაც... მოკლედ, იღვრება და ჩვენზე გადმოდის მადლი, თანაც - ცხადლივ, ლამის ხელშესახებად.

ამის ერთ-ერთი მიზეზი, იქნებ, პატრიარქის მეტყველებაც იყოს - დარბაისლური, სულიერებით გაჯერებული, სადა, ამაღლებული და... თქვენ წარმოიდგინეთ, ხანდახან, ჩვენი მთის კილოების არაჩვეულებრივი სურნელით შენელებული. როცა პირად საუბარში პატრიარქი - „მოიდაო“ - ვაჟახებურად მოუქცევს, ლამის გული ამომიბრუნდეს: თითქოსდა რაღაც უცნაური თბილ-ტკბილი ნათელი „მოიდა“ და ჩამღვარა სულში.

მარტო ადამიანები როდი ვგრძნობთ ამ მადლს: მასსოვს, დიდი ხნის წინათ, მარტოფში მიმიპატიჟა, თავის რეზიდენცი-



„მამულის“ ორი წლის იუბილე
2005 წლის 30 ოქტომბერს



„მამული“ ათი წელი უკვეა



ათი წლის
მოსავალი



„მამულის“ ხუთი წლის იუბილე
2008 წლის 23 ნოემბერს



„მამულის“ ხუთი წლის იუბილე
2008 წლის 23 ნოემბერს



გაზეთი „მამული“ მწვერვალ
„საქართველოზე“ კოლორადოს
მთათა სისტემაში
2005 წლის 27 ოქტომბერს



ასე დაიწყო „მამულის“
ოფისის მშენებლობა
2010 წლის აპრილში

კითხვა-პასუხები



ისტორიისთვის
შემოვინახეთ
„მამულის“
იუბილეები



„მამულის“
ოფისი

ასე
იცვ-
ლე-
ბოდა
ჩვენი
ქულები

მამული

მამული

მამული

მამული

მამული

მამული

მამული

მამული

მამული

მამული

მამული

აში. ვეახელი, ვსაუბრობთ... განვიწმინდე, გავმსუბუქდი, გავთავისუფლდი, ავმალლდი... მოკლედ, ის დამეძარტა, რაც ყოველ თქვენგანს მოსდის მასთან საუბრისას. მორჩილი შემოვიდა და მორიდებულად რაღაც უჩურჩულა.

- ჯოყოლა? - გაიკვირვა პატრიარქმა, - ახლავე შემომიყვანე!

ვინმე მონატრებული მოხვევ თუ არის-მეთქი თავისი მშობლიური კუთხიდან, გავიფიქრე და - დარბაზში უზარმაზარი მეცხვარის ძალღი მოვარდა ისეთი ღოჯებით, რელსს რომ გადაღრღნიდა.

- ჯოყოლა მოიდა, ჩემი ჯოყოლა, - მიეაღერსა პატრიარქი, მაგრამ აღერსი და გადარევა თქვენ ნაგაზისა უნდა გენახათ: შეჭლმუთუნა, მიეფოფინა, ხელები აუ-

ლოკა - მომეჩვენა, ხელზე ემთხვია-მეთქი. თურმე ლეკვი ყოფილა, როცა მოუპარავთ და ახლა, ერთი წლის თავზე, დააბრუნეს. გაიხარა პატრიარქმა, გავიხარეთ ყველამ, მაგრამ ჩვენი სიხარული რა მოსატანია ჯოყოლას სიხარულთან, რომელმაც უტყუარი ძალღური გემით იეუმანა, რომ ღვთისკაცს დაუბრუნდა.

პატრიარქმა მერე გომურები მანახა, სადაც დარჩეული საქონელი ეყენა... ელაპარაკა, ეაღერსა მათაც...

...დროთა სამანი თითქოს მომერღვა და ცხადღივ დავინახე, გერგეტის სამები-საკენ მიმავალმა, როგორ გაიხარა ფეხზე და ანაფორიანმა გატოპა სნოსწყალი... და ყოველი კენჭი, ყოველი შხეფი - ირაკლი, ირაკლიო, - შესწნრიალებდა პატრიარქს.

ვიხილე, პალესტინის გაუსადღის ხვატში როგორ შეუდგა ოთხიათასსაფეხურიან ქვის გავარვარებულ კიბეს სინას მთის წმინდა მწვერვალისაკენ პატრიარქი უხამლოდ, ფეხშიშველა...

და მე მივხვდი, რომ ეს კაცი - თუნდაც ფეხშემოსილი - მაინც მარადიულად ფეხშიშველაა და მისი მზირალი ტერფები მუდამ ხედავენ და გრძნობენ იმ სიმძიმეს, რასაც მიწა ჰქვია...

რასაც - მამული ჰქვია...

რასაც - დედამიწა ჰქვია...

სიმძიმე იგი ამ კაცს მაღლა ეზიდება - ცისაკენ!

P.s. შემინდე, მკითხველო, თუ ეს ჩემი „ფიქრები“ არცთუ ისე „ხმადაბალი“ გამომივიდა.



**წმინდასი მსოფლიოს
წმინდასი მინაჩანი -
იოკლანანი**

 ივერია

ახლო \$19.99



ქართული ტელევიზია და ფილმები კომპიუტერში, მძვინვარე ტელევიზორებში

პირდაპირი ეთერი, ერთი კვირის ჩანაწერი; ნებისმიერ დროს
ეურება, ზაუსა, გადახვევა; კლასიკური, დოკუმენტური, ახალი
ფილმები; ქრისტიანული და საბავშვო გადაცემები; უმაღლესი ვიდეო
და აუდიო ხარისხი; უმარტივესი ინსტალაცია, ქართული მენიუ.

www.iveriatv.com

1-800-959-8541





ჩისტი მგალობელი

ოჯახი

ბავშვობიდან ვიზრდებოდი მუსიკისა და პოეზიის ატმოსფეროში. მამაჩემი, ლაზარე ჩოხელი, კარგად მღეროდა, უკრავდა ფანდურს, საკუთარ მელოდიაზე ამღერებდა საკუთარ ლექსებს, იყო არაჩვეულებრივი თამადა, საოცრად თბილი და ინტელიგენტი ადამიანი. ჩვენს ოჯახში სტუმრად მოდიოდნენ: აკობ ტრიპოლსკი, ტარიელ საყვარელიძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, ჯუმბერ ძიძვა, შალვა ლორთქიფანიძე, ჩიტო შოშიაშვილი, ჯონდო ბუაძე, ალაზა ხაიაური, ვახტანგ რაზიკაშვილი (ვაჟა-ფშაველას შვილი) და მრავალი სხვა, ახლა ყველას ჩამოთვლა ძნელია.

მაგონდება ერთი პატარა შემთხვევა:

ვიქნებოდი, ალბათ, მეორე თუ მესამე კლასში, სახლში ვიპოვე საბავშვო ლექსთა კრებული. ძალიან მინდოდა, მამა გამეხარებინა და როგორმე თავი მომიწონებინა, გადმოვიწერე ორკუპლეტებიანი ლექსი მჭაიებზე და ვაჩვენე, მე დავწერე-მეთქი. მამას გაუხარდა, ლექსი მარტივი გახლდათ და მან მართლაც დაიჯერა, რომ მე დავწერე. გავიდა დრო, მამა შემთხვევით წააწყდა ამ წიგნს და მჭაიებზე დაწერილი ის ლექსიც ნახა, მიმინძო თავისთან, მიჩვენა ლექსი და მითხრა: „ყოჩაღ, შვილო, ზოგიერთი პოეტი წლობით ვერ ახერხებს წიგნში დაბეჭდვას და შენი ლექსი კი უკვე დაუბეჭდავთო!“..

მამის ამ ტაქტიანმა იუმორმა შედეგი გამოიღო: ის აღარასოდეს მომიტყუებდა და ეს შემთხვევა, ალბათ, ჩემი მომავალი შემოქმედებითი სიწრფელისა და პატიოსნების სტიმულიც გახდა...

მამაჩემის, ლაზარე ჩოხელის შესახებ ვახუშტი კოტეტიშვილმა რადიოგადაცემა გააკეთა რუბრიკით „ლექსო, ნუ დაიკარგები“, მაგრამ მამამ ვეღარ მოისმინა, მალე გარდაიცვალა. სიცოცხლეშივე იბეჭდებოდა მისი ლექსები ჟურნალ-გაზეთებში, თუმცა წიგნის გამოცემა, რისი დიდი სურვილიც ჰქონდა, ვეღარ მოასწრო. მე ეს ძალიან მაწუხებდა და გადავწყვიტე, მამის ლექსები ამღერებინა. ალბათ, მისმა სულმა მიკარნახა - მის 15 ლექსზე შევქმენი სიმღერები, გამოუშვი კომპაქტ-დისკი „ოცნება“.

მყავდა დედა, გურული ქალბატონი როზა ბერიშვილი, რომელიც არ მასსოვს: რვა თვის ვიყავი, ჩემი დაიკო კი - სამი წლისა, როცა ჩემი ძმის, ხუთი წლის ლერის სიკვდილს გადაჰყვა... მეუბნებიან, არაჩვეულებრივად მღეროდა, შესანიშნავ კრიმინალულს ამბობდო, გურიაში ლაურეატობის სივრცელებიც ჰქონია...

მინდა ვითხრა, რომ მყავდა გამზრდელი დედა ნახიკო ქიტესაშვილი, რომელმაც ოთხი წლის ასაკიდან გამზარდა. გარდაიცვალა 1971 წელს. ჩემი მამა 1973 წელს ისევ დაქორწინდა მარიამ ჩეკურიშ-

როცა ინტერნეტში, youtube-ზე, ზაირა ჩოხელს ვუსმენ, თბილ ქვეყნებში გადამფრენი რომელიმეც მაგალობელი ჩიტი მაგონდება: მშობლიური ჭალა-წყლები, ხატულა მთა-ბარი მოსალოდნელი ყინვის შიშით რომ დატოვა, უცხოეთში გამოიზამთრა, უკან დაბრუნება კი, რაღაც მიზეზით, ვერა და ვერ შეძლო.

ზაირას უღამაზეს, სრულიად განსხვავებული ტემბრის ხმაშიც ის ცრემლი და ტკივილია ჩაღვრილი, მრავალი ათასი კილომეტრის სიშორიდანაც რომ სწვდება მონატრებულ სამშობლოს, იმ ჩიტის მსგავსად, ოკეანის გაღმინაც ეფერება და ესიყვარულება თავის ბუდეც.

სიმღერები, რომელთაც ზაირა ჩოხელი მარტო, ან უახლოეს მეგობრებთან ერთად ასრულებს, ჩვენი თანამემამულეების ემიგრანტულ ცხოვრებას განსაკუთრებულად ალამაზებს, მთელ კონტინენტზე გაფანტულ ქართველობას გულს უთბობს, ესაღბუნება და სიყვარულით ავსებს.

მღერის ზაირა ჩოხელი და უსმენს ამერიკის ქართველობა. მღერის ზაირა და ბევრმა არც კი იცის, ეს სევდიანი, მგრძობიარე ქალბატონი რამოდენა წარსულს ატარებს, რაოდენ სხვანაირი და გამორჩეულია.

აბა, მოვუსმინოთ...

ვილზე, რომელიც წლინახევრის წინ გარდაიცვალა. ორივე დედინაცვალი ბრწყინვალე ადამიანი იყო. ასე რომ, სამი დედა მყავდა...

მე და ჩემი დაიკო ლალი ბავშვობიდან ვმღეროდით, უკვე ოთხი წლისას ხმებში შექმნილი სიმღერა. სასკოლო ოლიმპიადებზე გამოვიდოდით, მასწავლებელთა სახლში არსებულ ანსაბლში ვმღეროდით ჩიტო შოშიაშვილის ხელმძღვანელობით. ალბათ, ყველაფერმა ამან - გენმა, გარემომ, ოჯახურმა ტრადიციამ განაპირობა ჩემი გზაც ხელოვნებაში.

ჩემი შემოქმედებითი

ცნობრება საქართველოში

თბილისის მეათე საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ჩავაბარე პირველ მუსიკალურ სასწავლებელში. 1970 წლიდან ამერიკაში წამოსვლამდე ვმუშაობდი საქართველოს ნიკო სულხანიშვილის სახელობის სახელმწიფო კაპელაში. იმ პერიოდში სამხატვრო ხელმძღვანელი იყო გურამ ბაქრაძე, შემდეგ - გივი მუნჯიშვილი, ღირიყორი - გივი ცომაია.

უსაზღვროდ მიყვარდა კაპელაში სიმღერა, ის ჩემი სულის ნაწილია და დღემდე მაქვს მისი ნოსტალგია.

1976 წელს დავამთავრე თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტი, პედაგოგ ოულია ფალიაშვილის კლასი.

1978 წლიდან ვიყავი სიონის საკათედრო ტაძრის შერეული გუნდის მაგალობელი. ერთხელ სწორედ აქედან გავემზავრეთ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სადაც მსოფლიოს მართლმადიდებლური ეკლესიების გუნდები ჰყავდათ მიწვეული წირვა-ლოცვის ჩასატარებლად. ჩვენი შე-

რეული გუნდის რეგენტი იყო ეთერ კოხობე, ვაჟთა გუნდისა - ნოდარ კიკნაძე, თან გვანდნენ ეპისკოპოსი გურამ შალაბუერიძე, პროტოდიაკონი ამირან ამირანაშვილი (ამჟამად უკვე დეკანოზი) და უშიშროების სამსახურის წარმომადგენელი. ჩავედით რეგენსბურგში, საიდანაც გავდიოდით სხვადასხვა ქალაქის ეკლესიებში და ვგალობდით. ჩვენი მასპინძელი იყო დოქტორი რაუხი. ერთხელაც, ვავემზავრეთ კიოლში, სადაც მასპინძელი, დოქტორი ვალტერმანი, რატომღაც, უგულოდ, ძალიან ოფიციალურად დაგვხვდა. ჩასვლისთანავე იქვე, ახლოს მდებარე ეკლესიაში წავგიყვანა დასათვალიერებლად. ჩვენი ვაჟები ყველა ხატთან გალობდნენ ხოლმე და აქაც, რა თქმა უნდა, დაიწყეს გალობა - „შენ ხარ ვენახი“. ეს ჩვენი უმეორე მასპინძელი უსმენს, უსმენს და გოცბეული შესცქერის მაგალობებს. თითქოს გამოცვალეს ადამიანი, უცრად გაუბრწყინდა სახე, აღფრთოვანებას ვეღარ მალავდა. შემდეგ ბანკეტზე, სუფრასთან თქვა: მეუბნებოდნენ, რად გინდა, რომ იწვევ უინტერესო მაგალობებსო და, აბა, ახლა გამიბედონ და ეს მითხრანო... მეორე დღეს წირვა-ლოცვა ჩავატარეთ სან სვერინის ტაძარში, ქართველებიც იყვნენ, რადიოთითაც გადაიცა.

აქვე გავიხსენებ: ერთ დღეს სიონის შერეულ გუნდთან რეპეტიციას ატარებდა იმ პერიოდში რეგენტი გივი ცომაია. უცებ, გაიღო კარი და შემობრძანდა ჩვენი სათნო და უძვირფასესი პატრიარქი, მივიდა პიანინოსთან და დაუკრა პარტიტურა საგალობლისა, რაზეც ჩვენ ვმუშაობდით, თან იგალობა: აი, ამ ადგილზე ასეთი ნიუანსი უნდა გააკეთოთ, აგვისნსა... ეს სურათი დღემდე წარუშლელად მიდგას თვალწინ... მისი უწმინდესობისაგან დაჯილდოე-



■ **ოჯახთან ერთად**

ბული გახლავართ ბიბლიითა და სიველით, ეს ჩემი ყველაზე ძვირფასი ჯილდოა.

ერთხანს ვმუშაობდი წყნეთის ხელოვნების სკოლაშიც, სადაც ვასწავლიდი ვოკალს. დირექტორი გახლდათ თამილა ზატიკაშვილი.

ასევე, დიდი მოგონებები მაკავშირებს ტრიო „ქართულ ჰანგთან“, სადაც ლელა თათარაიძესთან და მზია ბეკურაშვილთან ერთად ვმღეროდი. ტრიოს წევრები საფრანგეთში, საქართველოს კულტურის დღეებში ვმონაწილეობდით. ასევე მიწვეული გახლდით პოლანდიაში - ჩვენი კომპაქტ-დისკის პრეზენტაციაზე, სადაც ვულარ წავედით, რადგან მე და მზია ამერიკაში გადმოვიხვეწეთ და მივატოვეთ ჩვენი ლელა. მანამდე კი ტრიომ კონცერტებით შემოიარა საქართველოს კუთხეები, მსახიობებთან - თემო ნაცვლიშვილთან, გაია ჯაფარიძესთან, ოთარ სეთურაიძესთან და სხვებთან ერთად.

გოდერძი ჩოხელს ჩვენს ტრიოზე ფილმის გადაღება უნდოდა, მაგრამ...

როგორც ყველა აქ წამოსულს, მე და მზიასაც არ გვეგონა, თუ ასე ჩავვითრევდა ამერიკა და ამდენხანს აქ დავრჩებოდით.

ჩემი შემოქმედებითი გზის ერთ-ერთი თბილი მოგონებაა ასევე ანსამბლი „ქალგულო“, რომელიც ჩამოაყალიბა მომღერალმა ჩიტო შოშიაშვილმა, შემდეგ ანსამბლს ხელმძღვანელობდა მზია ბეკურაშვილი.

გასტროლებით მოვლილი მაქვს ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკა, საზღვარგარეთის ქვეყნები...



■ **ნანა ალექსანდრიასთან და გურამ დოჩანაშვილთან ერთად**

ამ, ამერიკაში

სიმართლე გითხრათ, უცნაურად მოხდა ჩემი აქ ჩამოსვლა... მეგობარს - თამილა ზატიკაშვილს, ხელოვნების სკოლის დირექტორს, ჰქონდა ამერიკაში ჩამოსვლის სურვილი და ჩვენც გვიჩნია, აიღეთ ფეტონი და გადით გასაუბრებაზე, იქნებ ერთად წავიდეთ, გაგვიმართლოს და იქ კონცერტები ჩავატაროთ, ეკლესიაშიც ვივალდებოდეთ... ჩვენც, მზიამ და მე, ავიღეთ ეს საბედისწერო ფეტონები და უპრობლემოდ ჩავვირტყეს ბეჭედი, ისეთი კარგი საბუთები გვქონდა. სტუმრის სტატუსით ჩამოვედით და მივხვდით, რომ ია-ვარდით არ ყოფილა ემიგრანტის გზა მოფენილი.

დავიწყეთ სამუშაოს ძებნა, რადგან, ელე მენტარულად, საარსებო ფულიც კი არ გავგაჩნდა. თბილისში მხოლოდ გზის ფული ვისესხეთ, უკან წასასვლელი გზა მოჭრილი იყო, ხელცარიელი ვერ წავიდოდით... დავიწყეთ ოჯახებში, ბავშვებთან მუშაობა. მე ძალიან მიჭირდა შეგუება, თითქმის მთელი წელი ტირილში გავატარე. მაგრამ ნელ-ნელა ეჩვევა ადამიანი, როგორც ჩანს... საშინელი ნოსტალგია მქონდა და მაქვს ახლაც, და არა მარტო



■ **ტრიო „ქართული ჰანგი“**

მე... ფილმი „მიწის სკული“ კარგად გადმოცემს ემიგრანტი ქართველების სულიერ მდგომარეობას...

თუ არა ისევ და ისევ ხელოვნება, ვერ გაგვძლებდი აქ.

სხვათაშორის, 2001 წლის ტერაქტის დროს ჩემი მეგობარი მზია მეტროში მოხვდა და ბეწვზე გადარჩა. მანკეტენში მიდიოდა, ცოტა ადრე რომ ამოსულიყო, დაილუპებოდა, რადგანაც ზუსტად იმ ადგილას ჰქონდა საქმე. ერთი წლის შემდეგ მე მიმიწვიეს მილენიუმის თეატრში, საქველმოქმედო კონცერტზე, სადაც შევასრულე ჩემი საკუთარი სიმღერა საშა სოკოლოვის ტექსტზე - „დობრი სლედ“.

1999 წელს მზია ბეკურაშვილმა, თამილა ზატიკაშვილმა და მე დავიწყეთ სიმღერა „Dancing Crane“-ს სიმღერისა და ცეკვის ქართულ ანსამბლში, რომლის ხელმძღვანელები არიან ვიქტორ სირელსონი და ლია ბახტურიძე. ვასრულებთ ყველა ჟანრის სიმღერას. ჩვენ აგრეთვე ვგალობდით ეკლესიაში მანკეტენზე, რეგენტ ლუიზა ცაავასთან ერთად. მაშინ ცოტა მრევლი იყო, რადგანაც ადენი ქართველი არ გახლდათ წამოსული, დღეს კი უკვე წმინდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესია გვაქვს ამერიკაში, მრევლიც ბევრია. წირვა-ლოცვას ალაგვინს შესანიშნავი მოძღვარი მამა ალექსანდრე.

ამერიკაში ჩემი ყოფნისას გამოვუშვი რამდენიმე კომპაქტ-დისკი საავტორო და შერეული პროგრამით: „მონატრება“, „საქართველო ედემა“, „ოცნება“, „დობრი სლედ“, „დილოგი“ და „მამული“, რომელიც მივუძღვენი ჩემი დის ხსოვნას.

ლალისთან განშორებამ ყველაფრის ინტერესი დამიკარგა, ჩამოვშორდი ხელოვნებას, თითქოს ცხოვრების მიზანი გამიქრა... დაიკო იყო ჩემი სტიმული, მას ვუძღვნიდი თითქმის ყველაფერს, რასაც ვაკეთებდი. არაერთხელ მითქვამს მისთვის: „ლალიკო, ხალხი ფულს აკეთებს ამერიკაში და მე სიმღერებს ვწერ, ვის უნდა, ნეტავ-მეთქი?“ ის კი მპასუხობდა: „რას ამბობ, მე ისეთი ბედნიერი ვარ, რომ ყოველ შენს ახალ სიმღერას ზეიმივით ველოდებიო.“

ბოლოს და ბოლოს, დღეს უკვე თავი ავიყვანე ხელში და ისევ დავბრუნდი „Dancing Crane“-ში, რომელიც ამჟამად ქართული კულტურის ცენტრია. აქ არსებულ „ქართულ თეატრში“, რომელიც ლია ბახტურიძე-სირელსონმა ჩამოაყალიბა, მოღვაწეობენ: ცუცა კაპანაძე, ხათუნა იოსელიანი და სხვები. ამერიკაში დაბადებული ბავშვები აქ არსებულ წრეებში ქართულ ენას სწავლობენ, ასევე ეუფლებიან სიმღერას, ცეკვას, სამსახიობო ოსტატობას.

კიდევ დავამატებდი, რომ ჩვენი ტრიო „მაგნოლია“ კონცერტებით გამოდის „ლინკოლნ-ცენტრში“, ბოსტონის უნივერსიტეტ-

ში, მილენიუმის თეატრში და სხვა პრესტიჟულ სცენებზე. რამდენჯერმე მიმიწვიეს რადიოში, ჩემთან რამდენჯერმე ჩაწერა ინტერვიუ რადიო „ამერიკის ხმის“ ჟურნალისტმა ეთერ ფინზაძემ, ჩემზე გააკეთეს გადაცემა და სიმღერები გააჟღერეს „დევიდსონ რადიო“-ში. ვთანამშრომლობდით მომღერალ და კომპოზიტორ მედეა სიხარულიძესთან (ტრიო „სამაიას“ წევრი), ვასრულებდი მის მიერ საშა სოკოლოვის ლექსებზე დაწერილ რომანსებს და ლირიულ სიმღერებს კაფე „Ozi“-ში.

ქართული სიმღერის სული

ერთხელ კონცერტი გვექონდა „Dancing Crane“-ს ლინკოლნ ცენტრში. ადრეთოვანებული ამერიკელი მაყურებელი ტაშს უკრავდა ქართულ ცეკვას და სიმღერას. მე და მზია ვმღეროდით ხალხურ „იავნანას“ და უცებ შევნიშნეთ, წინა რიგში როგორ ტროდნენ. კონცერტის შემდეგ ეს ადამიანები ჩვენთან მოვიდნენ მოსალოცად. ვკითხეთ, თქვენ ხომ არ გესმით ამ სიმღერის სიტყვები და ასე რატომ განიცდიდით? გვიპასუხეს: თქვენს სიმღერას უსიტყვოდაც შეიგრძნობს ადამიანი, ქართული ჰარმონია უნიკალურიაო.

ამერიკაში როგორ შევინარჩუნე ქართული სიმღერის სული? ეს, მე მგონი, ჩემი თაობის ადამიანისათვის ძნელი არ არის. ჩემში ისე ღრმად, შიგ გულში ზის ქართული მუსიკა, ყველა ჟანრის სიმღერა, ცეკვა, პოეზია, მხატვრობა, რომ ვერანაირი უცხო ქვეყანა, კერძოდ, ამერიკა ვერ შეცვლის მის სიყვარულს. ჩემი სიმღერების მოსმენისას, ალბათ, მიხვდებით, რომ თითქმის ყველგან სამშობლოს მივტირი. რა თქმა უნდა, ამერიკას არ უთხოვია, ჩამოდი და აქ იცხოვრეო, მაგრამ ბედისწერამ წამოგვიყვანა ამ ქვეყანაში... რა თქმა უნდა, ბევრი რამ მომწონს ამერიკული, მაგრამ ჩემთვის ის მაინც უცხო სხეულია...

სამწუხაროდ, ახალგაზრდებში და, მითუმეტეს, აქ დაბადებულ ყმაწვილებში, ნაკლებად, ან თითქმის არ არის ქართული სული (ზოგიერთი ოჯახის გარდა, რომლებიც თავგამოდებით იბრძვიან, რათა მათმა შვილებმა არ დაკარგონ ქართული ენა და ქართული სული)...

როგორ ვამბობ?

პირველ რიგში, მინდა ვითხრათ, რომ ჩემს თავს არ მივიჩნევ კომპოზიტორად. მე არ მაქვს საკომპოზიტო განათლება. უბრალოდ, ვქმნი სიმღერებს... ადრე ვწერდი ხოლმე სიმღერებს იმ ლექსებზე, რომლებიც მომეწონებოდა, ვასრულებდი ჩემს მეგობრებთან, მაგრამ არ ვამხვდები, რომ ეს ჩემი მუსიკა იყო. როცა დავინახე, რომ მოსწონდათ, ნელ-ნელა დავიწყე გამქვავება და გადავწყვიტე, უფრო სერიოზულად მომე-

კიდა ხელი...

პირველად არანაშინებდა და სიმღერის ჩაწერა გამიკეთა შესანიშნავმა გიტარისტმა და ბრწყინვალე ადამიანმა კაკო ვაშალომიძემ. არანაშინებდა დიდი როლი შეაქვს სიმღერის გალაშქრებაში. თბილისში გამოვუშვი კასეტა, რომელშიც ცხრა სიმღერა შევიტანე, ლექსების ავტორებია: მირზა უკლება, გოდერძი ჩოხელი, ლაზარე ჩოხელი... ამერიკაშიც განვაგრძე სიმღერების წერა.

როგორ ვქმნი მუშაობებს? უპირველესად, უნდა მომეწონოს ლექსი, შემდეგ, ლექსიდან გამოვძინარე, მოდის მელოდია. არის ხოლმე ბრწყინვალე ლექსი, შეიძლება ითქვას, შედევრი, მაგრამ სიმღერისთვის არ გამოდგება - შეიძლება, დაკარგოს ის მადლი, რაც ჩადო მასში ავტორმა.

ამერიკაში გავიცანი საოცრად ნიჭიერი ადამიანები, რომლებიც მუშაობენ, თუმცა საკუთარი შემოქმედებითი მონაცემების გამოვლენასაც ახერხებენ. ტარდება ქართული პოეზიის საღამოები. მინდა ჩამოვითვალოთ პოეტები, რომელთა ლექსებზეც შევქმნი სიმღერები: ნოდარ ბერიშვილი, მირზა უკლება, მანუჩარ კახიანიძე, დალი კიკნაძე, ნანა გოგუაძე, როსტომ ფინა, ბესიკ ქვეშაია, თამილა ზატიკაშვილი, ნანა მეფარიშვილი; აგრეთვე რუსი პოეტები: საშა სოკოლოვი და რაისა ხოდოროვა.

სიმღერების უმრავლესობას სტუდიაში ჩაწერისას მე თვითონ ვმღერდი ხმებში: 3, 4 და 5 ხმაც დამიდევს, რადგანაც ჩემი მომღერალი მეგობრები ვერ იცლიდნენ, რომ სარეპეტიციოდ და ჩასაწერად შევხვედროდით (ასეთი ცხოვრებაა აქ). მიუხედავად ამისა, მოვახერხე და რამდენიმე სიმღერა ჩავწერე მათთან. ესენი არიან: მზია და გიული ბეკურაშვილები, დათო და გიგა ამბროსიძეები, მანანა ჩიტაური, ვანო გოდერძიშვილი, ზაზა რევაზიშვილი, ზაზა სიღაძინიძე, ბექა აბულაშვილი, ვანტანგ მეგრელიშვილი, ვიქტორ კოჩიერუ, ალექსანდრე რაპოპორტი. ამერიკაში არანაშინებების ავტორები არიან: ვანო გოდერძიშვილი და იგორ მიშკოი. გიტარის აკომპანიმენტი - თემურ მჭედლიშვილი.

ბოლოდრო...

გოდერძი გარე ბიძაშვილი იყო. ჩვენ გვიან დავახლოვდით, შევხვდით მხატვარ-აკადემიკოს ილია პატაშვილის ოჯახში და მის მერე დავუახლოვდით ერთმანეთს. ამერიკაში ჩემი წამოსვლის შემდეგ, განსაკუთრებით ახლოს იყვნენ ჩემი დაიკო ლალი და გოდერძი, უსაზღვროდ უყვარდათ ერთმანეთი, გოდერძი ხშირად მიდიოდა ჩვენს ოჯახში. ის იყო საოცრად თავმდაბალი და ბავშვით სუფთა გული ჰქონდა. ლალის გარდაცვალებამ ძალზე იმოქმედა მასზე და დარდობდა. ოთხი თვის შემდეგ თვითონაც დაიღუპა. საქმარისი ყურადღება

ვერ მიიღო სიცოცხლეში, ერთხელ მითხრა კიდეც - ერმაც დამივიწყა და ბერმაცო. არადა, გოდერძის ცოტა მომაგრებას ელოდნენ, რომ საზღვარგარეთ ოპერაციისთვის გაეგზავნათ. საპატრიარქო აპირებდა ამას, როგორც მითხრეს.

მისი ფილმის „სამოთხის გვრიტების“ ჩვენება რომ ჩატარდა ფილარმონიაში, რამდენი ადამიანიც იქ იყო, უფრო მეტი გარეთ დარჩა. მათ შორის აღმოვჩნდი მეც - ადგილი აღარ იყო. შემდეგში ფილმის განხილვა ჩატარდა რუსთაველის კინოთეატრში, ჩვენებამდე ჩვენმა ტრიომ „ქართულმა ჰანგამა“ ორი სიმღერა შეასრულა.

როგორი ვარ სცენის მიღმა?

ძნელია საკუთარ თავზე ლაპარაკი. მე მგონია, რომ არა ვარ ავი, გახლავართ მშვიდობისმოყვარე, მიყვარს ადამიანები, მეგობრები, მოზუკები, ბავშვები, ბუნება... მისარია, როცა ნიჭიერ ადამიანს უმართლებს. განვიცდი, როცა ვილატეები დღეს მეგობრობენ და ზვალ მტრები ზდებიან. არ მიყვარს, პოლიტიკის გამო ერთმანეთს რომ ლანძღავენ, მითუმეტეს - ხელოვანი ადამიანები. პოლიტიკა რთულია და ყველას არ შეუძლია, საღად განსაჯოს.

ჩემი ცხოვრება სცენის გარეთ დღეს ჩვეულებრივად მიედინება, არაფერი განსაკუთრებული...

ვცხოვრობ ქალაქ ბრუკლინში, ვმუშაობ ქალაქ ქვინსში - მოზუც ქალბატონს ვუვლი ოთხი დღე...

რაც ამერიკაში ჩამოვედი, საქართველოში ყოველდღე „მივდივარ“...

2007 წლის ივლისში მივიღე გრინკარტა და წასვლა-მოსვლის უფლებაც გაჩნდა. ვაპირებდი წასვლას და უცებ ჩემი დაიკო ლალი საავადმყოფოში მოხვდა... მეორე დღესვე გავფრინდი თბილისში და... ჩემი დის კუბოს დავადექი! ალბათ, მიხვდებით, რა გადავიტანე! რვა წელი იყო გასული, რაც საქართველოში არ ვყოფილვარ, როგორ მენატრებოდა, ვოცნებობდი იმ დღეზე, როდის ჩავიდოდი და, აი, უცებ, ასეთი შეხვედრა მომიწყო ბედისწერამ...

2011 წელს თითქმის 6 თვე დავყავი საქართველოში და ჩემს მოზუც მესამე დედას ვუვლიდი. მერე ისევ წამოვედი ამერიკაში, რომ საბუთები არ გამფუჭებოდა, დავიწყე მუშაობა და იგივე დამემართა - ერთი თვის თავზე კვლავ უკან ჩამოვფრინდი, საქართველოში, და გამზრდელი დედის კუბოს დავადექი... ასე რომ, სულ უსინარულო, სევდიანი ისტორია მაქვს.

ამ ზაფხულს ვაპირებ საქართველოში წასვლას. ძველებურ სიხარულს უკვე ვედარ ვგრძნობ სამშობლოსთან შეხვედრის წინ, რადგან იქ ჩემი პირველი ნაბიჯები საფლაკებისკენ გადაიდგამება...

მინც იმედით მავსებს ჩემთვის ძვირფა-



სი იმ ადამიანების ნახვა, ვისაც კიდეც ვახსოვარ.

* * *


ინტერვიუ მაშინ გამოდის სრულყოფილი, როცა რესპონდენტი თვალწინ გყავს და მის შესახებ ბევრი ინფორმაცია გაქვს. ზაირა ჩოხელთან დიალოგი კი მეტისმეტად შეზღუდულ პირობებში წარიმართა: იგი ჩემს შეკითხვებს ჟამიდან ჟამ, მობილური ტელეფონით გამოგზავნილი ძუნწი შეტყობინებების მეშვეობით პასუხობდა.

როგორც თავმდაბალ, კეთილშობილ ადამიანებს სჩვევიათ, არც ქალბატონი ზაირა გამოირჩევა საკუთარ თავზე ლაპარაკის დიდი სურვილით.

და, მინც, მგონია, რომ ჩვენი თანამემამულეებისათვის საინტერესო იქნება ეს პაწაწინა „მეხიჯები“, რომელიც ისე ტკბილად მოედინებოდა შემოქმედი ქალბატონის მობილურიდან, როგორც ჩიტის ოქროს ნისკარტიდან - მშობლიური ჰანგები.

ნანული ცხედიანი

ნა. ნინოს სასკოლოს ნიუ-იორკის ქართული ეკლესიის ავტობუსის პარპრუბტი



**ავტობუსი
მუშაობს
შაბათ საღამოსა
და კვირა დილით,
აგრეთვე
სადღესასწაულო
დღეებში**



**ერთი ბზის
საფასური
ორი დოლარი**

დაგვიკავშირდით:
რაული: 646-267-8312
მალხაზი: 347-634-9836

წვეთი სისხლისა
ჩემში არ არის
არაქართული!
გალაკტიონი



301-ე
მე
უჩინებო
ქართულ
უბრძოლ
სადაცაა!

ელისო ნიკლაური -
მოქანდაკე,
მხატვარი,
პოეტი...

ძლიერ შთაბეჭდილებას მაშინვე ახდენს, გაცნობისთანავე.

რითი? ზუსტად ვერ გეტყვით. კონკრეტულად ერთი რამით არა, მთლიანობაში უცებ გამახსოვრებს თავს. სწორად, გამართულად მეტყველებს, გულისყურით გისმენს, განგაწყობს სასაუბროდ, არ ცდილობს თავი მოგაწონოს, მოგხიბლოს, თავბრუ დაგახვიოს თავისი განსწავლულობით, ინტელექტით, ნიჭით, ბოლოსდაბოლოს თავისი მშვენიერი შემოქმედებით (ეს ყველაფერი ხომ მას ნამდვილად აქვს). ამიტომაც ადვილად შედისარ კონტაქტში და ძალიან ჩვეულებრივად იღებ ბევრ რამეს, რომელსაც სხვა შემთხვევაში, სხვა სიტუაციაში და სხვა ადამიანთან არაჩვეულებრივადაც ჩათვლიდით. და ამის მიუხედავად (თუმცა შეიძლება სწორედ ამიტომაც) აცნობიერებ, რომ მოხიბლული რჩები პიროვნებით, რომლის გაცნობის ბედნიერებაც წილად გერგო.

* * *

ასეთი რამ, დამეთანხმებით, ხშირად არ ხდება. განსაკუთრებით აქ, უცხო ქვეყანაში, სადაც ბევრი რამაა მიუღებელი ჩვენთვის (უამრავ დადებითთან ერთად), ჩვენი გრძნობებიც უფრო გაფაქიზებულია და სწორედ თანამემამულეებში ვეძებთ ყველაფერ იმას, რაც ასე ძალიან დაგვაკლდა, რაც ასე ძალიან გვენატრება, რაც ასე ჩვენეულია. უმეტესად კი უკმარისობის, დაუკმაყოფილებლობის, წყენის, გულისტკივილის გრძნობა გვრჩება ახალი ადამიანების გაცნობისას (რატომ? განა იმიტომ, რომ ისინი ცუდები არიან ჩვენგან განსხვავებით? არა, ნამდვილად არა, მაგრამ ეს ალბათ სხვა საუბრის თემაა.)

* * *

ელისო ცდილობს სითბო მიაგებოს, ტკივილი გაინაწილოს, სიხარული გაიზიაროს, წამოდგომაში მიეხმაროს ყველას, ვისზეც უამბობენ ანდა თვალი მიუწვდება. არა, მე მატერიალურს არ ვგულისხმობ. აქ მისი შესაძლებლობები ძალიან მოკრძალებულია. სულიერ, მორალურ მხარდაჭერაზე ვამბობ, რაც არანაკლებ, ხშირად კი გაცილებით მნიშვნელოვანია მატერიალურზე. მისი სასლი ოაზისივითაა ბევრისათვის, სამშობლომონატრებული, უმეგობროდ, ეულად დარჩენილი ადამიანებისათვის. აქ ერთმანეთისგან იძენენ განსხვავებულ პიროვნებებს შეხვდები, გაგიკვირდება. იფიქრებ, ერთ ადამიანს როგორ შეიძლება სიანდოვის გზა აძენი და აძენსასოვანი ჰქონდესო. აქვს კი - ფაქტები ყოველთვის ჯოჯობია.

* * *

უჭირს ელისოსაც ამერიკაში ცხოვრება, თუმცა თითქმის მუდამ იმედია, ღიმილიანია, ამას ძალზე ადვილად გადასდებს სხვასაც. ესაა ალბათ ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რის გამოც მასთან მისვლა

უხარიათ. მეორე და უმთავრესი მისი შემოქმედებაა, ასე უხვად რომ განფენილა მისი პატარა ბინის ყველა კუთხეში, ყველა კედელზე. შემოქმედების დიდი ნაწილი საქართველოშია და გერმანია, რომ ის ელისოსათვის უკან უთუოდ დაბრუნების და აქ დიდი საქმეების მყარ გარანტიად რჩება. მაგრამ ჩვენ ამჯერად მხოლოდ ამაზე ვთქვათ, რაც აქაა, რისი თვითმხილველნიც ვართ.

* * *

სრულიად შემთხვევით მოვხვდი ელისოს ბინაში ამ ორიოდე წლის წინათ, ჩემი ამერიკაში ცხოვრების ცოტა ძნელ



პერიოდში. მეგონა სხვა სამყაროში აღმოვჩნდი. მისაღები ოთახი პატარა საგამოფენო დარბაზს წააგავდა - მხატვრობა, მცირე ზომის უმშვენიერესი ქანდაკებები, კერამიკა და ყველა ნამუშევარში იყო რაღაც ისეთი, რომელიც სიმშვიდეს, რწმენას, სიყვარულს გინერგავდა, სითბოს გაძლედა (არ ვიცი, შეიძლება ძალიან ძველმოდური ვარ, მაგრამ ხელოვნებისაგან მე სწორედ ამგვარ შერჩევებს ველოდები). გავთბი, მოვიხიბლე და დავრჩი ასე მოხიბლული დღემდე.

* * *

მის ნამუშევრებს რომ საოცარი შემოქმედების ძალა აქვს, ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი სულ ახლახან, როცა ელისოს ერთმა ამერიკელმა ნაცნობმა გამოუცხადა, თქვენ დედაჩემი სიკვდილს გადაარჩინეთო (საქმე იმაშია, რომ რამდენიმე წლის წინათ ამ ქალბატონს ელისომ თავისი ნამუშევარ

ის საჩუქრად გადასცა). ელისო, რა თქმა უნდა, დაიბნა და ერთი პირობა იფიქრა, სხვა ვინმეში ხომ არ შევეშალეო, მოსაუბრემ კიდევ უფრო დაუკონკრეტა, თქვენი ნამუშევარი ჩემი ავადმყოფი დედის საწოლ ოთახში გადავიტანე, რადგან მე თვითონ განვიცდიდი საოცარ ზემოქმედებას მისგანო. გუმანს არ უმტყუნია. დედამისი მართლაც გამოჯანმრთელდა.

ელისოს ელიმება, ალბათ კარგად უმკურნალეს და არც ბედისაგან იყო განწირულიო. იმ ქალს კი ასე სჯერა. მთელი და გადააჯერო, ანდა რატომ უნდა გადააჯერო, როცა... მეც მჯერა. შეიძლება სხვასაც (რომელსაც ჯერ არ უთქვამს, ან ჯერ ვერ მიმხვდარა).

* * *

წელან ვთქვი, საოცარი სითბო მოდისმეთქი ამ ნამუშევრებიდან, ამასაც რომ თავი დავანებოთ, თითოეული მათგანი იძენდა მშვენიერია, იძენი ამაღლებული ფიქრისა და განსჯის განცდას ბაღებს ადამიანში, რომ შერჩევის გარეშე აიღეთ რომელიმე ამ პატარა ქანდაკებებიდან, მასშტაბურად გაზარდეთ, სათანადო ადგილი შეურჩიეთ და იგი ხელოვნების ნიმუშებით განებიერებულ ნებისმიერ ქალაქს თუ ქვეყანას დაამშვენებს. ღვთის მადლით, ავტორი ორიგინალებს თითქმის არ ყიდის, მხოლოდ - ქანდაკების ასლებს და ფერწერის რეპროდუქციებს, რადგან თვლის, თვითონაც და მისი ნამუშევრებიც საქართველოს ეკუთვნის.

* * *

რომ ვთქვა, საქართველოს მის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მეთქი, ეს იგივეა ალბათ, თითქოს არაფერი მეთქვას. მთელი მისი ცხოვრება საქართველოა.

„თუმცადა მუდამ მიყვარდი, სამშობლოს როგორღაც ზოგადად აღვიქვამდი, კრებითად, შენ კი პიროვნება ყოფილხარ, კონკრეტული, ყველაზე ძვირფასი და ყველაზე საყვარელი. ნუ დამძრანავ ჩემო, აკი მშობლები და შვილები ყველას გვიყვარს, მაგრამ ჩვენი სიყვარულის სიმძაფრე მაშინდა გამოიხატება ხოლმე, როცა რაიმე უჭირთ და თავადაც მაშინ ვაცნობიერებთ, თუ რაოდენ გვიყვარს. ჰოდა, ნუ მიწყენ სიყვარული ჩემო, ჩემო წარსულო, აწმყო ჩემო და მომავლო, დედავ და შვილო ჩემო და ჩემივე თავო. რაღა დაგიბალო, მეგონა მთელი ჩემი სიყვარული ჩემს საქმეს ეკუთვნოდა. თურმე მთელი ჩემი სიყვარული, ჩემი საქმეც და ჩემი ცხოვრებაც მხოლოდ შენი ყოფილა, რადგან მხოლოდ შენით და შენთვის მინდა ყოველი“ (ელისო).

* * *

ელისოს ამერიკაში ჩამოსვლის მიზანიც სხვა იყო, ბევრი ჩვენგანისგან განსხვავებული. იმედოვნებდა, რომ მის ერთ-ერთ, ყველაზე უფრო ნაფერებ, წლების მანძილზე

გულში ნატარებ და ამჯერად უკვე კონკრეტულსახემიძღვრელი პროექტის ხორცშესხმას შეძლებდა აქაური მეცენატების დახმარებით, რადგან კარგად ესმოდა, რომ ნგრევით, შინაომებითა თუ ეკონომიკური სიღრუხებით წელში მოხრილ მის ქვეყანას ახალი პროექტებისათვის არ ეცალა. თუმცა, ეს არცთუ ისე ადვილი გამოდგა მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყანაშიც.

* * *

კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რომ ელისოსთან მისვლა უხარიათ, ისიცაა, რომ იქ ყოველთვის ქართული სამზარეულოს სურნელი ტრიალებს. სამზარეულოში კი მთავარი როლის შემსრულებელი ელისოს უფროსი და თინაა (ეს წერილი 2005 წლის თებერვალში დაიბეჭდა „მაბულში“, ქალბატონი თინა ამ რამოდენიმე თვის წინათ გარდაიცვალა. რედ.). განათლებით ფილოლოგი, მოწოდებით შემოქმედი, დანიშნულებით ელისოს პატრონი და ქომაგი. იგი ერთდროულად დედაცაა, დაც, მეგობარიც, მრჩეველიც, ყველაზე მკაცრი კრიტიკოსიც.

არაფერი ადვილად არ მოდის. თუ გინდა რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი მიიღო, მსხვერპლშეწირვისათვისაც მზად უნდა იყო. აქ სასწორზე დაიღო შემოქმედება, იდეის სამსახური და სხვა დანარჩენი - პირადი ცხოვრება, პირადი კეთილდღეობა. ელისომ სხვა დანარჩენი ხომ შეიწირა, იგივე დაემართა, რასაც თინას პირადული ერქვა... რადგან ელისოს დახმარება სჭირდებოდა, გვერდში დგომა სჭირდებოდა.

* * *

მოგესხენებო, ჩვენთან როგორ კარგად ვიცით ნიჭიერი კაცის დაფასება, ხელის შეწყობა. მაგალითისათვის შორს წასვლა არ გვინდა. ვინ აღარ მიიღო შემოქმედებითი სახელისნო თბილისში - მხატვარმა თუ არამხატვარმა, შემოქმედებითმა მუშაკმა თუ საერთოდ ამ საქმისგან შორს მდ-

გარმა პირმა, ვინ აღარ... ელისოსთვის კი არა და არ გამოიძენა. კიდევ კარგი, მშობლების ბინა ჰქონდათ ვაკეში, სადაც მეგობრები და სამუშაო ერთად თავსდებოდა. იქაც სალონით იყო მისი სახლი. დღისით ვინ აღარ მიდიოდა, საღამოს ქართული სუფრა, ლექსი და სიმღერა იწონებდა თავს. ღამე კი შემოქმედისა იყო საკუთრად.

* * *

სახელმწიფო დაწესებულებებში არასოდეს უშუშავია. თავისუფალი შემოქმედი იყო. შესაბამისად - უფულო. ამიტომ აქაც თინას უნდა ემარჯვა, სულაიერის გარდა მატერიალურიც საჭირო იყო. ისე, კერამიკული ნამუშევრები თინას ნახელავია, მათში უთუოდ იგრძნობა შემოქმედის ხელი. ვინ იცის, ამ გზით რომ წასულიყო მისი ცხოვრება, როგორ სიმაღლეებამდე მივიდოდა თინაც, მაგრამ მას ამისათვის არასოდეს ეცალა. მტერ-მოყვარეს პასუხის გაცემა უნდოდა. ყველაფერმა ამან, ეტყობა გაამკაცრა ცოტათი თინა, პირში მთქმელის სახელი დაუგდო, ეკონომიური ცხოვრება ასწავლა, ყველაფრის გათვლა, ყველაფრის გათვალისწინება. თუმცა დაკვირვებულ თვალი ადვილად შეამჩნევს, რა ხალასი გული იმალება მკაცრი ტონის მიღმა.

როცა მომავლის გეგმებზე, თავის ჯერჯერობით განუზოციელებულ საინტერესო პროექტებზე საუბრობს ელისო და ერთი შეხედვით ირეალურში დააბიჯებს, თინა უცებ დააბრუნებს ხოლმე მიწაზე და აქაც გაჯავრებულ ტონში თუ ლაპარაკის კილოში მაინც თანამზრახველის კვალს აღმოაჩენ, რასაც არც თავმოწონება აკლია, არც იმ ირეალურის რწმენა.

* * *

და შენ უცხო ადამიანი ადვილად ხვდები, რომ ამ ოჯახის ტრადიციას - სიახლისკენ სწრაფვა, ძირეული ფასეულობების შემონახვა, გაჭირვებულისთვის ხელის

გამართვა. თუნდაც სულ ახლახან ორი უძველო ბარტყი რომ იპოვა ელისომ ქუჩაში (არც ჭამა და მით უფრო, არც ფრენა რომ იცოდნენ), აშკარა სიკვდილს რომ გადაარჩინა და სახლში მოიყვანა, ერთი-ორი თვით შევიფაროთ როგორმეო. ოპ, პრობლემები გვაკლიაო, თქვა თინამ პირველად, მაგრამ შემდეგ ერთად იზრუნეს სპეციალურ საკვებზე, საწოლარაზე, რითიც აჭმევენ ხოლმე ყოველ სამ საათში ერთხელ, გალიაზე, სადაც აძინებენ და ა.შ. დღეს უკვე მოზრდილები არიან ჩიტები, ცოტაც და გამოეთხოვებიან ალბათ, გაუმჯობეს, თავისუფლებას მისცემენ. თუმცა დანამდვილებით ვიცი, პრობლემების მოუხედავად ძალიან დააკლდებიან ისინი.

* * *

რაც ამერიკაშია, შემოქმედებითად ისეთი დატვირთვით ვერ მუშაობს ელისო, ისე თავისუფალი არცაა, რადგან უცხო ქვეყანაში მატერიალური მხარეც მისი მოსაგვარებელია. მშვენიერი ინგლისური თუ რუსული, საშუალებას აძლევს მოსწავლეები აიყვანოს, ურთიერთობები დაამყაროს, საარსებო საშუალებები გამოინახოს. ამას თავს კი ართმევს, მაგრამ ამავე დროს ყველაფერი ეს ძალიან ტვირთავს და თუ საქართველოში საკუთარ ბუდეს მიჩვეული ჩიტივით მთელი დღეები შეეძლო სახლიდან არ გასულიყო, ისე ემუშავა, აქ ასე არ გამოდის. მისი შემოქმედებითი ბუნება კი თავისას მოითხოვს. მოგესხენებო, ნიჭი მხოლოდ ერთ რამეში არასოდეს ვლინდება, თუ ის მართლაც ზეციდან მოდის. ელისოსთანაც ასე გამოვიდა - ლექსების წერა დაიწყო და (თუმცა ქართული ემიგრაციიდან ლამის ყოველი მეორე ლექსებს წერს) მისი იშვიათი ნიჭი აქაც გამოჟღავნდა. საქართველომ ამჯერად მშვენიერი პოეტი შეიძინა მისი სახით. ამ ბოლო დროს პროზაშიც ცდის ბედს და... ვინ იცის!



* * *

ბედნიერად ჩავთვლი თავს, თუ ჩემი მონათხრობით ერთი ადამიანი კიდევ შეემატება თქვენი ნაცნობობის წრეს. მერე როგორი ადამიანი?! ბედნიერი ვიქნები იმიტაც, ჩვენი ყოველდღიურობის სირთულეებში ცოტა ხნით მაინც უიმედობისა და უილაჯობის განცდა თუ მოგვეხსნებათ, ცას თუ შეხედავთ და ზვალისას დაივჯერებთ. მე დღეს თქვენ მსატვარი, მოქანდაკე ან პოეტი კი არა, პიროვნება გაგაცანით, რომელიც აქ, ჩვენს გვერდით ცხოვრობს. პიროვნება, რომელიც ყველას არ ჰკავს, პიროვნება, რომლის ცხოვრების წესიც განსხვავებულია, სხვებისაგან გამორჩეული. ამ გამორჩეულობის გამოა ალბათ, რომ ხშირად შეასხენებენ - აქ, ჩემო ბატონო ამერიკაა, უნდა იმუშაო, თუ გინდა რომ თავი გაიტანო. ვისაც როგორ შეუძლია ისე გააქვს აქ თავი (აქაც და სხვაგანაც). ზოგი დღე და ღამე შრომობს, რაღაცას აგროვებს, რომ მალე წავიდეს თავის ქვეყანაში, ზოგი აქ დარჩენისათვის იმზადებს ნიადაგს, ზოგი სისტემატურად აგზავნის ფულს სახლში, თავისიანებს ეხმარება, მათ უიოლებს ყოველდღიურობას, თვითონ კი არის აქ გაურკვეველად და როდემდე იქნება, ისიც არ იცის.

* * *

ელისო თავისებურად ცხოვრობს. მუშაობს კიდევ, ბევრი არ სჭირდება, მცირედითაც კმაყოფილია. სამაგიეროდ ფიქრის დრო აქვს, წერის დრო აქვს, მოკლედ, თავის თავს ეკუთვნის. ისე, წესითა და რიგით, ასეთ დიდ ხელოვანს ფულიც ბევრი უნდა ჰქონდეს, სახლიც დიდი, შემოქმედებითი სახელოსნოც მოწყობილი, ყოფით საკითხებზე კი სხვა უნდა ზრუნავდეს. ასე აქვს ალბათ საქმე აწყობილი ყველა ნორმალური ქვეყნის შვილს, ასე იქნება ალბათ ოდესმე ჩვენთვისაც, ჩვენი მშვენიერი ქვეყნის ნიჭიერი შვილებისთვისაც. დღეს კი შეუძლებელია ერთმა კაცმა შედეგები შექმნა და მის რეკლამაზეც, გავრცელებაზეც თვითონ იზრუნო. ამგვარი შეთავსება ხომ უპირველესად ჩვენ გვაკლებს რაღაცას, ჩვენ სულიერებას აკლებს.

* * *

და მე მიხარია, რომ ელისო ასე ძლიერია, რომ არანაირი ცდუნება მასზე არ მოქმედებს, თავის ერთხელ არჩეულ გზას მიუყვება და ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ მაინც წინ მიიწევს. თავჩაღუნული კი არ დადის, ცას უყურებს, ნათელი ფერები არ დალატობს, იმედი არ ტოვებს. უფრო მეტიც, მისი ფაქიზი სული გაცილებით ძლიერი მსხვერპლშეწირვისათვისაც მზადაა:

„301-ე მე ვიქნები დღეს არაგველი...”
- ამბობს პოეტი, მოქანდაკე და მსატვარი ელისო წიკლაური და მე მჯერა, რომ ეს მარტო სიტყვები არაა.

ლამარა მენთეშაშვილი



■ **ჯანრი კაშია სტუმრად ელისოსთან**



■ **მრავალი სტუმარი ახსოვს ელისოს და თინას ძმართულ სახლს**



■ **ღაზი**

ვილხანს უნდა, ამ ცხოვრებაში გააკლავინოს! „აქრახაზის ზეივანი“ ტკბილი ხანასოს თანხლებით

იანვრის ცივი, უსიხარულო დღეს, მოულოდნელად, „მურაბების ზეივანზე“ მიმიწვიეს... ზუსტად 5 საათზე საფიჩხიაზე ვარ, 26 მაისის ქუჩის N68 სახლთან. ოჯახის უფროსი, დიასახლისის „ინსტრუქციის“ თანახმად, ჭიშკართან მხვდება და ღიმილიანი, თბილი შეხვედრის შემდეგ, პერსონალურად მიმაცილებს სადარბაზო კარამდე (თურმე ასეა ყველა სტუმრის შემთხვევაში).

კარის ფარდებს მიღმა კი უკვე „ნამდვილი ქუთაისი“ იწყება - ღიმილი, ნათელი სასტუმრო ოთახი, შინდისფერგადაფარებული, ლამაზად გაწყობილი მაგიდა, ასეთივე შინდისფრით დაფარული სკამები; ტახტის გასწვრივ, სიგრძისად ჩამოკიდებული ფერადი ფარდაგი - ძველებური გიტარითა და მანდოლინით დამშვენებული; ტახტზე - ხალიჩა და ბალიშები; კუთხეში - ჩუქურთმებიანი შავი ბუფეტი, ჭერზე - ჟამთაგან უვნებლად დასწნილი, ნატოფი ჭავი, კედელზე - საათი, რომელიც ყოველ ნახევარ საათში დარბაისურად გვასვენებს დროის არსებობას, თუმცა - ამაოდ: სტუმრები ისეთი მოხიბლული არიან ამ სალონური საღამოთი, წასვლას არავენ იჩქარის.

ქვემოთ, მარანსა და „წინა ოთახში“, ეთნოგრაფიული კუთხეა, იქვე - ოჯახის უფროსის ოქროს ხელებით შექმნილი ულამაზესი ნივთები, პატარების პორტრეტების ფერადი გამოფენა, სიმბოლური - თითქოს წარსული ახალ თაობას სიყვარულით აბარებს მოსაფრთხილებელ და შესანარჩუნებელ, ძვირფას ტრადიციებს...

აი, ასეთ „ქუთაისში“ აღმოვჩნდი - მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის რეტროთი და 21-ე საუკუნის სიახლით გარემოცულში...

ოჯახში სტუმრად შეიღი ქუთათური ქალბატონი ვიმყოფებით: პროფესორი, კინომკვლელი, მეწარმე, ჟურნალისტი და სხვადასხვა საგნის პედაგოგები. ზოგიერთები კი ვიცნობთ ერთმანეთს, ზოგიც - შედარებით უცხოა. მაგრამ, მოგვიანებით, ყველანი ვხვდებით, რომ საერთო ინტერესები და შესხვედლები გვაერთიანებს, დიასახლისმაც სწორედ ამ ნიშნით შეგვარჩია ერთმანეთის გვერდით საღამოს გასატარებლად.

პირველი ემოცია: დიასახლისის შემოსვლამდე მხიარულად ვკითხულობთ მაგიდაზე დადებულ „მურაბების ზეივის პროგრამა-მენიუს“ მე ვცდილობ, სწრაფად მოვასწრო გადმოწერა. ნახეთ, რა ორიგინალურია: „მურაბები: კაკალი, ლეღვი, ალუბალი, მაცყალი, თეთრი ბალი, სამოთხის ვაშლი, ატამი, მსხალი, კვანი, საზამთროს კანი, ფეხნოა.

ჩირების ასორტი თეთრ კვანძზე; ფლავი ფორთოხლით; იმერული ყველი (ზაფხულის) - ღობით; ბოსტნეულის სალათა რაჭული ბურვავის ხორცი; ჩაი: ინგლისიდან (მწვანე);



ევგიპტიდან; ოკრიბიდან; კარაქი „სამხრეთული“ (სურვილი); ღვინო: კახური „საფერავი“, „რქაწითე-ლი“ (შერჩევით); ნაყენი: სამობაო; მინერალური წყალი „ლიკანი“ („ნოშა“, „ალოხოლი“ მოთხოვნით);

საღამო დატვირთული იქნება ცხელი ჩაით, ღიმილით, ტკბილი მოგონებებით, სამომავლო გეგმებით, აპოლიდმენტებით, სიმშვიდის განცდით, მადლით და, რაც მთავარია, უფლის მფარველობით.

გაფორმდება ავტოგრაფები. სტუმრებს მიემსახურებიან ფოტოგადაღებით. საღამოს გაახმოვანებს მუსიკალური ცენტრი და მოწვეულები - შესაძლებლობის მიხედვით. მსურველებს შეუძლიათ, გაერთონ ლოტოს...

- რას იწერ? - მაწყვეტინებს დიასახლისის გამკაცრებული ხმა, - შენ, ჩემო კარგო, ამ საღამოზე მოწვეული ხარ, როგორც მეგობარი და არა, როგორც ჟურნალისტი! სადმე გავა ჩქამი ჩემს შესახებ და, გაფრთხილებ, სამუდამოდ გაირიცხები სტუმართა შემადგენლობიდან!

ღიას, პერსპექტივა ფრიად არასასურველია! ჩანიშნას თავს ვანებებ და ზეპირი აღქმის უნარის ამობრავებას ვცდილობ - დიქტოფონის, კალმის, წიგნაკის გარეშე.

არადა, ასეთი სალონური საღამო, ვინ იცის, მერამდენედ ტარდება ამ ოჯახში, მე

კი პირველად ვესწრები და როგორ მინდა, გადმოვცეთ შთაბეჭდილება!

რუსუდანი (დიასახლისის რძალი): „სხვადასხვა დროს ჩემს მულს მოუწყვია: „ერთი დედლის საღამო“, „კვანის საღამო“, „ძროხის საღამო“ (მხოლოდ რძის პროდუქტებით, კოქტეილიც კი რძისა იყო!), „ერთადერთი გოჭის საღამო“ და ასე შემდეგ. აღმაჩნები ვსაღიბობთ, ვმღვრით, ვსაუბრობთ, ვანვიტვირთებით, ყველანი ძალიან ნასიამოვნები მიდიან ხოლმე.“

დიასახლისი და რუსუდანი ღიმილით იგონებენ პირველი პიცის შემოსვლას ქუთაისში, იმ წლების „დელიკატესებიც“ ახსენდებათ, გარეთ გადგმულ, აბოლებულ ნავთქურაზე, სიმწრით რომ ამზადებდნენ... საყოველთაო გაჭირვების მიუხედავად, მეგობრების წრეში გატარებული ის საღამოები რა ლამაზი ყოფილა!

დიასახლისი: „უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, დავენმართო სიმარტოვის დაძლევაში. ვისაც ჰგონია, რომ მასზე არავენ ფიქრობს და მარტოა, აი, სწორედ მასთან ვარ ჩასაფრებული. უნდა ვაგრძობინოთ ადამიანს, რომ ვიღაცას უნდა, ამ ცხოვრებაში გააძლებინოს.“ - აქვე ამატებს: „თავად უნდა შეიქმნა ადამიანმა გარემო და აღარ გაგიჭირდება. მე ასეთი გარემო შევიქმენი. კატეგორიულად არ ვყოფ ადამიანებს, ყველასთან ურთიერთობაში გულწრფელი და მიმტევებელი ვარ. ვგრძობ, ასეთი საღამოების მოწვეობა კარგად გამოძის, სია-

მოწონებს ყველას, ვინც ჩვენთანაა.“

მურაბების ზეიმის „ლენტი“ გაიჭრა. „საკონკურსოდ“ გამოტანილი თითოეული „ასორტიმენტი“ სხვადასხვა ლამაზუნა მოთავსებული, მაგრამ მათ გასინჯვამდე, გარშემო, კიდევ იმდენი სასუსნავია!...

- აბა, ცხელი ჩაი! ქაფქაფა ჩაი! ნაირ-ნაირი ჩაიდნით შემოდის დიასახლისი. ოკრიბული ჩაი, აშკარად, იცებს თამაშს „საკუთარ მოედანზე“, თუმცა ეგვიპტურ-ფარაონული სასმელიც საერთო ინტერესს ქვეშაა მოქცეული.

სტუმარი მანდილოსნები ერთმანეთთან სიამოვნებით ცვლიან სასაუბრო თემებს და სალონური შეხვედრა თანდათან ემოციებით იმუხტება. ყვებიან, მაგალითად, რომ მამია გურიელის შესახებ კარგი წერილი ჰქონდა თემურ ამჟღავნებს გახეთ „მწვანე-ვაკილა“-ში; ქალბატონი ლია ამირანაშვილი ისევ ერთგულად პატრონობს მამია გურიელის საფლავს, ყოველ აღდგომაზე მიაქვს წითელი კვერცხები და პასკა; ზაქარია ფალიაშვილი და ცნობილი პედაგოგი ვანო ვარლამიშვილი დეიდაშვილები იყვნენ, ნატას (ბატონი ვანოს ქალიშვილს) საინტერესო მასალები აქვს ფალიაშვილებზეც და ფელიქს ვარლამზეც; ყოველ გიორგის კაფიების გამომცემელი ლევან ბოძაშვილი 1981 წელს გელათში ერთ ახალგაზრდა ქუთაისელს შეხვედრია და იმ გოგონას ორჯა კაფიაში თავისი ენამაზვილობით გაუკვირებია ხანდაზმული ოსტატი; მიტროპოლიტ ნაზარის შთამომავლთაგან ერთ-ერთს ლუკა-ნაზარი ჰქვია და, დიდი წინაპრის კვალზე, სასულიერო განათლებას იღებს ქუთაისში; გიორგი ჭიღვარიამ ახლო აღმოსავლეთის შესახებ ახალი საინტერესო მასალები მოიპოვა; თამთა თურმანიძემ ამაგდარ ქუთათურთა ფოტოგამოფენა

რომ მოაწყო, იქ ფართო საზოგადოებამ პირველად იხილა მასალა დიდ ქართველ მეწარმეზე, გიორგი ბოლქვაძეზე, რომელმაც სარაჯიშვილზე გაცილებით ადრე გახსნა ქუთაისში ღვინისა და კონიაკის ქარხანა, უამრავი საერთაშორისო ოქროს მედალი მოუპოვა ქართულ ღვინოს; კვახის მურაბა ლიმონთან ერთად იხარშება, ამიტომ არ იშლება; ერთხელ ოტია იოსელიანმა ასე თქვა...

თემები დილოვის პრინციპით ვითარდება: სასიამოვნო, მშვიდ ატმოსფეროში.

ამასობაში „ეიჟური“ სამურაბე ლამაზქებსა და ნაირფერ ჩაიდნებსაც არ აკლებს ყურადღებას.

შედეგის გამოცხადება არ არის საჭირო, ისედაც ცხადია:

კაკლის მურაბა თითქმის ფსკერამდე ჩავიდა. სწორედ ისაა ზეიმის დედოფალი!

„ვაიმე, რა კარგი საღამო იყო! როგორ განვიტვირთე! ეს ემოცია დიდხანს გამყვება!...“ - უკვე წამოდგა პირველი სტუმარი, რადგან საათმა 9 დარეკა...

მაგიდის გარშემო შემოტარებული „სტუმრის წიგნის“ მორიგი ფურცელი ივსება. ვათვალიერებ უამრავ წინა ჩანაწერს: ეს რამდენი ადამიანი ყოფილა აქ, ამ ოჯახში; საკუთარი პრობლემები დავიწყებია, გული, სითბოთი ავსებია, დიდი სიხარული და სიამოვნება მიუღია! იმ საღამოების ჩამონათვალს დღევანდელი „მურაბების ზეიმიც“ შეუერთდა...

P.S. სულერთია, ქუთაისში მანც ბევრი მიხვდება და ბარემ აქვე გაგიმხვლოთ, თუ ვინ იყვნენ ჩვენი მასპინძლები: ქალბატონი ნუნუ ქათამაძე და ბატონი ემირ ბაკურაძე. მე კი, თქვენს გამო, ალბათ, უკვე ამომშალეს სტუმართა სიიდან...

6. დვალიშვილი



ამერიკელმა მკვლევარებმა 4-დან 8 წლამდე ბავშვებს ჰკითხეს „რა არის სიყვარული?“ - პასუხები ასე გამოიყურება:

4 წლის ერი: „სიყვარულია, თუ ძალიან დაღლილიც იდიმები.“

4 წლის მერიენი: „სიყვარულია, როცა შენი ლეკვი სახეს გილოკავს მაშინაც კი, თუ მთელი დღით შინ მართო დატოვე.“

4 წლის ბილი: „როცა ვინმეს უყვარხარ, შენს სახელს განსაკუთრებულად ამბობს.“

6 წლის რებეკა: „როცა ჩემი ბებო ართრიტით დაავადდა, ვეღარ იხრებოდა და ვეღარც ფეხის ფრჩხილებზე ისვამდა ლაქს და ყოველთვის ჩემი ბაბუ უსვამდა, მაშინაც კი, როცა თვითონაც დაუავადდა ხელები ართრიტით. ეს არის სიყვარული.“

6 წლის კრისი: „სიყვარულია, როცა შენი შემწვარი კარტოფილის უმეტეს ნაწილს ვინმეს აძლევ და სამაგიეროდ არაფერს თხოვ.“

6 წლის მარკი: „სიყვარულია, როცა მამა დედას აბრაზებს და ის არ აიმრიზება.“

7 წლის ნოელი: „სიყვარულია, როცა ვინმეს ეუბნები, რომ მისი ტანსაცმელი მოგწონს და ის ყოველდღე ერთნაირად იცვამს, რომ გაგახაროს“

7 წლის კერენი: „როცა ვინმე გიყვარს, წამწამები მუდამ მაღლა მიფრინავენ და თვალებიდან ვარსკვლავები გცვივა.“

7 წლის დენი: „სიყვარულია, როცა დედა ყავას უმზადებს მამას და მიტანამდე მოსვამს, რათა დარწმუნდეს, გემრიელია თუ არა.“

* * *

ეს რაც შეეხებოდა ამ კითხვაზე პასუხებს, კონკურსში კი გამარჯვდა 4 წლის ბავშვმა. მის მოხუც მეზობელს გარდაეცვალა მუღლღე. დაინახა რა, კაცი ტირისო, ბიჭუნა შევიდა მის ეზოში და კალთაში ჩაუჯდა. ასე იჯდა დიდხანს. როცა დედამ ჰკითხა, რა უთხარი ჩვენს მეზობელსო? ბიჭუნამ მიუგო - „არაფერი, მხოლოდ ტირილში მივეხმარე...“

გუთო

ეს ბიძაჩემის სახელია, შვიდი წლის იყო მენინგიტით რომ დაავადდა, დედამ მაინც მიიყვანა მოგვიანებით სკოლაში. გუთომაც იარა, გულმოდგინედ იარა, მაგრამ წერა-კითხვა და ოცის ფარგლებში ანგარიში რომ ვერ დასძლია, მშობელი მიხვდა, დარწმუნდა, რომ არ ღირდა ბავშვის გაწვალება და გამოიყვანეს სკოლიდან. მას ყველა გუთიკოს ეძახდა სიყვარულით, ჭიშკარში შემოსული არ იყო, ხმაძალა „დედას“ რომ დაიძახებდა ამხელა კაცია და ეს ძახილი მიგახვედრებდათ, რომ ის სამუდამოდ ბავშვობაში იყო დარჩენილი...

დედა იყო გუთოსთვის მთელი სამყარო, რომელიც უშურველად და დაუღალავად ჩუქნიდა მას იმედს, აძლევდა ძალას, უნაწილებდა გულის სითბოს და ბოლომდე ერთგული რჩებოდა მასთან ერთად მისი არეული ცხოვრების ლაბირინთებში. დედამ არ გამოკეტა ის ცხრაკლიტულში, არ გამოამწყვდია, არ დახუთა და სქელი ბოქლომი არ დაადო მის ურთიერთობას გარე სამყაროსთან, არც სახლის უკანა ოთახი არ მიუჩნევია მას ავადმყოფი შვილისთვის სამყოფელად...

ბიძაჩემი ყველას ცნობდა, მეზობელი და ახლობელი არ ეშლებოდა, მხოლოდ სახელებს ვერ იმახსოვრებდა და ამის გამოსავალიც თვითონ ქონდა ნაპოვნი: ქალებს ტანკებს ეძახდა, კაცებს კინტოებს. ჩვენ კი მისივე შერქმეული ზედმეტი სახელებით მოგვმართავდა: მე მისთვის ძვაძვიკა ვიყავი, ჩემი დები ძღურია და მიტოია, ძმას ჯაგულის ეძახდა და ქეთინო (ბიძაშვილი) პუწკიდ ყავდა „მონათლული“. ესენიც თუ გადაავიწყდებოდა, მაშინ ყველანი უბრალოდ „დაი“ ვხდებოდით მისთვის...

ლამაზი ქალების მიმართ ვერ იყო გუთო გულგრილი. მიეპარებოდა ჩუმად რომელიმე მათგანს, უბწკენდა პიკანტურ ადგილზე და აროხროხდებოდა: „უხ, შე ტანკა, შენო“. არავის წყინდა მისგან ეს სიცელქე და არც ისტერიკებს მართავდნენ ქალები. ღიმილით პატიობდნენ. არაერთხელ მოუშაადებია ბებია თავის „დუღსინასთან“ შესახვედრად, რომელსაც, მგონი, მართლა სჯეროდა (ან ძალიან უნდოდა ეს სიმართლე ყოფილიყო) შვილის ნათქვამი და გუთოც ხარობდა ამ ეშმაკობით...

მე მაინც კინო მგონია მისი ღილი სიყვარული და თავდავიწყება...

დაბნევა ხომ არ აკლდა, მაგრამ კიდევ უფრო იბნეოდა როცა ნდობას გამოუცხადებდნენ და მეზობლის ბავშვებთან ერთად ფილმის სანახავად „წავგაყრიალებდა“. იმდენად ახარებდა ამ პატივის დაღება, რომ ვერც ამჩნევდა და მგონი არც ესმოდა ბებიას ქაქანი, რომელიც კინოთეატრის კბეებზედა წყდებოდა „ჭკუით იარე ბიჭო, არ გადარო ბოვშეები გზახეო“.



რამდამტორისაბან:

ნანა ჯეჯეიას უკვე იცნობს ჩვენი მკითხველი - საოცრად სათნო სულის ქართველს, ჩვენებურს, ემიგრანტს... მისი პორტრეტი ჟურნალის წინა ნომერში დაიბეჭდა და, მართალი გითხრათ, არც ვაპირებდი ისევ დაგბრუნებოდი მასზე საუბარს. მაგრამ ფეისბუქში სტატუსებზე გაბნეულ მის ზოგიერთ ჩანაწერს გვერდი ვერ ავუარე და სათქვენოდაც გამოფინე. დამეთანხმეთ, რომ ტკივილის ასე გახსენებას ღილი სალბუნია ამქვეყნიდან წასული მათი სულებისადმი.

ბილეთების აღებას რომ „გადავრჩებოდი“, მერე ღიღხანს ვათვალისწინებდი ფოიეში, პატარა ჩარჩოებში მოთავსებულ და კედელზე დაკიდებული მსახიობების სურათებს, ერთ მხარეს რუსი „არტისტები“ რომ ამშვენებდნენ და მეორეს ქართველები. უცხო მსახიობების სურათები ძნელად მოსაპოვებელი იყო, ალბათ, თორემ კედელზე რომ მენახა, რა დამავიწყებდა. ჩვენ ლეილა აბაშიძის სურათს მივაშტერდებოდით, ყურსუკან გადაწეული, მოკლე თმით და უღამაზესი პროფილით რომ გვიღიმიოდა.

გუთო ყოველთვის პირველ რიგში დაგვისვამდა და უფლებას არ გვაძლევდა ადგილი შეგვეცვალა, თვითონ კი შუა ადგი-

ლებისკენ წავიდოდა უკან და სანამ ჟურნალი არ დამთავრდებოდა, არ მოგვიკითხავდა. მერე კი გადმოგვძახებდა: „დაი, იწყება კინო, ყურადღებითო“ და ჩვენც გავისუსებოდით. ფილმის მსვლელობის განმავლობაში, რამოდენიმეჯერ ვასწრებდით მისი მოკლე და ხმაძალა კომენტარის „ოპას“ დაჭერას.

არასდროს ვავიწყდებოდით, ანუ კინოში არ დაუტოვებია ვართ. ჭკვიანადვე მოვიყვანდა სახლში. მხოლოდ უკან გზაზე ის გამარჯვებული ბელადივით, ამაყად და თავმოქმედებულად მოიძვროდა ხან ქართულ, ხან რუსულ და იმდროინდელი პროვინციული ქალაქის კინოთეატრის რეპერტუარიდან გამომდინარე, ხშირად ინლური სიმ-

ღერების მელოდიებს და ასე, რაჯ კაპუ-რივით ხელგაშლილი მიგვიძღვრდა შინისაკენ. ჩვენ ამ დროს ვცდილობდით ავყოლოდით მის რიტმს და ამავე დროს მარცხენა ხელი მარჯვენის იდაყვისთვის შეგვეშველებინა, იმავე ხელის საჩვენებელი თითით და თავის კანტურით კი ლოყა გაგვეზვირბა... მერე სახლში ვაგრძელებდით „კონცერტს“ და მის მიერვე სკამზე დაკრული დოლის, „მოეზადეთ, სამი, ოთხი, აბა, წავიდა“ ძახილის და ბებიას „რავა დაამტვრია ამ გადარეულმა სკამებს“ აკომპანიმენტზე ვცეკვავდით ქართულ ცეკვებს, რომლებსაც შიგადაშიგ რომეოს ნასწავლ „ბუბე ვუგის“ და „ჩარლსტონსაც“ გამოკურევდით.

ერთადერთი სიმღერა, რომლის სიტყვები (თორემ მელოდია არ ერეოდა) უშეცდომოდ იცოდა, ეს კინოფილმიდან „ბაშიაჩუკი“ იყო. არ ვიცი, უფრო ლამაზი, ომანიანი და ამავე დროს სევდიანი ხმით ამ სიმღერის სხვა შესრულება მე არ მომისმენია.

ცა რომ აგრუხუნდება და საავტორო გაემზადება, მაღლა ვიხედები. ასე მგონია ვნახავ, ჩემი გუთო ხელგაშლილი და ანგელოზივით თეთრ კაბაში, როგორ მიუძღვის დაღუპულ გაღელვებს - აფხაზეთში, სამაჩაბლოში და საერთოდ ქართულ ომში დაცემულ ბიჭებს, უკან კი ბავშვების ხმაურიანი გუნდი მიჰყვება და ისმის ასე ზეცაში, სადაც ღრუბლებზე ძალიან მაღლა და უფლის კარის საიხლოვებს:

„რა მაღლიანად ანათებს,
შენი მზე, შენი მთვარეო,
შენგან დამდის ცრემლები,
ჩემ კი შემოგველები,
ჩემო სამშობლო მხარეო“...

სახლში არაფრის გაკეთება უყვარდა, სხვებს დაუზარებლად მოემსახურებოდა და ბევრი სარგებლობდა მისი მიაბიძობით და სიალაღობით... ჯუღუნისთანაც კი არ გაეზნებოდა ბებიას - იმ მეწისქვილესთან, რომელიც ჩვენ, ბავშვებს თუ მიგვექონდა საფეკვაი, ურიგოდ კი გაგვატარებდა, მაგრამ „ბაუს“ მინც აგვაცლიდა ჩუმად და კუთხეში მიდგმულ, თავის რკინის კასრში ჩააჩხრიკებდა სიმინდის მარცვლებს. არც გაჯიასთან წავიდოდა ნავთის მოსატანად. იმ გაჯიასთან, ზღაპრიდან გადმომხტარ კეთილ დევს რომ გავდა - გაგვიღიმებდა, ცხვარწინ უშველებელ, ნავთისგან გაზინთლულ, უხარისხო შოკოლადისფერ, სუნთან დაგვიტრიალებდა და მინც, ერთი წვეთი ზედმეტი საწვავი არასდროს გადმოსცდენიათ იმ ძაბრებს...

ბებიაც არ ტვირთავდა საქმით მას, იშვიათი შემთხვევა იყო, როცა დიდის ამბით ბირდაბირზე ხის ტანს გადააწვენდა გუთო, მე ზედ დამსვამდა (წონასწორობის შესანარჩუნებლად) მერე ფართე, შავ ხერხს, რომელიც ხშირად ხეშივე

იჭედებოდა და ბებია ყოველთვის ჩიოდა: „გასაპოხნია ეს ოხერიო“, ჩაეჭიდებოდნენ დედა-შვილი და მე ძიული სხეულის ძაგდავით, ისე, რომ ძლივს ვიმაგრებდი თავს გადმოვარდნიდან, ვითვლიდი და ვითვლიდი თუ როგორ ვარდებოდნენ გილიოტინაზე წაცლილი თავებივით მოხერხილი მორები მიწაზე.

დიდი ვიყავი უკვე, ტელეფონის ყურმილში რომ გაისმა: „გუთიკო ავარიამი მოყვა და სასწრაფო დახმარება სჭირდებაო“...

არასდროს მირბენია ასე და დამხვდა ქირურგიული განყოფილების ერთ-ერთი პალატის კართან ძალაგამოკლილი, „რა ვქნა დედა“ - უსაშველო კითხვით, ძიული ცხოვრების მანძილზე ნაგროვები და თვალის უბეზე დაღეკილი სევდით და ტკივილით, იქვე, იატაკზე მძიმე ფარდასავით დაშვებული და ჩაკეცილი ბებია...

იმ დღეს დაიბნა ჩემი დედა-ბებია, თვალსა და ხელს შუა დაპატარავდა, საბოლოოდ მოტყდა, გატყდა და ლოდინად იქცა - შვილთან ჩქარა მისვლის და შეხვედრის ლოდინი რომ ქვია ალბათ... მე მაშინ ვიგრძენი, თუ როგორ შეიძლება ხელით შეეხო ამ ტკივილს და გულში ჩაიკრა, მაგრად ჩაიხუტო, მაგრამ საშველი ვერ მისცე მანც. იმ დღეს ჩამესმა, თუ რა შემზარავია უმწეო დედის უხმო ბლავილი...

მერე შუალამებში, ბევრჯერ გაუღვიძებიავარ ბებიას გაფაციცებულ ხმას, ლოგინიდან წამომდგარი და კარებთან მიფარფატებული, კარებშივე ჩამდგარ სიბნელეს რომ გასმახოდა: „აგერ ვარ ბიჭო, რა იყო დედა“...

მთელმა ქალაქმა და ახლო მასლო სოფლებმა დაიტირა გუთო, მოდიოდნენ ორჯერ, სამჯერ, ზოგიერთები ყოველდღე. არ წყდებოდა ახალგაზრდების ნაკადი, ვინ იცის, იქნებ მათ შორის ის პატარა „კაციც“ იყო, ღამით მანქანა რომ დააჯახა, მერე თავს რომ ვერ აჯობა, შიშმა დაჯახა და უპატრონოდ დატოვა ადამიანი ქუჩაში. დმერთმა აპატის სულის ასეთი სიმცირე...

ბოლო დამე იყო, მიცვალებულს სამუდამო სამყოფელისკენ გასაცილებლად ვამზადებდით. ერთი ნაცნობი შემოვიდა, მგონი რიანი ერქვა იმ კაცს, ცოტა ნასვამი იყო, ცრემლებით დაიტირა ბიძაჩემი და კოსტუმის შიდა გულის ჯიბეში ასე სევდიან - ღიმილიანი სახით და ჩურჩულით:

„გვიყვარდა შენ ისინიო“, რაღაც ჩაუღო. კიდევ უფრო გვიან, როცა არავინ იყო ოთახში, ცნობისმოყვარეობამ მძლია და ფრთხილად ჩავაცურე გუთოს გულის ჯიბისკენ ხელი, საიდანაც შავ-თეთრი, აი ისეთი, ქალაქის ყველა კუთხეში ყრუმუნჯები რომ ყიდდნენ, პენუარმოცმული და გაღიმებული ბრიჯიტ ბარდოს სურათი ამომყვა...



პოლინა

ეს მშვენიერი ქალბატონი, ახლა რომ წინ მიზის და ტორტის დიხანის მითანხმებს, ვერასდროს მიხვდება, თუ რატომ ვაშტერდები დრო და დრო ასე, რატომ გადავწყვეტიე შევუცვალო ამ ნამცხვრის ვარდისფერი ფონი ცისფერზე, ტორტზე მეტად რატომ ვინტერესდები მისი წარმომავლობით და მგონი მეზუთედ ვეკითხები უკვე, გაიხსენოს, ხომ არ ყავდა ვინმე გერმანელი წინაპარი. ის ისეა ამ შეკვეთის დეტალების დაზუსტებით გართული, რომ ვერც მოგონებთა იმ ფორიაქს მამჩნევს, პოლინა (პოლინა) რინერბერგთან მისმა ასეთმა ფიზიკურმა მსგავსებამ რომ აშალა ჩემში.

პოლინას, რატომღაც ყველა პოლინას ეძახდა (მანხელს სახელის პირველ ხმოვანზე სვამდნენ). თოჯინასავით პატარა ქალი იყო, ლამაზი ზღვისფერი თვალებით და გერმანული ფესვებით. იმ უბედურ თაობას ეკუთვნოდა, ომმა ბავშვობაშივე ტყვედ რომ აქცია, წარსული დაუკარგა და არც მომავლისკენ განედვის საშუალება მისცა. ოჯახებში მოსამსახურეობით გაჰქონდა თავი. ეხმარებოდა ყველას, ვისაც მისი დამახება არ ეზარებოდა. შრომის საფასურს თანხით არავინ უხდიდა. ისე, სიტყვით კი უფასოდნენ, გამოეონია მეზობელი ქალებისგან: „ასე კარგად როგორ რეცხავს და აუთოებს ეს ოხერიო“. ჩვენს ეზოშიც ხშირად აფენდა პოლინა თეთრი ღრუბლის ქულებს სარეცხის თოკზე, ალიონივით მოცისფრო, მოიისფრო ფერი რომ დაკრავდა და სივრილის და სისუფთავის არომატით ავსებდა იქაურობას.

როგორც კი საქმეს მოიღვედა და მისი დახმარება აღარავის სჭირდებოდა, უბოდიშოდ ქუჩისკენ მიუთითებდნენ (და ეს ნორმალურად ითვლებოდა!). ასეთ დროს, ფოსტის შენობაში მოთავსებული, ორი

ოთახისგან შემდგარი და მუდამ ხალხის ხმაურით სავსე სალაპარაკო სადგური ხდებოდა მისი თავშესაფარი. იმ წლებში, ჩვენ ტელეფონი არ გვქონდა სახლში და მე ღამით (მაშინ ასეთ დროს უფრო მოსახერხებელი იყო კავშირი სხვა ქალაქებთან) ხშირად დავეყვებოდი დედას ამ სალაპარაკოში, სადაც ბევრჯერ მინახავს, არ ვიცი რატომ, მაგრამ ყოველთვის მინაჩამსვრეული ფანჯრის ქვეშ, სიცივისგან მოკუნტული, ბავშვის მუშტს დამსვაგებელი, თითქმის ლანდალ ქვეულ პალტოში (რომლის უფრო ფერი ახლაც კი მახსოვს) ვახვებოდი, დალილი და უბედური პოლიონა. დე, დე, ვეჩხრებიდი დედის მკლავზე და მისკენ ვახვებოდი. არ ვიცი, მას ამ დროს მე უფრო ვეცოდებოდი თუ ის საწყალი, მაგრამ სახლში რომ ზოგჯერ სამი ვბრუნდებოდი, ეს ფაქტია. ასეთ კეთილ ღამეებში პოლიონა ყოველთვის წინ მიცუცუხებდა თამამად, რადგან დარწმუნებით იცოდა უკვე, რომ ამ ღამეს ფოსტის შენობაში არ მოუწევდა სიხმრის ნახვა. ხშირად მოგვხვდა უკან და მე მესმოდა, როგორ გავლოცავდა ბუბტუბით.

მას ძალიან უყვარდა მინდვრის ყვავილები. მეც გამოვიტანდი ჩემს ფერად ფანქრებს, გავინაწილებდით სახატავ ფურცლებს და ის ცდილობდა, ესწავლებინა ჩემთვის, თუ როგორ გადმომეტანა ბუნების სილამაზე ქალაქზე. მას მერე რამდენი წელი გავიდა... ეხლაც, როცა ფანქარს ვიღებ ხელში, ჯერ კარგად დავხვდავ თუ როგორაა წათლილი და მერე, ინსტიქტურად ვიწაწაწებენ ენის წვერზე, ზუსტად ისე, როგორც ამას მაშინ ვაკეთებდით და ვიციონდით ჩვენი დაწინწკილი ენების გამო. კარტზეც მითხარობდა, აქ კი აშკარად ეტყობოდა, რომ ეს მოგვიანებით, ლუკმა პურის საშოვნელად ათვისებული „პროფესია“ იყო. ზოგჯერ მეც გამიშლიდა ბანქოს და მარწმუნებდა, რომ გენერალს თუ არა ადმირალს აუცილებლად გავყვებოდი ცოლად და ძნელბედობის ჟამს (თუ ეს დაგვატყდებოდა თავს) ოჯახს მე გამოვკვებავდი (ომის და შიმშილის თემა მისთვის ყოველთვის აქტუალური იყო).

ჩემი მეუღლე არც გენერალია და ადმირალისგანაც შორსაა, მაგრამ მაშინ 10 – 12 წლის ასაკში ეს პერსპექტივა ძალიან მიმზიდველად მეჩვენებოდა და მიხაროდა, მგონი დარწმუნებულიც კი ვიყავი ამაში.

ალკოჰოლს რომ არ შეჩვეოდა, იქნებ სხვანაირად შეტრიალებულიყო მისი ბედის უბედურად დატრიალებული ბორბალი... მახსოვს, მეზობლის ერთი ქალი მაინცდამაინც მაშინ მოვიდოდა, როცა პოლიონას ვამ მდგომარეობაში იყო და არავის ნახვა უხაროდა. ის კიდევ, დღუნით, ცხვირში სისველის უკან სრუტუნით გალანძმავდა, ჭკუის სწავლებას დაუწყებდა: „ა,

პაჩემუ ვიპილა ტიბრადიაგა, ააპივი ვიპილა და?“ ზუსტად ამ რუსული აუწრიალებდა საწყალ ქალს სულს. პოლიონას ეს ნოტაციები მრავალჯერ ქონდა მოსმენილი და ცალკედ ეტყოდა: „Увиди ради Христа, оставь меня в покое“. რუსულმა მოიტანა და - მეორე კლასში, როცა ამ ენის სწავლება დაგვიწყეს სკოლაში, მასწავლებელმა გვეთხრა, თუ ვის რა შეგვეძლო გვეთქვა რუსულად. კლასში მგონი მარტო მე ავწიე ხელი და დავიწყე:

„А счастье было так возможно,
Так близко! - Но судьба моя
Уж решена Неосторожно
Быть может, поступила я!

როცა იქამდე მივედი, სადაც ტატიანა ეუბნება ონგენს:

Я вас люблю (зачем луковить?)
Но я другому отдана.

Я буду век ему верна“

მხოლოდ მაშინ შევნიშნე ჩემი მანია მასწავლებლის შეშინებული, გაოცებული, გაოგნებული და დაფეთებული თვალები. კიდევ კარგი, რომ დროზე შემაწყვეტინა, თორემ ჩემს კარენინასთან ნაცნობობასაც გაიგებდა, ახმატოვას ერთი-ორი სტროფის მოსმენაც მოუწევდა და მგონი ოდესეღმურკასაც გაეცნობოდა. ჩემი ამ დებიუტის მერე დიდხანს მქონდა მოკერებული იარლიყად - „რადაც ძალიან უცნაურია ეს ბავშვი“.

მე კი მგონია, რომ ჩვეულებრივი ვიყავი, ან ცოტათი სხვაზე მეტად მეძნობიარე. ასაკის გამო რა თქმა უნდა აზრის სიღრმეს ვერ ვწვდებოდი, მაგრამ მომკალით და მგონია, რომ ვგრძობდი პოეზიის სილამაზეს და ეს იყო ალბათ მიზეზიც, ასე ღრუბელივით რომ ვისრუტავდი პოლიონასგან ამ ყველაფერს. აბა, რა მატირებდა მაშინ, როცა დედაჩემის პიანინოზე, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო გაყიდული და ასე ამშვენებდა ჩვენს სახლს, პოლიონა მუბერტის „ავე მარის“ უკრავდა, რომლის შესრულების დროსაც მას ერთნაირად ერეოდა ცრემლები და თითები...

ზეიმები არ უყვარდა, დღესასწაულებზე ყოველთვის იკარგებოდა. არ ვიცი საკუთარ თავს მალავდა თუ ემალებოდა. არც არავინ მოისაკლიებდა. დედა-ბებიასგან მახსოვს მხოლოდ ასეთ დღეებში წუხილად: „სადაა ნეტა პალიონა უბედური, და ალევინება ვინცა ერთ ჭიქას და იქნება ქე ჩავარდა სადმე „კანაოშიო““.

ის კი გამომჩნდებოდა რამდენიმე დღის მერე, სიჩუმით და ნაღველით სავსე. არც კი შემოგხვდავდა, ისე გაეცემდა დაბნეულ პასუხს კითხვაზე. მაღლა ცისფერში გაურბოდა ცისფერივე მზერა და ამ ლურჯ მონახასს მე ხშირად ვაყოლებდი თვალს, რომელიც ზეცის სიღრმეში ხაზთან ერთად მეკარგებოდა...

ერთხელ ჩვენგანაც გაავადეს. ძალიან მთვრალი მოვიდა და ღამის გათვივის უფლება ითხოვა. მალევე ახმაურდა. ეს ის იშვიათი შემთხვევა იყო, როცა პოლიონას და მიწას ერთნაირად ადანაშაულებდა ხმამაღალი „გამოსვლით“ თავის უბედობაში. ჩემმა ძმამ საყელოში (დედა-ბებია იტყოდა - „ქეჩოშიო“) ჩაავლო ხელი, მაღლა ასწია დამხვრჩალ კატასავით და გარეთ გასვა. იმ ღამეს დიდხანს მესმოდა ჩემი გერმანული ნაგაზის, რექსის წკატუნები, რომელსაც შიგადაშიგ პოლიონას სლუკუნის უერთბედობა...

ამის მერე საკმაოდ დრო იყო გასული რომ ვნახე. სკოლიდან მოვიდოდი, ის კი ბალის კუთხეში იჯდა თავისთვის სკამზე და ისე იყო გარინდებული, თითქოს იმ სკამზევე აპირებდა სიცოცხლის დასრულებას. ძალიან მორეოდა უსაშველობა და მგონი თვითონაც ნებდებოდა უკვე... გაიხარა ჩემი ნახვით - „МНИЦА, МОЯ ТОЛ-СТУШКА“ - (ასე მეძახდა) მომეფერა.

შევნიშნე, რომ თავისი პატარა ფუთა, რომელსაც განუყრელად თან დაატარებდა, გახსნილი იყო და იქიდან, ის სურათი მოჩანდა, რომელზედაც პატარა პოლიონა თავისი მშობლების გარემოცვაში, ლამაზი სახლის ფონზე იყო აღბეჭდილი. რამდენჯერ დამიხედია ამ უცნაური ფერის და ფორმის სურათისთვის, ასეთ მძიმე მოგონებას რომ ინახავდა პოლიონასთვის.

როცა ნაცისტებმა პატარა გოგონა მშობლებს ძალით დააცილეს, მამამ მოახერხა და ჯიბეში ეს ფოტო ჩაულო, თან ჩურჩულით, იმედით, მაგრამ ბავშვისთვისაც კი შესაძინევი ბზარით ხმაში, უთხრა: „ჩვენ გადავრჩებით და ამ სურათით ვიპოვით ერთმანეთს, შენ პოლიონა რინერბერგე ხარ, არ დაგავიწყდეს. იცოდე, რომ რაც არ უნდა მოხდეს შენს ცხოვრებაში მე და დედა ყველაფერს გააპტიებთ და დაუსრულებლად დაგელოდებით, მხოლოდ გაუძეული და იცოცხლე პოლიონა, შეილო“...

ღმერთო, ის მხოლოდ 9 წლის იყო, როცა ამ სიტყვების გააზრების სიმძიმე დააწვა ბედისწერად...

ისღა მოვიფიქრე, რომ მისგანვე ნასწავლი რუსული ვუთხარი: „Не бойся, Полина, а стирка то опять наберется“.

მან გაოცებულმა, ჩვეულებისამებრზე მეტჯერ მაკოცა ხელზე, რომლითაც ბაბუას ნაჩუქარი ხურდა ფული ჩაუვდევი ჯიბეში. იმ დღიდან მეგონა, რომ ვერავინ ხვდებოდა სახლში, თუ რა სვრიდა ასე ძალიან ყველას ტანსაცმელს და თეთრეულს ლოვინზე, ღამის ტალახი რომ ედო ზედ და მეც გვიან მივხვდი, თუ რატომ ჩამიხუტა დედა-ბებია გულში ისე მაგრად, ღამის ძვლების ტკივილი რომ ვიგრძენი და მითხრა: „რა გეშველება დედა შენ, უტარო დანასავით არ დაიკარგო ამ ცხოვ-

რებაში“.

ზოგჯერ მგონია, რომ მართლა ვიკარ-
გები ამ უფულო და ანგარებიან წუთისო-
ფელში, მეტწილად კი, როცა მას ფიქრებ-
ში ვესაუბრები და ფიქრშივე ვემშვიდობები,
ვაიძებლებ: მე არ დავიკარგე დედა!

ჩემი ბავშვობის ქარიანთქა

ვერანაირი ფული მაიძულებდა ამ ტორ-
ტის შექმნას, რომ არა ჩემი მოურჩენელი
ნოსტალგია, დეპრესიაში რომ ერევა ზოგი-
ერთს...

ვინ რას დაინახავს ამ ნამცხვარში:
ზოგი სიმაღლეს ააყოლებს თვალს, ზოგს
ფერთა გამა მოხიბლავს ან პირიქით. ზოგი
ჩემი ნერვების სიმშვიდეს გაიკვირვებს და
იტყვის, რომ მეტი საქმე არა მაქვს, თორემ
როგორ შემიძლია ამდენი დრო დავუთმო
ამ ყვავილების კირკიტს. ვის გემო დაინ-
ტერესებს და მართალიც იქნება, ვილაცას
გულში გაკარავს, ნეტა რამდენს მიხლიან
ამ ყველაფერში. მეგობრები აუცილებლად
ოსტატობის ღონეს შემიფასებენ და მად-
ლობელი ვარ ამისთვის...

მე კი ჩემი დედა-ბებიას პატარა სახლში
გადამისროლა ამ ყვავილებმა და მისი
ბუხრის წინ დამსვა პატარა გოგო, სადაც
სამფეხზე, წინა დღეს გახეხილი ჩაიდან
დგას, პურის ნაჭრები მარკოია ცივანის
(ასე ეძახდა დედა-ბებია) გამოჭედილ მაშა-
ზე ნაკვერცხლებს მიფიცხებული, გვერდით
დაბალ სკამზე, თეთრი, ოქროს ვარაყიანი
ფიალით მიდგას „პავილო“, რომელსაც
კვამლის გემო დაჰკარავს და მე ვბუხლუ-
ნებ ამის გამო, რადგან ჯერ არ ვიცო, წლე-
ბი რომ გავა, სწორედ ამ არომატის წამი-
ერი გაელევა გახეხა ასე ძვირფასი ჩემ-
თვის და გულის ტკივილამდე მიმიყვანს
ბებიას თითების გახსენება და სურნელი.
მანამდე კი... შეღებული კარებიდან
გარეთ ზოლებად, ნელა მიიპარება კვამლი
და მე ვგრძნობ, როგორ დაჟინებით შემო-
დის უკან გრილი და მძაფრი სურნელი
ქრიზანთემების...

აფხაზეთი. დედაჩემი...

წლების წინ მარტმა, თავისთვის უჩვე-
ულო სიმშვიდით, დედაჩემი თან წაიყვანა
და მარადიულ გაზაფხულში დაასახლა.
მე კი, იასამანის და ჟასმინის ყვავილობა
დამიტოვა მის სასსოვრად...

დედა აფხაზეთში დარჩა, გაგონებაც
არ უნდოდა იქაურობის დატოვების. სახ-
ლის კედელს ახლაც ატყვია, კრიმინალის-
ტების მიერ დანაშაულის ადგილზე მოხა-
ზულ წრესავით, დედაჩემის სიმაღლეზე,
მისი შეშინების მიზნით გასროლილი ნატ-
ყვიარები... მეგონა, რომ ამის მერე მაინც
წამოვიდოდა, მაგრამ - არა, ვერა და ვერ
შეელია კერას... ბოლოს მაინც მე მომი-



წია ჩასვლა.

დილაადრიან მატარებლიდან ჩამოსული,
დაბნეული და გაღიზიანებული მივადექი
ენგურის ხილს, რომელზედაც ჩემი და
სიჩუმის მეტი, იმ წუთას გადასვლას არავინ
აპირებდა. უსასრულოდ გრძელი მეჩვენა
გასავლელი მანძილი, რომელიც სულ რა-
ღაც 870 მეტრია. გამახსენდა, როგორ გა-
დმომატარა პირველად აქ, ხელჩაჭიდებუ-
ლი, ბებიამ და მდინარის ხმაურის ფონზე,
რომელიც უშველებელ სიფართეზე მოქუხ-
და, მომიყვა, თუ როგორ აშენებდნენ გერმა-
ნელი ტყვეები 1944-1948 წლებში ამ
ხილს, როგორ მოდიოდა ის კვირაში ერ-
თხელ, დატვირთული კალათით, აქ, აპურებდა
მათ და თან ეკითხებოდა: „მიტუშა ფულა-
რიანი ხომ არ გაგიგიათ ვინმეს?“ (ასე ეძე-
ბდა ბებია ომში დეკარგულ ძმას).

ამ სიჩუმეში მეც მომწვდა თითქოს,
ხილს ერთი თავიდან მეორე ბოლოში
მარცვალ-მარცვალ გასული, გამყინავი გადა-
ძახილის ექო: „Kennst du vielleicht die
Mitusha Pulariani“... და წარმომიდგა პა-
სუხის მოლოდინში გაყურული ბებია...

ვიგრძენი, რომ ვილაც შემომემატა გზაზე.
მივიხედე უკან, მაგრამ არავინ იყო და მი-
ვხვდი სიჩუმემ თავისი გაიტანა - შიში
დამამეზავრა, შინ დაბრუნების შიში რომ
დავარქვი მერე...

ენგურს დავაბრალე - განზე გამდგარი
კაცივით, თავისთვის, უხმოდ რომ მიედი-
ნებოდა გვერდზე მიდებულ და დავიწრო-
ებულ კალაპოტში. არ ვიცო, რას ვერჩო-
დი მდინარეს, თანაგრძობის ნაცვლად, რა-
ტომ მიხლოდა, ხმაურით მაინც გამოეხა-
ტა მას ჩემთვის თანადგომა და ერთად და-
ვეძლია შიში.

თითქმის ორი საათი დავკარგე, სანამ
საზღვარზე გადასვლის „ნება“ დამრთეს.
ტრანსპორტის მოძიებაც გამიჭირდა. მეჩქა-
რებოდა და აეტობუსს ვერ დავუცდიდი.

ერთი მძლოლი დამთანხმდა, მხოლოდ,
ექვსი ადამიანის მეზავრობის საფასური
მომთხოვა წინასწარ... აღარ დავეძებდი
არაფერს, ოღონდ მალე და მშვიდობით
მივეყვანე დედასთან.

ჩვეულებისამებრ, უკან ჩავვექი მანქა-
ნაში. გზაზე მომიწია ამ კაცის უცებვე
დაწყებული უაზრო, მაგრამ რიხიანი, გაუ-
თავებელი ლაპარაკის მოსმენამ და მალმა-
ლე გასწორებული, მორყეული სარკიდან
ჩემი დათვალიერების არშემჩნევამ, მთელ
ხმაზე აწეული „მუსიკით“ „ტკობობამ“ და
დაწეული მინიდან, ქარის მიერ უკანვე
შემოყრილი სიგარეტის ფერფლის მრავ-
ალჯერი ჩამოფერთხვამ ჩემი პალტოდან.

ეტყობოდა, რომ ის დაბადებიდანვე თავ-
ხელი იყო. შენიშვნის მიცემას აზრი არ
ჰქონდა, ნამდვილად არ ჰქონდა...

ვიგრძენი, თანდათან როგორ წამიჭირა
ყელში ტკივილად და დამხარჩო მისმა -
„შინ“ მყოფი მასპინძლის - „სითამამემ“
და მოძვლა ჩემმა უმწეობამ, რომელსაც
არაფერი უმდგრებდა ზურგს, გარდა მძიმე
„დანაშაულად“ აკიდებული ქართველობი-
სა... იმ წუთას კარგად მესმოდა, რომ
ცრემლების დრო და ადგილი არ იყო, და-
ბლა დავხარე თავი. ვეცადე, თვალები დამე-
ხუჭა და კინოფირის უკან დატრიალების
რეჟიმზე გადავრთულიყავი, მაგრამ არ გამო-
მივიდა, ათასი კითხვა გამიჩნდა და დამრჩა
უპასუხოლად...

როგორც იქნა, გაილია ეს გზაც და
მივედი სახლამდე. ჭიშკარი რომ შევადე,
შეჭერდი, უკან დამხია ფანჯრებს მომდგარ-
მა და მოჩერებულმა მონატრების, მართო-
ბის და უთქმელი საყვედურის ძალამ...

- დე, მე მოვედი! - დავიძახე და აუწყე-
ვი კიბეებს.

პირველად შევატყვე დედას სიბერე...
ეტყობოდა, მძიმე ღამე ჰქონდა გამოვლილი.
დღე რომ უფრო რთული გველოდა, ამის
მიხვედრა არ გამჭირვებია, მაგრამ იმედი
მაინც შემოვიანახე. ვეცადე, მას არ შეემ-
ჩნია არაფერი.

სალამოს 5 საათამდე ვისაუბრეთ, ვეფე-
რეთ ერთმანეთს, ძველი სურათები ვათვა-
ლიერეთ, ბევრი ვიცინეთ და უფრო მეტი
ვიტირეთ ერთად, საიდუმლოსავით გამანდო:
„დედაჩემი მენატრებაო“...

მერე ჩასთვლია. მეც გვერდით მივუ-
წექი. მალევე გამოძალიდა მისმა ფრონტილმა
შეხებამ და ჩურჩულმა: „შენ არ შეგეშინ-
დეს, დე, დედა-ბებია დგას კარებთან“...

არა, არ მეშინია-მეთქი, მაგრად ჩავეხუ-
ტე. მის კისერთან ჩავმარხე თავი და უხმოდ
ავტირდი, ისე, რომ კარებთან მომლოდინე
ლანდი არ დამეფრთხო...

ეს პირველად არ მიხლოდა ბებიას ნა-
ხვა და მძულდა მარტი, რომელმაც ის ჭი-
რისუფალივით მოაცილა სახლის კარამდე,
დედაჩემის წასაყვანად...

სამაჩიქანი:

ნიუ-იორკში:
164 Brighton 11 St.
Brooklyn NY 11235
Tel: 718-934-1700
Alt: 347-500-5037

ნიუ-ჯერსიში:
123 Pennsylvania Ave, # 3
Kearny NJ 07032
Tel: 201-333-5555

ოჰაიოში:
9333 Reading Road
Reading, OH 45215
513-322-5102

პენსილვანიაში:
13050 Busteton Ave
Philadelphia, PA 19116
215-710-0322

სამარკოპოლი:

მთავარი ოფისი:
წინამძღვრიშვილის 158
თბილისი, 2-506833

საბურთალო:
აკურის ქუჩა 13,
2-945853

გლდანი:
ვეკუა. 10-1
2-654122

რუსთავში:
მეგობრობის ქ.2
2-57157

ქუთაისში:
ალმაშენებლის 136
577-181846

ბათუმში:
საბაჟოს ქ. 4
04222 225508

ზესტაფონში:
სტაროსელკის ქ. 25
492-250332

გორში:
ცხინვალის გზა 8
0370227049

თელავში:
ბახტრიონის ქ. 3
350273130

მარნეულში:
რუსთაველის ქ.1
357-222712

www.barami.us
www.baramicar.com
Facebook: baramilogistix

**გველა მომსახურება
ერთ ადგილას,
მომსახურების
უბრთო არჩევანი:**



BARAMI

ავტომეცხიდვები

დაგენმარებით ავტომობილის ყიდვასა და გაყიდვაში საქართველოსა და ამერიკაში;

გადაზიდვები

ავტომობილის შიდა გადაზიდვები ამერიკასა და კანადაში; საზღვაო ტრანსპორტირება საქართველოსა და მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში;

საკაპრო (საამანათო) ტრანსპორტირება

სახლიდან სახლამდე* - 2.95\$ პაუნტი; ჩვენს ოფისში მოტანილი - 2.75\$ პაუნტი; გთავაზობთ მომსახურებას კომერციულ ტვირთებზეც;

საზღვაო გადაზიდვები

ოფისში მოტანილი ავეჯის და რეგულარული ტვირთის გადაზიდვა - პაუნტი 91 ცენტად ფოთის პორტამდე. გთავაზობთ ადგილიდან წამოღების და სახლში მიტანის მომსახურებასაც ზოგიერთი შტატის ფარგლებში დამატებით ფასად.

ინტერნეტ-მონიტორინგი:

ტვირთის სტატუსი და მრავალი ინფორმაცია ჩვენს ვებ-გვერდზე: www.barami.us




„ბარამის“ სასაწყობო დარბაზი, ქერნი, ნიუ ჯერსი, აშშ

* შეიძლება არსებობდეს შეზღუდვები ზოგიერთ შტატზე

100\$

100 დოლარიანი უსაუკუდოს კუპონი, ავტომობილის გაგზავნაზე და ტვირთზე 800 დოლარის ზემოთ (არააკუმულირებადი), Exp. 02.31.14

როსორო პირქონსენ



გუბერნატორად

მარკ ტშენი (სემუელ ლენგზორნ კლემენსი — 1835-1910), ამერიკელი მწერალი, რომელიც სოიერისა და ჰეკლბერი ფინის თავგადასავლების ავტორი. პროფესიონალი ურნალისტი პირველი წიგნი 34 წლის ასაკში გამოაქვეყნა. ამერიკულ ცხოვრებაზე შექმნილი მწვავე, მამხილებელი პაფლეტების წყალობით მარკ ტვენმა ხასიათისა და ინტრიგის ოსტატის, ბრწყინვალე იუმორისტის სახელი დაიმკვიდრა.

რამდენიმე თვის წინ დამოუკიდებელთა პარტიამ ჩემი კანდიდატურა ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორის თანამდებობაზე წამოაყენა. ორმა სხვა პარტიამ მისტერ სტიუარტ ლ. ვუდფორდისა და მისტერ ჯონ ტ. ჰოფმანის კანდიდატურები დაასახელა. თუმცა, ვაცნობიერებდი, რომ ამ ბატონების წინაშე მნიშვნელოვანი უპირატესობა მაქვს, კერძოდ, უმწიკვლო რეპუტაცია. საკმარისი იყო, გაზეთებისთვის გადაგენედათ, რათა დარწმუნებულიყავით, რომ თუკი ისინი ოდესმე იყვნენ კიდევ წესიერი ადამიანები, ამ დრომ დიდი ხნის წინ ჩაიარა. სრულიად აშკარა გახლდათ, რომ ბოლო წლებში ისინი ყველა შესაძლო მანკიერებაში ჩაიდირნენ.

საკუთარი უპირატესობით ვტკბებოდი და გულის სიღრმეში მიხაროდა, მაგრამ ჩემი ბედნიერების უმფოთველ მდინარეებს მღვრიე ჭავლივით ერთი აზრი არღვევდა: ჩემს სახელს რომ ამ თაღლითების სახელების გვერდით მოიხსენიებენ! ეს სულ უფრო მეტად მაშფოთებდა. ბოლოს და ბოლოს, გადავწყვიტე, რჩევა ბებიასთვის მეკითხა. მოხუცმა სწრაფად და მტკი-

ცვლ მიბასუხა. მისი წერილი ღალატებდა: „მთელი ცხოვრების მანძილზე ერთი უწყსო საქციელიც არ ჩავიდენია. ერთიც კი! არადა, მხოლოდ გაზეთები გადაიკითხე და მიხვდები, რა ხალხია მისტერ ვუდფორდი და მისტერ ჰოფმანი. თავად განსაჯე, შეგიძლია თუ არა, თავი იმდენად დაიმცირო, რომ მათთან საჯარო ბრძოლა წამოიწყო.“

სწორედ ეს არ მასვენებდა! მთელი დამე თვალი არ მომიხუჭავს. ბოლოს გადავწყვიტე, რომ უკან დახევა გვიანდა. ამომჩვევლებმა ნდობა გამომიცხადეს და ბოლომდე უნდა ვიბრძოლო. საუზმის დროს, გაზეთების თვალთვლებისას ერთ შენიშვნას წავაწყდი და, სიმართლე გითხროთ, გავოგნდი:

„ცრუმოწმობა. შესაძლოა, ახლა, როდესაც ხალხის წინაშე გუბერნატორობის კანდიდატად წარდგა, მისტერ მარკ ტვენმა ინებებს, აგვისხანას, რა ვითარებაში ამხილა ქალაქ ვაკავაში (კონინსონში) 1863 წელს ოცდაათმეტი წლის მოწმე ფიცის დარღვევაში! ხმები დადის, რომ ცრუმოწმობა ჩადენილია ადგილობრივი ღარიბი ქვრივისა და

მისი უმწყო შვილებისთვის მიწის საცოდავი ნაგლევის და რამდენიმე ბანანის ხის წართმევის მიზნით - ანუ ერთადერთის, რაც მათ შიმშილისა და სიღატაკისგან იფარავდა. საკუთარი და ამომჩვევლების ინტერესებიდან გამომდინარე, რომლებიც, როგორც მისტერ ტვენმა იმედოვნებს, ხმას მას მისცემენ, იგი ვალდებულია, ეს ისტორია განმარტოს. გაბედავს კი?“

გაოცებისგან თვალები შუბლზე ამივიდა. რა უხეში, ურცხვი ცილისწამებაა! კონინსონში არასდროს ვყოფილვარ! ვაკავაში წარმოდგენაც არ მაქვს! ბანანის ხეს კენჭურუსგან ვერ ვარჩევ! უბრალოდ, არ ვიცოდი, როგორ მოვექცეულიყავი. გაცოფებული, მაგრამ სრულიად უმწყო გახლდით.

მთელი დღე გავიდა, მე კი ვერაფერი ვიღონე. მეორე დღით იმავე გაზეთში ასეთი სტრიქონები გამოჩნდა:

„საბუნდობლობა! უნდა აღინიშნოს, რომ მისტერ მარკ ტვენმა კონინსონში თავის ცრუმოწმობასთან დაკავშირებით მრავალმნიშვნელოვნად დუმს!“

(შემდგომში, მთელი საარჩევნო კამპანიის განმავლობაში, ეს გაზეთი მხოლოდ „ფიცის გამტენ საზიზღარ ტვენად“ მოიხსენიებდა.)
შემდეგ სხვა გაზეთში ასეთი შენიშვნა დაიბეჭდა:

„სასურველია, ვიცოდეთ, ხომ არ ინებებს გუბერნატორობის ახალი კანდიდატი, იმ თანამოქალაქეებს, რომლებიც მისთვის ხმის მიცემას ბედავენ, ერთი საინტერესო გარემოება განუმარტოს: მართალია თუ არა, რომ მონტანაში მასთან ერთად ბარაკში მცხოვრებ ამხანაგებს დროდადრო წვრილ-წვრილი ნივთები ეკარგებოდათ და მათ, როგორც წესი, ან მისტერ ტვენის ჯიბეებში, ანდა მის „ჩემოდანში“ (ძველ გაზეთში, რომელშიც ის თავის საბაზუბას ახვევდა) აღმოაჩენდნენ? მართალია თუ არა, რომ ამხანაგები იძულებული გახდნენ, თავად მისტერ ტვენის სასარგებლოდ, მისთვის მეგობრული ჩაგონება ჩაეტარებინათ, კუბრში ამოეთხუზნათ, ბუმბულეებში ამოეგვილით და ჭოკუნე შესმული ჩაეტარებინათ ქუჩებში, შემდეგ კი ერთხაით, სასწრაფოდ გაეთავისუფლებინა ბანაკში დაკავებული ადგილი და სამუდამოდ დაევიწყებინა მათგან მიმავალი გზა?

რას გვიბასუხებს ამაზე მისტერ ტვენი?“
განა შეიძლება მისი სახელის მფიქრებელი? მე ხომ მონტანაში ჩემს სიცოცხლეში არ ვყოფილვარ!

(მას შემდეგ ეს გაზეთი ჯიუტად მიწოდებდა „მონტანელ ქურდ ტვენს“.)

იმ დღიდან დღის გაზეთის გადაშლისას შინში მიბურობდა - ალბათ, ასე სწევს საბნის კუთხეს ადამიანი, რომელიც ეჭვობს, რომ ლოგინში ჩხრილა გველი იმალება.

ერთხელ თავში სტრიქონები მომხვდა:
„ცილისშაფამბაში მსიღმბაშლინი! ფაიგ-პოინტელმა მაიკლ ო'ფლანაგანმა, უოტერ-სტრიტელმა მისტერ კიტ ბერნსმა და მისტერ ჯონ ალენმა ფიცის ქვეშ მისცეს ჩვენება, რომელიც მოწმობს, რომ მისტერ ტვენის ურცხვი მტკიცება, თითქმის ჩვენი ღირსეული კანდიდატის ჯონ ტ. ჰოფმანის განხვევებული ბაბუა შარაგუნე უჩალობისთვის ჩამოახრჩვეს, უსინდისო, სულელური და უსაფუძვლო ცილისწამებაა. უკველ წესიერ ადამიანს გულზე ნადველი შემოაწვევა იმის დახანგაზე, პოლიტიკური წარმატების მისაღწევად როგორ კადრულობენ ზოგიერთები ნებისმიერ საზიზღარ სრისკს, შეურაცხყოფენ აკლამებს და ბლაღავენ გარდაცვლილთა უმწიკვლო სახელებს. იმ მწუხარების წარმოდგენაზე, რომელიც ამ ამზრუნვლი მტყუილმა განსვენებულის სრულიად უდანაშაულო ახლობლებსა და მეგობრებს მოუტანა, მზად ვართ, შეურაცხყოფილ და აღფოთებულ საზოგადოებას ვურჩიოთ, ცილისმწამებელს მისხნავე თვითგასამართლება მოუწყონ. თუმცა, არა! დაე, სინდისის ქენჯნით დაიტანჯოს! (თუმცა, თუკი ჩვენი გააფთრებული თანამოქალაქენი ფიზიკურ ზიანს მიაყენებენ, სრულიად აშკარაა, რომ ვერცერთი ნაფიცი მსაჯული მათ დადანაშაულებდა ვერ გაბედავს და ვერცერთი სასამართლო ამ საქმის მონაწილეებს სასჯელს ვერ გამოუტანს.)“

შევიანურად მოფიქრებულმა დასკვნითმა ფრაზამ, როგორც ჩანს, ჯეროვანი შთაბეჭდილება მოახდინა: იმავე დამეს ლოგინიდან სას-

წრაფოდ წამოხტომა და უკან კარიდან გაქცევა მოიხსდა, ხოლო „შეურაცხყოფილი და აღფოთებული საზოგადოება“ საღარბაზო შესასვლელიდან შემოიჭრა და სამართლიანი გულისწყრომით ალტკინებულმა ფანჯრები და აფეჯი დაძლია, ამასობაში კი ხელს ჩემი ნივთებიც გააყოლა. და მაინც, შემძლია ყველა წმინდანი დავიფიცო, რომ მისტერ ჰოფმანის ბაბუისთვის ცილი არასდროს დამიწამებია. მეტიც, მისი არსებობის შესახებ წარმოდგენაც არ მქონდა და მისი სახელი არასდროს მსმენია.

(უნდა ითქვას, რომ ზემოხსენებული გაზეთისთვის მას შემდეგ „აკლამების წამბილწველ ტვენად“ გადავიქცეო.)

მაღე ჩემი ყურადღება სტატიაში მიიპყრო:
„ღირსმული კანდიდატი! მისტერ მარკ ტვენი, რომელიც გუშინ დამოუკიდებელთა მიტინგზე მქვეყარე სიტყვის წარმოთქმას აპირებდა, იქ არ გამოცხადდა. მისტერ ტვენის ექიმისაგან მიღებულ ტელეგრამაში ნათქვამია, რომ მას გაქანებული ეკიპაჟი დაეჭანა, რომ ფენს ორ ადგილას მოტენილი აქვს, საშინლად იტანჯება და მსგავსი სისულელეები. დამოუკიდებლები მთელი ძალ-ღონით ცდილობდნენ, ეს მონაჩმანი ერწმუნათ და თავს აჩვენებდნენ, თითქოს არაფერი უწყობდნენ მათ მიერ კანდიდატად არჩეული გამოუსწორებელი არამზადის არყოფნის ქეშმარიტ მიზეზებზე. მაგრამ გუშინვე, საღამოს, მაგანი უგონოდ მთვრალი სუბიექტი ოთხით შეფერთხდა სასტუმროში, რომელიც მისტერ ტვენის ცნობრობს. დაე, დამოუკიდებლებმა დაამტკიცონ, რომ ეს უღმერთოდ გალღეშილი ბირუტყვი მარკ ტვენს არ იყო. როგორც იქნა, გაგებენ! სრისკები აღარ უშველით! მთელი ხალხი ნამაღლა ეკითხება მათ: „ვინ იყო ის კაცი?“

თვალებს არ ვუჭერებდი. შეუძლებელია, რომ ჩემი სახელი ასეთ საზარელ ეჭვს უკავშირდებოდა! უკვე სამი წელია, არც ღვინოს, არც ლუდს და, საერთოდ, არანაირ სპირტიან სასმელს პირს არ ვაკარებდი.

(როგორც ჩანს, დრომ თავისი მოიტანა, თანდათან გამოვიწრთვენი, იმიტომ, რომ ამდევ გაზეთის მომდევნო ნომერში განსაკუთრებული მღელვარების გარეშე წავიციოთ ჩემი ახალი მეტსახელი: „ტვენი - თეთრი ცხელება“, თუმცა ვიცოდი, რომ ის საარჩევნო კამპანიის ბოლომდე შემომრჩებოდა.)

ამ დროისათვის ჩემს სახელზე უამრავი ანონიმური წერილი მოდიოდა. ჩვეულებრივ, ისინი ასეთი შინაარსისა იყო:

„რას იტყვით იმ ბეჩავ დედაბერზე, რომელსაც ცხელი ჩაზილედა, როდესაც მოწყალების სათხოვნელად კარზე მოვიკაკუნათ?“

ანდა:
„თქვენი ზოგიერთი ბნელი საქმე ჯერჯერობით მხოლოდ ჩემთვის არის ცნობილი. რამდენიმე დოლართან გამომშვიდობება მოგიწევთ, თორემ გაზეთები თქვენი მონაპორჩილისაგან თქვენზე რაღაც-რაღაცებს შეიტყობენ.“

ჰენდი ენდა“
დანარჩენი წერილებიც ამ სტილისა იყო. შემეძლო, სიტყვასიტყვით მომეტანა, მაგრამ, ვფიქრობ, მკითხველი ამითაც დაკმაყოფილდება.

მაღე რესპუბლიკური პარტიის მთავარმა გაზეთმა ამომრჩეველთა მოსყიდვაში „მამხილა“, ხოლო დემოკრატების ცენტრალურმა ორგა-

ნომ ჩემ მიერ ფულის დანაშაულებრივი გამოცხადების ფაქტები „საამკაროზე გამოიტანა“.

(ამგვარად, კიდევ ორი მეტსახელი შევიძინე: „ტვენი - ბინძური გაიძვერა“ და „ტვენი - უნამუსო შანტაჟისტი“.)

ამის შემდეგ ყველა გაზეთმა საშინელი ხმაურით მომთხოვა პასუხი ჩემთვის წაყენებულ ბრალდებებზე. ჩემი პარტიის ხელმძღვანელებმა გამომიცხადეს, რომ ღუმელი ჩემს პოლიტიკურ კარიერას დალუპავს. და თითქოს ამის დასამტკიცებლად და ჩემს შესაფუძვლებლად მეორე დღით ერთ-ერთ გაზეთში ასეთი სტატია გამოჩნდა:

„ერთი, ამ სუბიმას ღამისამდომ! დამოუკიდებელი კანდიდატი კვლავაც ჯიუტად დღეს. რა თქმა უნდა, ხმის ამოღებასაც ვერ ბედავს. მისთვის წაყენებული ბრალდებები საცხებოთ სარწმუნო აღმოჩნდა, რასაც მისი მქვერმეტყველური ღუმელიც ადასტურებს. ამიერიდან ის სამუდამოდ დალდასმულია! დატკბით ამ საზიზღარი ფიცის გამტენით, მონტანელი ქურდით, აკლამების წამბილწველით! შეხედეთ თქვენს განსხეულბულ თეთრ ცხელებს, თქვენს ბინძურ გაიძვერას და უნამუსო შანტაჟისტს! დააკვირდით, ყოველი მხრიდან დაათვალიერეთ და თქვით, გაზეთად თუ არა, თქვენი პარტიოსანი ნმები მისცეთ არამზადს, რომელმაც თავისი მიმიღ დაუნაშაულებით ამდენი ამზრუნენი მეტსახელი დაიმსხურა და კრინტის დაძვერასაც ვერ ბედავს, რომ თუნდაც ერთი მათგანი უარყოს!“

თავის არიდება აღარ შეიძლებოდა და, ღრმად შეურაცხყოფილი, მთელ ამ დაუმსახურებელ, ბინძურ ცილისწამებათა გროვებზე „პასუხს“ ჩავუვჭე. მაგრამ სამუშაოს დასრულება არ მეწყრა, რადგან მეორე დღიდან ერთ-ერთ გაზეთში ახალი საშინელი, ღვრძლიანი ცილისწამება ვიხილე: მადანაშაულებრივ, რომ ცველი წავეკიდე საგიჟეთს თავისი ბინადრებთან, რადგან ის ჩემი ფანჯრიდან ხელს აუშნოვებდა. აქ კი თავზარი დამეცა. ამას მოჰყვა მეტყობინება, რომ მისი მტკიცების დაუფლები მიხნით საკუთარი ბიძა მოგწამლე. გაზეთი დაჟინებით მოითხოვდა გვამის გაკვეთას. მეშინოდა, რომ სადაცაა შევიმღებოდი. მაგრამ ჯერ სადა ხართ: მაღე ბრალი დამდეს, რომ, როგორც მივდებულ ბავშვებს თავმესადურის მეტრემ, ჩემი გამოყენებული უკბილო ნათესავები აღსაზრდელბისათვის საჭმლის დამეჭავთა თანამდებობებზე მოვაწყვე. სრული უმწიკვლა ვიგრძენი.

საბოლოოდ უსინდისო დევნამ, რომელიც მტრულმა პარტიებმა მომიწყვეს, უმადლეს წერტილს მიაღწია: ვიდაცის წაქეზებით წინასაარჩევნო მეკრების დროს ყველა ფერის კანის ცხრა დამოხმბი ღლაპი ტრინბუნაზე ამოფოფდა. ისინი ფენებზე დამებლაუტუნენ და აყვირდნენ „მამა!“

ამას ვეღარ გავუტელი. დრომა დავეუშვი და დავენბდი. ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორის თანამდებობაზე კენჭისყრისთვის საკმარისი ძალა არ აღმომაჩნდა. დავეურე, რომ კანდიდატურას ვხსნი, და გააფთრებულმა მოგაწერი ხელი:

„უღრმესი პატივისცემით თქვენი, ოდესღაც პატიოსანი მოქალაქე, ამჟამად კი საზიზღარი ფიცის გამტენი, მონტანელი ქურდი, აკლამების წამბილწველი, თეთრი ცხელება და ბინძური გაიძვერა

მარკ ტვენი“. 1879

გითარგმნათ და წაკითხვა გაიძულათ მარინა კიკნაძე

პარიზში რომ ვიყავი, ერთხანს ისე გამიჭირდა, ლამის ქუდი ჩამო-
მეტარებინა ქუჩა-ქუჩა. ვიჯექი ჩემს მანსარდაში და ამაოდ ვიგონებდი
ნაცნობებს, რომელთანაც ფულის სასესხებლად მიმესვლებოდა. თანაც,
შემოდგომა იყო, გვიანი შემოდგომა - თბილისური გვიანი შემოდგომა-
სავით ზუნულიანი და სევდის მომრევი. წვიმდა და წვიმდა.

ხატვა არ მინდოდა. ავდგებოდი, მივდიოდი ფანჯარასთან და გაე-
ცქეროდი ჩამოჯანულ ცას, სველ სახურავებს, ხავსმოღებულ კედლებს.
ენასოთ, ვილაცამ დააკაკუნა. ვინ ეშმაკია-მეთქი, დაღრუჯილი მივე-
დი კართან. გამოვალე და ცოტა არ იყოს, შევცბი. ახალგაზრდა ქალ-
ვაჟი მწვეოდა. აი, კინოში რომ გვაჩვენებენ ხოლმე ბენდინერ ამერიკელ
ახალგაზრდებს, სწორედ ისეთები. სახე უბრწყინავდათ, ჩქროლავდნენ
და აღარ იცოდნენ, როგორ შეეკავებინათ მოზღვავებული ხალისი. ბო-
ლიშს იხდიდნენ და ილიმებოდნენ. მერე ქალი გამომელაპარაკა ფრანგუ-
ლად - დიდად ზრდილობიანად და მოხდენილად: ჩვენ თქვენი ნამუ-
შევრები გვინახავს, ბატონო მხატვარო, მოხიბლულნი ვართ მეცა და
ჩემი მეუღლეც. გაგებდეთ და შეგაწუხეთ, იქნებ დაგვაგალოთ და რო-
მელიმე თქვენი ნახატის მფლობელნი გაგვხადოთო.

ის რომ ლაპარაკობდა, მისი ქმარი სულ ილიმებოდა და ხან მე მი-
ყურებდა სინარულით, ხან თავის მეუღლეს.

მე აღარ ვიცოდი, რომელი სკამი შემეთავაზებინა, რომ საღებავით
არ დასვრილიყვნენ. ძალიან მინდა თქვენი სურვილის ასრულება, მაგ-
რამ თქვენი საკადრისი არაფერი მაქვს-მეთქი, - მოვახსენე.

ეს რომ გაიგონეს, შეწუხდნენ, პატარა ბავშვებისვით უმწეო გამო-
მეტყველება მიიღეს. უბრალო, მცირე რამე მაინც, ბატონო მხატვარო,
სულ უბრალო, თუნდაც მონასშიო.

ვიფიქრე, ოღონდ ახლა როგორმე თავიდან მოვიშორო და, ჯანდაბას,
მერე რაც იქნება-მეთქი, და ვეუბნები:

- ორი დღის შემდეგ შემოიარეთ-მეთქი.

ხელად დაუბრუნდათ ბენდინერი დიმილი. ქმარმა ნეტარების გამო-
მეტყველებით მოავლო თვალი ჩემს ოთახს და, თუმცა ინგლისური არ
ვიცოდი, მაინც მივხვდი, რომ ასეთ მანსარდაში ცხოვრება ინატრა.

მოიბოლიშეს და გამომეთხოვნენ.

მე მოვბრუნდი და საწოლზე ჩამოვჯექი. მათი წასვლის შემდეგ
კიდევ უფრო მწვავედ ვიგრძენი ჩემი უბედობა. თბილისი გამახსენდა.
ავიდე ფანქარი და ალბომში მოვუსვი. დავხატე მოცეკვავე ქართული
ქალი, თითქოს იმ ამერიკელი ბენდინერი ქალის საპასუხოდ; დავხატე
დალლარა კინტო და საკინძეჩამოხეული ყარაჩოლელი - ესეც თითქოს
იმისი ქმრის საპასუხოდ; დავხატე ვირი თბილისის ქუჩაზე და ილ-
ლიაში სახრეგაჩრილი წყნეთელი - ესეც თითქოს იმათი ნიუ-იორკის
საპასუხოდ

მერე მივეგდე და მივიძინე ნაცემი ძალღივით.

გავიდა ორი დღე და ზუსტად დანიშნულ დროს გამოცხადდა ის
ცოლ-ქმარი. ისევ ბენდინერი, ხალისიანი, ატაცებულნი.

ვაჩვენე ერთი ნახატი, მეორე, მესამე აღარ იციან, რა ქნან. ქალი
ხომ ტოკავდა და ალივილებდა იმ ჰაეროვან კულულებს, კაცი სიცი-
ლად იყო ქცეული. მერე მომუდარე გამომეტყველება მიიღეს, თითქოს
ეს-ესაა, დაიჩოქებნო, და

- თუ შეიძლება, რომ ყველა სურათი დავითმოთო.

მე გამეცინა: რის დათმობა, აილეთ, წაილეთ-მეთქი.

მაშინ მამაკაცმა საქმიანად მოხოვა, მიბრძანეთ, რამდენი უნდა მოგა-
რთვათო. ჩემთვის ყველა ის ნახატი, ახლანდელ ფულზე რომ ვთქვავთ,
ათი თუმანიც არ ღირდა. აბა, ამაზე ხომ არ შევევაჭრებოდი.


- ინებეთ, ბატონებო, ფასზე ლაპარაკი როგორ შეიძლება, მე ქართვე-
ლი განლაგართ-მეთქი.

მაშინ მამაკაცმა საბანკო ჩეკი ამოიღო, რაღაც დაწერა, ერთი ფურ-
ცელი ამოხია და გამომიწოდა.

მე რომ ჩემი ქართველობა დამემტკიცებინა, ჩეკისთვის არც დამიხე-
დავს, კარებამდე მივაცილე ცოლ-ქმარი და, როგორც კი თვალს მიე-
ფარნენ, ადვილს მოვწყდი. ისე როგორ შეირცხვენდა კაცი თავს, ერთი
სადილის ფული მაინც არ დაეტოვებინა-მეთქი. დავაგლე ჩეკს ხელი,
წავიკითხე და ჩემს სიცოცხლეში ნამდვილი ლოცვით პირველად
დავლოცე მდიდარი, მდიდარი, ბენდინერი ხალხი.

ჩეკში ეწერა, რომ ამის წარმდგენელს ათასი დოლარი მიეცემაო.

**„მხატვარი პარიზში“ - ლადო გუდიაშვილის ნაამბობი,
რომელიც ნოველად აქცია რეზო ინანიშვილმა.**



ერთხელ, მალაზიაში ყოფნისას, ჩემი ყურადღება მიიპყრო პატარა ბიჭუნამ, დაახლოებით 6 წლის იქნებოდა, ხელში ჩაებღუჯა თოჯინა, მოლარე კი მას დაუინებით უმეორებდა:

- ძალიან ვწუხვარ, მაგრამ შენი ფულით ამ თოჯინას ვერ იყიდ. უცებ, ბავშვი მომბრუნდა და მკითხა: თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ეს ფული მართლაც არ არის საკმარისი?

ლიმილით დავუთვალე ფული.

- ბიჭუნა, მოლარე მართალია, ეს ფული მართლაც არ გეყოფა, რომ ეს თოჯინა იყიდო, - ვუთხარი მე, მაგრამ ამის მოუხედავად, ბიჭი ხელიდან არ უშვებდა სათამაშოს. მისმა სიჯიუტემ გამაკვირვა... დარწმუნებული იყო, რომ საკმარისი ფული ჰქონდა... ისევ მივუახლოვდი და ვკითხე, მაინც ვისთვის უნდოდა საჩუქარი.

- ეს თოჯინა, ჩემს დაიკოს ძალიან მოსწონდა და უნდოდა, რომ მისთვის ეყიდათ... მე ძალიან მინდოდა დაბადების დღისთვის მეჩუქებინა... ახლა კი, დედას უნდა გავატანო მასთან... ჩემი და ღმერთთან წავიდა... მამა ამბობს, რომ დედაც მალე წავა ღმერთთან, ამიტომ ვიფიქრე, ვუყიდი და მას გავატანდი... იქნებ გადასცეს...

გულისცემა მომენტალურად გამიჩერდა. ბავშვმა ისევ ამომხედა:

- მე მამას ვთხოვე, დედა არ გაუშვას ჩემს დაბრუნებადღე.

შემდეგ მან მაჩვენა ფოტო, რომელზეც აღბეჭდილი იყო მისი სახე... ღიმილიანი და ბედნიერი.

- მე მინდა რომ ეს ფოტოც გავატანო დედას, არ მინდა დაიკოს დაგავიწყდე! - მცირე პაუზის შემდეგ მან დაამატა: - მიყვარს დედიკო და არ მინდა რომ დამტოვოს, მაგრამ მამა ამბობს, რომ ის აუცილებლად უნდა წავიდეს ჩემს პატარა დასთან.

შემდეგ ისევ შეხედა თოჯინას ნაღვლიანი თვალებით.

მე სასწრაფოდ ამოვიღე ჯიბიდან საფულე და შევთავაზე ხელახლა გადაგვეთვალა მისი ფული.

- შენ ხომ გჯერა, რომ გაქვს საკმარისი ფული? - ვკითხე მე.

- კი, მე მჯერა - თავი დამიქნია.

მისგან შეუმჩნეველად დავამატე ფული და გადათვლის შემდეგ ვუთხარი, რომ ის არ ცდებოდა და მართლაც შეეძლო ეყიდა თოჯინა.


ამის გაკონებაზე ბავშვმა თქვა: მაღლობა ღმერთო, რომ გაიგონე ჩემი თხოვნა! გუშინ, ძილის წინ ვთხოვე, რომ მოეცა საკმარისი ფული... ასევე, მინდოდა თეთრი ვარდიც მეყიდა დედისთვის, მაგრამ ღმერთისთვის ეს აღარ მითხოვია. მაგრამ ახლა შემიძლია ვიყიდო ორივე. დედიკოს უყვარს თეთრი ვარდები!

სახლში დაბრუნების შემდეგაც, დიდხანს ვფიქრობდი ამ ბავშვზე. შემდეგ, გამახსენდა ორი დღის წინ, ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნებული სტატია მომხდარი ტრაგიკული ფაქტის შესახებ: მძლოლი, რომელიც ნასვამ მდგომარეობაში მართავდა სატვირთო ავტომობილის საჭეს, დაეჯახა დედა-შვილს. ბავშვი ადგილზე დაიღუპა, ხოლო დედა-მისი, როგორც სტატიაში ეწერა, იმყოფებოდა კომაში. ოჯახს უნდა გადაეწყვიტა, გამოერთო თუ არა სასუნთქი აპარატი, რადგან აღარ იყო ახალგაზრდა ქალის გადარჩენის შანსი.

ნუთუ ეს ტრაგედია, იმ ბიჭუნას ოჯახს ენება? - არ მასვენებდა ამაზე ფიქრი.

სამი დღის შემდეგ, ისევ გამოქვეყნდა სტატია, რომელიც იუწყებოდა კომაში მყოფი ახალგაზრდა ქალის გარდაცვალების შესახებ... ოჯახის წევრების თანხმობით მას გამოურთეს სასუნთქი აპარატი.

დაკრძალვაზე მივედი... ახალგაზრდა ქალის ცხედარი ესვენა სიკვდილის სარეცელზე... ერთ ხელში თოჯინა და ფოტო ჰქონდა, მეორეში კი - თეთრი ვარდი. მე ვგრძნობდი, რომ ჩემი ცხოვრება შეიცვალა... ვერასდროს შევძლებ დავივიწყო პატარა ბიჭის სიყვარული დედისა და დის მიმართ.



ბებიჩემის, ზინაიდას მშობლებს დომნა და დომენტი ერქვათ. არა, წარმოიდგინეთ, რა მაგარია, როცა დომნა გქვია და ისე ვიძარტლებს, რომ სწორედ დომენტის პოულობ. არა გრიგოლს ან ნიკიფორეს, არამედ, სწორედ დომენტის.

დომნა თავადის ქალი იყო, ულამაზესი, მთელი ცხოვრება ვერცხლის ყალიონით დაფარული იყო. აი, დომენტი კი - გლეხი იყო.

აი, აქ გაჩერდი - ვეუბნები დედას, რომელიც ამ ამბებს მიყვება, აი, აქ გაჩერდი, ვეკითხები: - როგორ წაყვა ცოლად თავადის ასული გლეხს, რა მოხდა ეგეთი?

- უბრალო დომენტი კი არ იყო, გოგო, განათლებული დომენტი იყო, ილიასთან ერთად წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში საქმიანობდა - მასსუხობს დედა - მერე ისევ თავის სოფელში დაბრუნდა, თითქმის მთელი დასავლეთ საქართველოდან აკითხავდა ხალხი წერილების, განცხადებების და ათასი რამის დაწერის თხოვნით. ხოდა, წაყვა ეს ჩვენი დომნა ჩიქოვანი, აბა რას იზამდა. მაგრამ მთელი ცხოვრება მინც ახსენებდა თავის ცისფერ სისხლს, სიტყვით კი არა, ისე - პერფორმანსით ახსენებდა. მაგალითად, კვირა დღით წირვაზე ასეთი დელეგაცია მიდიოდა გლეხი დომენტის ოჯახიდან - ცხენზე ამხედრებული ქალბატონი დომნა და ქვეითად მავალი დანარჩენები, როგორია?

უნაგირი მამათილმა გამოუჭედა - თეთრწვერიანმა, ხეღმა, ლამაზმა კაცმა.

არ ვიცი, დომნა იყო დომენტის ქვეცნობიერი კომპლექსი თუ რა, მაგრამ ფაქტია, რაღაცამ ისე შეცვალა ეს ჩვენი წერა-კითხვის გამავრცელებელი, მარტვილსა თუ ხონში ერთ-ერთი ყველაზე განათლებული და პატიოსანი კაცი, რომ საბუთებზე ვადების გადაკეთებამდე კი მივიდა. მერე, როდესაც მეორე მსოფლიო ომისგან თავისი შვილების გადასარჩენად მათი დაბადების თარიღები გადააყალბა, კომუნისტები შინ, გორდის ულამაზეს კარ-მიდამოში ესტუმრნენ, დომენტი გარდაცვლილი მეზობლისათვის გამზადებულ კუბოში დაიძალა, მაგრამ მინც მიაგნეს და ციხის გზასაც გაუყენეს.

დომნას და დომენტის 8 შვილი ჰყავდათ, მათ შორის 3 ვაჟი, დანარჩენი ქალიშვილები და მიუხედავად იმისა, რომ ყველა ერთმანეთზე ლამაზი იყო, დომენტის, კლდიაშვილის მოთხოვნების ცნობილი გმირისა არ იყო, ისე ეშინოდა, რომელიმე მათგანი შინ არ დაბრუნებოდა, რომ სასწრაფოდ დაათხოვა ისინი.

ხუთივე გოგო ძალიან ლამაზი ჰყავდა ჩემს დიდ ბაბუას, მაგრამ ბებიჩემი - ზინაიდა საერთოდ მზეთუნახავი იყო. ბოლომდე, 80 წლისაც მზეთუნახავი იყო, სასაცილო ისტორიებს ჰყვებოდა - ქალები ქუჩაში მომდევდნენ, სახეც ისეთი ლამაზი თუ გაქვს, როგორ ტანიო. გადასარევი ქალი იყო



„ჩუმი საღამო“, - ნინო ჩაკვეტაძე

- თავლისფერი თმა, ლურჯი თვალები, საოცრად სწორი სახის ნაკეთები - ქართველი მარლენ დიტრიხი ხარ - მეთქი, ვეუბნებოდი.

ხოდა, რას ვეუბნობდი? - როცა მამამისმა, 5 გოგოს შემინებულმა მამამ სასწრაფოდ გაათხოვა - შეყვარებული ჰყავდა, ოღონდ, ის ბაბუჩემი არ იყო. ერთი ბიჭი მიყვარდა - მთამბობდა ხოლმე ძილის წინ „წიქარას“ თუ „ხუთკუნჭულასაგან“ თავმობზრებულს.

ერთი ბიჭი უყვარდა, მაგრამ გაჰყვა ბაბუჩემს - მშრომელსა და თავმდაბალს, გაუჩინა სამი შვილი და განდა ჩემი ბები (რამდენ გაწილებულ სიყვარულს მაღავენ ქართული ოჯახები).

ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად უნდა ვთქვა, რომ ბებიჩემზე მაგარი მზარეული არც მინახავს, არც გამიგონია.

დღევანდელივით მასსოვს მისი ფირუზისფერი წინსაფარი, ულამაზესი ხელები, ამ ხელების ქიმია საჭმლის შეზავების დროს, ყველაზე მეტად გასინჯვის მომენტი მიყვარდა, დამიძახებდა სადმე, კუთხეში წიგნიანად შეყუჟულს, ხელს დამაბანინებდა და მერე ამ ხელისგულზე მოათავსებდა ნივთიან ფხალს თუ აფხაზურ აჯიკას. მერე გამომცდელად შემომხედავდა თავისი ზღვისფერი თვალებით და აღტაცებული შემახილების მემიოლიონედ მოსმენისას გამარჯვებული ტოვებდა სამზარეულოს ასპარეზს.

დომი უყვარდა განსაკუთრებით, როდესაც ამოავებდნენ, მისთვის განსაკუთრებულ, უფრო დიდ თევზზე უნდა დაგედო - მე ბევრი - იტყოდა ხოლმე. ხოდა, ყოველთვის, როცა ღოშს ვაკეთებ, აუცილებლად ვარჯობ სანთელს ერთ დიდ ღოშს - თევზს - ნამდვილად არ ვიცი, რა გზას გადის კერძი ჩვენი სუფრიდან იმით, მიცვალებულთა ტრაპეზამდე, მაგრამ ეს ჩემი პატარა ტრადიციაა, რა იცი რა ხდება.

თვალწინ მიდგება კადრი ზაფხულიდან - სხვადასხვა სახის კონსერვების მზადება გაჩაღებული, გაგანია ავვისტოა, ბებიჩემის ეზოში გაზის სადგამზე დიდი ქვაბი დგას - ხოდა იქ დულს და რა დულს, გადმოდულს - განსაკუთრებული ტყემლისა თუ ალუბლის საწებელი, აჯიკა მწვანე, წითელი თუ ღია ყავისფერი, მურაბები - სამოთხის ვაშლი თუ მინიატურული, პაწუკა მსხლები, მზადდება მწნილები - მკვასე ვაშლის თუ პომიდვრის.

ბებიას რეცეპტებს ვეძებ, კერძებს ვიხსენებ - სრულიად ცნობილ და პოპულარულ, ჩვეულებრივ ქართულ საჭმელებს - რეცეპტებს ვერ ვპოულობ, იმიტომ, რომ უბრალოდ არ წერდა, არაფერსაც არ იწერდა, თვალის ზომით, გულის კარნახით, გამოცდილებით, წინაპართაგან მოცემული ინტუიციით ამზადებდა კერძებს - რეცეპტი ჩვეულებრივია, ვფიქრობ, მაშინ რა ხლიდა მის კერძებს ასეთ განუმეორებელს, მის სანელებლებს ასეთ სურნელოვანს, მის მჭადებს - ასეთ დატკიცინებულს - არა, არა, ეს მონატრების სუბიექტურობა არაა, მის განსაკუთრებულობას სხვებიც აღიარებენ. ხოდა ვხვდები, ბებიჩემის და ზოგადად ჩვენი ბებიების განუმეორებელი ჯადოსნობა ნაცნობი რეცეპტებით, ნაცნობი კერძებით გაცოცხალდა.

თუმცა ეს ნაცნობიც ყურს მჭრის თავისი უცხო ჟღერადობით: დანდური, ღანძილი, ბაღბა, სეინტრი, ტუნტი, ეკალა, არჯაკელი, მასოხი, ღოლო, კვარაზი, ჩემქვა, ისრები და ა.შ. ყველაზე საყვარელი ხმოვანება, ყველაზე ნაცნობი პოლიფონია.

ეს შენი, პირადი ზღაპარია, შენი პირადი სივრცე, სადაც ერთ დღეს აღმოჩენ, რომ შენს ბებიას ისეთი, ისეთი ლურჯი თვალები აქვს, როგორც მხოლოდ დემეტრე პოსეიდონის რომელიმე ცოლს შეიძლება ჰქონოდა. ხოლო საცივს რომ დარიჩინი უნდა, ეს ყველამ ისედაც იცის...



ლია ელიავა ჯო მთარ კოზირიძე

რეცეპტი 1

პროპელერიანი გუფთები
კარლსონისათვის

„კარლსონმა თქვა, ვალმერებ დაბრაწულ გუფთებსო, მაშასადამე, გამასპინძლება საჭირო, თორემ ეწყინება და გაიბუტება... ოჰ, რა ბევრი რამ იყო ახლა დამოკიდებული ამ გემრიელ გუფთებზე!“

- ერთ წუთს მოიცადე, - უთხრა ბიჭუნამ, - სამზარეულოში გავიქცევი და გუფთას მოვარბენინებ.

კარლსონმა მოწონებით დაუქნია თავი.

- ოღონდ ჩქარა! ხომ იცი, მარტო სურათების ყურება კუჭს ვერ ამოავსებს!

ბიჭუნა სამზარეულოში შევარდა.

დიდას თავისი უჯრულა წინსაფარი აფარებინა და დიდ ტაფაზე ლამაზ-ლამაზ გუფთებს აწითლებდა. ხანდახან ტაფას ხელში შეათამაშებდა ზოლმე და ბურთივით მრგვალი გუფთები ხტუნვით ბრუნდებოდა მეორე მხარეს.

... იცით რა გუფთები იყო? შებრაწული, კრაწუნა და მართლაც რომ სანაქებო.“

წარმოიდგინეთ, შებრაწულ გუფთებს პროპელერი რომ ჰქონდეთ და თავისით უფრინდებოდნენ პატარა ბიჭუნებს პირში.

რეცეპტისათვის საჭიროა:

ქათმის ფილე - 500 გრამი

წიწიბურა - ერთი ჭიქა

ერთი დიდი ხახვი

2 კბილი ნიორი

1 კვერცხი

ონრახუშის რამდენიმე ღერი

ტკბილი წიწაკა-დაფქული-მწიკვი

ხმელი რეჰანი ან თავშავა

მარილი-გემოვნებით

ერთი სტაფილო, ან სხვა ბოსტნეული საფანელი

ზეთი

ქათმის ფილე, მოხარშული წიწიბურა, ხახვი, ნიორი, ონრახუში გავატაროთ, გავუკეთოთ ტკბილი წიწაკა, სანელებლები და მარილი, დავამატოთ გათქეფილი კვერცხი (თუ თხელი გამოვიდა, შეგვიძლია ერთი ცალი კარტოფილიც დაუმატოთ).

კულინარიულ დაფაზე მოვამზადოთ პატარა გუფთუკები, ამოვავლოთ საფანელში და შევწვათ კარგად გაცხელებულ ტაფაზე, ზეთში.

სტაფილო გავთალოთ, დავჭრათ ჩხირებად და კულინარიული ჩხირის საშუალებით ავაწყოთ მარტივი კონსტრუქციის პროპელერი, ჩავარჭოთ ჩვენს გუფთებში და რაიმე სახის გარნირთან ერთად მივართვათ ჩვენს პატარებს (ასეთივე პროპელერი შეგვიძლია შემწვარი კარტოფილით, ვაშლით, ჭარხლით დაამზადოთ)

P.S. სინამდვილეში, კარლსონი და ბიჭუნა რომ შებრაწულ გუფთებს მიირთმევდნენ, ღორისა და საქონლის ნარევი ფარშით მზადდება და შევდური სამზარეულოს უმ-

ჩვენი ზაფხულის ფიგნების გეგმა

ბოლო დროს აღმოვაჩინე, რომ ყველა ჩემს მიერ წაკითხული წიგნის მენიუ მასსოვს, - რას, როდის და რა პირობებში მიირთმევდნენ ჩემი საყვარელი წიგნის გმირები, განსაკუთრებით ნათლად და დეტალურად ბავშვობის წიგნების კერძები მასსენდება - შემწვარი გუფთა და ძეხვი, ფუფულა ფუნთუშები - რომელთაც სამზარეულოს ფანჯრიდან შემოპარული კარლსონი იპარავდა; ფრეკენ ბოკის ცხარე წვნიანი, მთელი ქვეყნის მასშტაბით რომ გაუთქვა სახელი; პეპის მაჭკატები, რომელთა ცომსაც იატაკზე ზელდა ეს ცეცხლისფერთმიანი გოგო; ნუგბარით სავსე საპიკნიკო კალათა ამავე წიგნიდან; წარუმატებელი კულინარის, ძია მელკერის რეცეპტით დამზადებული ქორჭილა „სალტკროკელებიდან“ და მოხუცებულებისათვის მოწყობილი დიდებული ნადიმი „ემილიდან“, მაშხით, ინდაურებითა და კუპატებით.

ასტრიდ ლინდგრენის დიდებულ სუფრაზე შეიძლება ბევრი ვილაპარაკოთ, მე კი ახლა „პატარა მანწილა“ მასსენდება, ცივი ლონდონი, სადაც მშვიდი ბავშვები ზოგჯერ პურის პუდინგს მიირთმევდნენ, ზოგჯერ კი სტაფილოთი გაჭქონდათ თავი. კიდევ მექსიკური სამზარეულო მაინ რიდის სათავგადასავლო რომანებიდან, ჰექტორ მალოს უსახლკარო ბიჭისთვის მომზადებული ცხელი ბულიონი, გამოზოგილი და განაწილებული ულუფები „დედა, მამა, რვა ბავშვი და საბავშვო მანქანიდან“. ბერძნული სამზარეულოს დაგემოვნება კორფუზე გამგზავრებული ოჯახის მიერ, ვარსკვლავიანი თაფლაკვერები მერი პოპინსიდან, უდაბნოში, გზადაკარგული ბერინავი ეგვიპტე და ერთადერთი ფორთოხალი, როგორც სიცოცხლის სიმბოლო, ლორმუცელა უფლისწულის მდიდრული მენიუ და გემრიელი სიზმრები „სალამურას თავგადასავალში“, ჯანჯუხა და ცხელი მჭადი ნოდარ დუმბაძის შესანიშნავი მოთხრობებიდან, კულინარიული სასწაულები წიგნიდან „ჩარლი და შოკოლადის ქარხანა“ და მუხუდოს წვნიანი „სამი მუშეკეტრიდან“...

არ ვიცი, რისი დამსახურებაა ასეთი მესსიერება - ალბათ უარაფრო და მშვიდი ბავშვობის წლებით, როცა მართლა წიგნები გვაპურებდნენ შემინებულ და შეციებულ ომის ბავშვებს...

უსასრულოდ შეიძლება წიგნების და კერძების ჩამოთვლა განვაგრძო, მაგრამ აქ გაჩერდები და რამდენიმე რეცეპტს გასწავლით - ზოგიერთს, საბავშვო წიგნებიდან, ზოგიერთს - ამ წიგნების შთაგონებით შექმნილს, ხოლო ზოგიერთს, ისეთი ცნობილი საბავშვო ავტორის კულინარიული წიგნიდან, როგორცაა, მაგალითად, როალდ დალი. დაიხმარეთ საბავშვო წიგნები იმისთვის, რომ სამზარეულოსა და ბიბლიოთეკას შორის მანძილი გაუმარტივოთ პატარა მკითხველებს.





თავრესი კერძია, მაგრამ მრავალფეროვნებისთვის, ჩემი ვარიანტიც შეგიძლიათ მოამზადოთ, გემრიელია, დამიჯერეთ.

რეცეპტი 2

ჩარლი და შოკოლადის ქარხანა

„ბაბუა ჯო და ჩარლი თითქმის მირბოდნენ, რომ მისტერ ვონკას არ ჩამორჩენილიყვნენ, მაგრამ იმ მრავალრიცხოვან კარებს რომ ჩაურბინეს, ერთი წარწერა არ დარჩენიათ წაუკითხავი:

კარზე ეწერა: საჭმელად ვარგისი მარმელადის ბალიშები, სალოკი შპალერი ბაგაბაღებისათვის, ცხელი ნაყინი ცივი დღეებისათვის...“

ამას წინათ, ამ წიგნის ავტორის, როალდ დალის კულინარიული რეცეპტების წიგნი ვიყიდე, სადაც მარმელადის ბალიშების, შოკოლადის სიურპრიზის და სხვა სასუსნაგების რეცეპტებიც წერია, ჰოდა, ერთს თქვენც გაგიზიარებთ:

ვილი ვონკას შოკოლადის სიურპრიზი (ამ სასუსნავის ადაპტირებულ ვერსიას გთავაზობთ, სიმინდის სიროფის ნაცვლად, რომელიც ბავშვებისთვის ნაკლებად სასარგებლოა, თაფლი გამოვიყენე.)

რეცეპტისთვის გვჭირდება:

დაჭრილი ნივოზი, ხმელი ჩირი, ნუში, თხილი, ქიშიში, სიმინდის ბურბუშელა - მთლიანობაში 400 გრამი;

100 გრამი კრეკერი;

200 გრამი თაფლი; ვანილი;

ერთი ფილა შოკოლადი;

2 სუფრის კოვზი კარაქი;

მომზადება:

ნელ ცეცხლზე, ისე რომ არ აქაფდეს და არ აღუდღეს, ოდნავ ღრმა ტაფაზე მუქ ოქროსფერამდე მივიყვანოთ თაფლი, ჩავყაროთ თხილულ-ჩირეულობა და კრეკერები, კარგად ვურიოთ, დავუმატოთ ვანილი, ამოვიღოთ და გავაბრტყელოთ ფიცარზე. რომ გაცივდება, მოვრძოთ ოთხკუთხედებად დავჭრათ.

ორთქლის აბაზანაზე გავადნოთ შოკოლადი, დავუმატოთ კარაქი, ავადულოთ, ამოვავლოთ შოკოლადში და გავაცივოთ.

რეცეპტი 3

ვაშლის პუდინგი დავით კოპერფილდისათვის

საბრალო დავით კოპერფილდი, როგორ გამოავლეს სახლიდან, არადა, წარმოდგინეთ, როგორ მოენატრებოდა თავისი ძიძის, პეგოტის გამომცხვარი ვაშლის პუდინგი და ერთი ჭიქა ცხელი რძე.

მასალა:

2 კვერცხი

100 გრამი შაქარი

100 მლ. რძე

120 გრამი ნაღების კარაქი

1 ლიმონი

250 გრამი ფქვილი

6 ვაშლი

70 გრამი რაიმე სახის, მომყავო ჯემი

ქიშიში

დარიჩინი - დანის წვერით

მარილი-შწიკვი

ნუში-100 გრამი

კვერცხის ცილა გამოვაცალკევოთ გულიდან, ცილა გადავდოთ, ხოლო გული ავთქვიფოთ შაქართან და რძესთან ერთად 5 წუთის განმავლობაში, დავუმატოთ კარაქი და ისევ განვაგრძოთ თქვეფა, შემდეგ დავამატოთ ხორბლის ფქვილი, ავთქვიფოთ.

ცალკე მოვამზადოთ გათქვეფილი ცილა, დავუმატოთ ცომს, არ გადავურიოთ. ვაშლი გავრეცხოთ, გული ამოვაცალოთ, დავჭრათ თხელ რგოლებად, ფორმაში ჩავაფინოთ პერგამენტი, თხლად წაუუსვით ჯემი, დავაწყოთ ვაშლები.

ცომს ფრთხილად გადავურიოთ ათქვეფილი ცილა, ფორმაში ჩაწყოთ ვაშლებს დავასხათ დარჩენილი ცომი, 180 გრადუსზე გაცხელებულ ლუმელში გამოვაცხოთ 45 წუთის განმავლობაში. უკვე გამომცხვარს მოვაყაროთ მოხალული ნუში.



რეცეპტი 4

ჯემიანი ნამცხვარი ჩემი პირადი ზღაპრიდან

„ჩემი ზღაპარი, ალბათ, არც ისე საინტერესოა, როგორც ეს სასწაული წიგნები, რომლებზეც უკვე მოგიყვებით.

კადრებად დარჩენილი მამა, უცხოეთში



გაფანტული ოჯახი, მუდამ შვილების მონატრული დედა.

თუმცა, მანამდე იყო ის ყველაზე ტკბილი, დაუვიწყარი ერთიანობა - ცივი კორპუსის თბილი საშხარეულო, მამა ჩაის სვამს, უფროსი და მღერის, ძმა მამას სკოლის ამბებს უყვება, მე - ნაბოლარა, ყველას ფეხებში ვედები და დედა აცხობს ჩემი ზღაპრის ჯემიან ნამცხვარს“:

მასალად საჭიროა:

200 გრამი რძე

200 გრამი შაქარი

200 გრამი ზეთი

ფორთოხლის ცედრა - 1ს. კოვზი

4 კვერცხი

1 პაკეტი საფხვიერებელი ფხვნილი ფქვილი იმდენი, რამდენიც დასჭირდება არაჟნის კონსისტენციის ცომის მომზადებას

ბლის მურაბა

რაიმე სახის მომყავო ჯემი

ცუკატები, ქიშიში


მომზადება:

ვაკეთებთ გოგლი-მოგლს, ვიღებთ რძეს, ზეთს, საფხვიერებელს, თითო-თითო ინგრედიენტს ვუმატებთ და ვთქვიფთ, ვყრით იმდენ ფქვილს, რომ არაჟნის კონსისტენციის ცომი გამოვივიდეს, ბოლოს ვამატებთ ქიშიშსა, ცედრასა და ცუკატებს, ცომს ვყოფთ ორ ნაწილად და ვაცხობთ ორ ფორმაში. ვაცხობთ 200 გრადუსზე, დაახლოებით 30-40 წუთს, ზედაპირის შეწითლებამდე.

როდესაც გამოცხვება, პირველ ნაწილს წაუსვით ჯემი (თუ სველი ნამცხვრები გიყვართ, შეგიძლიათ რაიმე წვენი ან სიროფით დანამოთ კიდევ), დაადეთ მეორე ნაწილი, კიდევ წაუსვით ჯემი, მოაყარეთ შაქრის ფხვნილი, ცუკატები, ქიშიში ან დაფხვნილი ორცხობილა.

ყოველთვის დააგემოვნეთ მოგონებები, ეს ყველაზე ტკბილი და წარმატებული კულინარიული საიდუმლოა.

რუბრიკას უძღვება დიანა ანფიმიანი



**ინფექციური
ექიმი მერაბ
ბორტიშვილი**

რა არის ვარიკოზი?

ვარიკოზი ანუ ვენების ვარიკოზული გაგანიერება (varix -კვანძი, შებერილობა, ლათ) - ეს არის ვენების დაავადება, რომელიც იწვევს მათი სანათურის გაფართოებას და ვენური კედლის გათხელებას.

ვარიკოზული დაავადება ცნობილია უძველესი დროიდან. მის შესახებ ცნობები მოიპოვება ეგვიპტურ პაპირუსებში, ბიზანტიის კანონთა კრებულში მედიცინის შესახებ და ძველ აღთქმაშიც კი. ვარიკოზული დაავადების მკურნალობას ცდილობდნენ (თუმცა უშედეგოდ) ძველი დროის უდიდესი ექიმები ჰიპოკრატე, ავიცენა, გალენი და პარაცელსი. მას უწოდებდნენ „დაავადებას, რომელიც მოგცეკლავს“.

ვენების ვარიკოზული გაფართოება ძალზედ გავრცელებული დაავადებაა. დღეისათვის ეს დაავადება აღენიშნება ყოველ მესამე ქალს და მეათე მამაკაცს.

ვარიკოზული დაავადების მიზეზები

ვარიკოზის უპირველეს მიზეზად გვევლინება ვენების სარქველოვანი აპარატის გაუმართავი მუშაობა.

ვენები ეს არის სისხლძარღვები, რომლებითაც სისხლი მიედინება გულისაკენ. სისხლის დინება ხდება ქვედა კიდურების ვენებში ქვევიდან ზევით, ანუ დედაძირის მიზიდულობის ძალის საწინააღმდეგოდ. ეს ხდება რამდენიმე მექანიზმის წყალობით: არტერიებიდან სისხლის ჭავლის გადმოსროლით (უმნიშვნელო როლი), ქვედა კიდურების კუნთების შეკუმშვით (მოქმედებს, როგორც ღეუმი) და ვენებში არსებული სარქველების მუშაობით, რომლებიც ხელს უშლიან სისხლის ზევიდან ქვევით დინებას. სწორედ ამ სარქველების გაუმართავი მუშაობა იწვევს ვენური სისხლის მიმოქცევის გაუარესებას, რაც საბოლოოდ იწვევს ვენების კედლის ზედიზედ გაჭიმვას. ამის შედეგად სისხლის დინება ხდება ქაოსური, სისხლი გუბდება ქვედა კიდურების ვენებში, განსაკუთრებით კანქვეშა ვენებში, წნევა მათში იმდენად იზრდება, რომ სისხლძარღვების კედლები ვეღარ უძლებს და ბუმბიტის მსგავსად იწყებს გაბერვას.

ყველაზე მნიშვნელოვანი აქ მაინც გრავიტაციის ძალაა. ვენების დაავადება, ეს არის ადამიანების „გადასახადი“ ვერტიკალური (ფეხზე მდგარი) ცხოვრების წესის გამო. ვენური სარქველების დაზიანების სხვა მნიშვნელოვანი მიზეზი არის მუცლის ღრუში წნევის მომატება. ეს ხდება სიმძიმეების აწევის, ხველების, ცემინების, ქრონიკული შეკრულობის გამო.

ქალებში ვარიკოზული დაავადება შეიძლება განვითარდეს ორსულობის დროს, როდესაც თანდათანობით ძლიერდება მზარდი საშვილოსნოს ზეწოლა მუცლის ღრუს ვენებზე, რაც თავის მხრივ აძნელებს სისხლის გადინებას ქვედა კიდურების ვენებიდან. გარდა ამისა, ვენების დაავადება დაკავშირებულია ქალებში ჰორმონალური ფონის შეცვლასთან ორსულობის პერიოდში და ასევე არასწორად შერჩეული ჰორმონალური კონტრაცეპციის წყალობით.

- მერაბი ექიმო, რა არის ვარიკოზული ვენების მიზეზი?

- მთავარი მიზეზია გენეტიკური სისუსტე ვენოზური სისტემის ქსოვილებში, რომლებიც გამოიწვევს ვენების სარქველების სისუსტეს ზოგიერთ კანქვეშა ვენებში. ეს შეიძლება გამოიხატოს კლინიკურად მონარდ ასაკშიც კი. დროთა განმავლობაში ეს სისუსტე შეიძლება გაუარესდეს ისეთი ფაქტორებისგან, როგორც არის: ზედნაჭარბი წონა, ორსულობა, სიმძიმეების აწევა, დიდხანს ფეხზე დგომა ან მოჭარბებული ჯდომა და ა.შ. ასეთი დაზიანება ვენებისა არასოდეს გამოსწორდება თავისთავად.

- რა გართულებები შეიძლება გამოიწვიოს ფეხის ვენების შიდა სარქველების სისუსტემ?

- სარქველები იმისთვისაა ბუნების მიერ შექმნილი, რომ სისხლი გატარდეს ზევით - გულისკენ. როდესაც ადამიანი ფეხზე დგას, სარქველების სისუსტის შემთხვევაში, სისხლი ნაწილობრივად გუბდება ფეხის ქვედა ნაწილში, რადგანაც ზევით ასული სისხლი ისევ ქვევითკენ ჩამოიღვრება იმ ვენაში, რომლის სარქველები დასუსტებულია. ასეთი სისხლის დაგუბება ფეხში გამოიწვევს ფეხების სიმძიმეს, კრუნჩხვებს, ტკივილს, შეშუპებას, ქავილს და ა.შ.

თუ მკურნალობა არ დაიწყო დროულად, დაავადება ვითარდება და გართულებები წარმოიქმნება - ვარიკოზული ვენები წარმოიშვება, რომელშიც თორმეტი შეიძლება წარმოიქმნეს. ეს კი ძალიან საშიში გართულებაა.

თუ ამ ეტაპზე არ დაიწყო მკურნალობა, წარმოიქმნება ყავისფერი ფერი ფეხის კანზე. ეს უკვე ითვლება გართულებად, რომლის უკუქცევა შეუძლებლად ითვლება. ქალბატონებისთვის ასეთი კანის ფერი ტრაგედიაა. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მკურნალობა არ იყო დაწყებული დროულად. დაავადება უარესდება - ფეხის კანი სქელდება, მკვრივდება და ემსგავსება ხის ქერქს, შემდეგ წყლული ჩნდება ფეხზე.

- გამოდის, რომ ადვილად დასანახი ვარიკოზული ვენები უკვე მაჩვენებელია დაავადების საკმაო გართულებისა. ხომ შეიძლება, რომ თვით ვარიკოზული ვენები არ ჩანდეს, მაგრამ დასუსტებული სარქველები ზიანს აყენებდეს ადამიანს?

- სწორია, ვარიკოზი - ვერავალი დაავადებაა. თუ ფეხზე ჩანს, მაშინ ადამიანი უფრო მალე მოხვდება სპეციალისტთან. თუ კი ვარიკოზი არ ჩანს ფეხზე, მაშინ გვიანდება პაციენტის ექიმთან მისვლა. ხშირად პაციენტმა არც იცის, რომ აქვს ვარიკოზის დაავადება (ე.წ. ვენოზური უკმარისობა), რადგანაც თვალთ არ ჩანს თვით ვარიკოზი. ეს ძალიან აბნევს პაციენტსაც და ზოგიერთ ექიმსაც. სამწუხაროდ, ხშირად ისმევა არასწორი დიაგნოზი. ზოგიერთ

ექიმს (არასპეციალისტი) ეჭვიც კი არ ებადება ასეთი დიაგნოზისა და თავიანთ პაციენტებს მკურნალობენ არარსებული სხვა დაავადებებისგან, რომელიც მიემსგავსება ვენოზურ უკმარისობას (სასხრის ანთება, რევმატიზმი, არტერიების შევიწროება, ნერვების ანთება და ა.შ.) შედეგი კი სამწუხაროა - დაავადება ვითარდება და ფეხის კანში ხდება ცვლილებები, რომლების უკუქცევა შემდეგში შეუძლებელი ხდება. ფეხის კანი იცვლის ფერს - ყავისფერი ხდება, კანი სქელდება, მკვირვდება და წარმოიშება წყლული. ასეთი ცვლილებები განსაკუთრებით მტკივნეულია ფსიქოლოგიურად ქალბატონებისთვის!

წლების განმავლობაში პაციენტი იყო ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ, მაგრამ სწორი დიაგნოზი ვერ დაუსვეს. ეს დაუშვებელია! ხომ შესაძლებელი იყო სწორი დიაგნოზის დასმა დროულად?

- შესაძლებელია თუ არა ვარიკოზული ვენების წარმოშობის თავიდან აცილება?

- შეუძლებელია, რადგანაც ეს არის გენეტიკური სისუსტე ვენებისა.

- მაშინ, შესაძლებელია თუ არა ამ დაავადების განვითარების შეწყობა?

- დიახ, არის ამის დროებითი შეწყობის საშუალება. ვიშორებ - დროებით! ეს არის ელასტიური წინდების ხმარება, ზედმეტი წონის დაკლება, ხანგრძლივი დგომის ან ჯდომის თავიდან აცილება (30-40 წუთზე მეტი); სიარული სასარგებლოა, რადგან ფეხი განიტვირთება ზედმეტი ჩაგუბებული სისხლიდან. თუკი გიწევთ დიდ ხანს ჯდომა, საჭიროა ან ტერფის სიმაღლეზე აწევა, ან კიდევ ტერფის ვარჯიში.

- ვის უფრო მეტი შანსი აქვს ვარიკოზული დაავადებისა?

- გარდა გენეტიკური მიდრეკილებისა, არსებობს სხვა მიზეზებიც. ეს არის პროფესიები, რომელიც ითხოვს დიდხანს დგომას - (გამყიდველი, დალაქი). კიდევ - დიდხანს ჯდომას (კომპიუტერი, მძღოლი და ა.შ.). ალბათ გაგიგონით, რომ ხანგრძლივი თვითმფრინავით მოგზაურობის შემდეგ ფეხში ტრომბი ჩნდება. ზედმეტი სიმძიმეების აწევაც სარისკოა.

- მოგეხსენებათ, ქართველი ემიგრაციის დიდ ნაწილს ასეთი სამსახურები გააჩნიათ - მუშაობენ მძღოლებად, გადაშინდავ კომპანიებში... რას ურჩევდით ასეთ ადამიანებს?

- ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ასეთი პროფესიის მქონე ადამიანებმა მიაქციონ ყურადღება პროფილაქტიკას და დროულად მივიდნენ გამოსაკვლევად სპეციალისტთან. ვიშორებ - სპეციალისტთან.

2177 65th st.
Brooklyn, NY 11204
1-718-238-1555

კონტაქტი
ექიმთან:

ვარიკოზული დაავადების სიმპტომები

ვენების დაავადების პირველი ნიშანი - ეს არის არის დღის ბოლოს ფეხების შეშუპება, სიმძიმის შეგრძნება და კანზე წვის შეგრძნება ხანგრძლივად ფეხზე დგომის ან ჯდომის შემდეგ. ვარიკოზული დაავადებისათვის დამახასიათებელია ამ სიმპტომების გაქრობა ან შემცირება სიარულის ან ძილის შემდეგ.

მოგვიანებით ჩნდება ტკივილი წვივის მიდამოში, სიმსუვრავლის შეგრძნება და ღამის საათებში განვითარებული კრუნჩხვები კანჭის კუნთებში. გარდა ამისა, ქვედა კიდურებზე ჩნდება წვრილი მოლურჯო-მოწითალო ფერის სისხლძარღვოვანი „ვარსკვლავები“, და ბოლოს, ფართოვდება კანქვეშა ვენები, რომლებიც ემსგავსებიან გადაშლილი წითელი ყურძნის მტკეფებს.

შორსწასულ შემთხვევებში შეიძლება განვითარდეს თრომბოფლებიტი, ტროფიკული წყლულები ან ეგზემა დაზიანებულ მიდამოში.

ვარიკოზული დაავადების დიაგნოსტიკა

ვარიკოზული დაავადების მკურნალობის წარმატება პირდაპირ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რომელ სტადიაზე იწყება მკურნალობა. პირველადი გასინჯვის შემდეგ ხდება ინსტრუმენტული გამოკვლევა. ხშირად დიაგნოზის დასასმელად საკმარისია ულტრაბგერითი კვლევის ჩატარება: დოპლეროგრაფია და დუპლექს-სკანირება. თუმცა, თუკი ამის აუცილებლობაა, შეიძლება გამოყენებული იქნას რადიონუკლიდური და რენტგენოკონტრასტული კვლევის მეთოდებიც, რომლის დროსაც შეჰყავთ სისხლძარღვში უვნებელი ნივთიერება და იკვლევენ მის განაწილებას სისხლძარღვებში.

ვარიკოზული დაავადების პროფილაქტიკა

ვარიკოზის პროფილაქტიკის მიზნით ეფექტურია მთელი რიგი მარტივი პრევენციული ღონისძიებების შესრულება:

- ეცადეთ, თავი აარიდოთ სითბურ დატვირთვას და გადახურებას, ისეთ პროცედურებს, როგორცაა ცხელი შხაპი, აბაზანა, საუნა;

- არ შეიძლება დიდხანს ჯდომა, განსაკუთრებით, ფეხი-ფეხზე გადადებულ მდგომარეობაში; მჯდომარე პროფესიის ადამიანებისათვის სასარგებლოა სამსახურში ყოველ 40-50 წთ-ში ფეხზე ადგომა, ასევე ოფისის დერეფანში გავლა-გამოლა ან კიბეებზე ასვლა. ეს გააუმჯობესებს ქვედა კიდურებში სისხლის ცირკულაციას, რათა ვენებში არ მოხდეს სისხლის შეკუმშვა.

- ძილის დროს შეეცადეთ, ფეხები სხეულთან შედარებით მაღლა იყოს მოთავსებული.

- იმის გათვალისწინებით, რომ მექანიკური დატვირთვის შემდეგ ვარიკოზული დაავადებისათვის ყველაზე დიდი რისკია ორსულობა და მშობიარობა, უმჯობესია მშობიარობა და ნებისმიერი სახის ოპერაცია ჩატარდეს ელასტიური ბანდების ან სპეციალური კომპრესიული ტრიკოტაჟის პირობებში;

- გასათვალისწინებელია თამბაქოს მოხმარებისა და ჭარბი წონის როლი. შესაბამისად, ვარიკოზის პროფილაქტიკა ითვალისწინებს თამბაქოს მოხმარების შეზღუდვას, ასევე წონის კონტროლს.

- არ დაგავიწყდეთ კონტრასტული შხაპის სარგებელის შესახებ - თბილი და გრილი წყლის ჭავლის მონაცვლეობით ხდება ვენების „ტრენინგა“, რაც კარგად ამკურნებს სისხლძარღვების კედლებს, ხელს უწყობს ვარიკოზის პროფილაქტიკას;

- ეცადეთ, ყოველდღიურად არ ატაროთ მჭიდრო ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, მოკლე ყელწინდები მჭიდრო რეზინით, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი;

- ვარიკოზული დაავადების დროს ატარეთ კომპრესიული ტრიკოტაჟი ან ელასტიური ბანდები;

- მკურნალობის პროცესში დასაშვებია გარკვეული სპორტული აქტივობა, თუმცა საჭიროა ზომიერების დაცვა, განსაკუთრებით ეს ეხება ქვედა კიდურების დატვირთვას; არ შეიძლება გრძელ დისტანციებზე სირბილი, სიმძიმეების აწევა. დატვირთვა უნდა წარმოებდეს კომპრესიული ტრიკოტაჟის პირობებში;

- ცალკე აღნიშვნის ღირსია ხანგრძლივი (4 საათი და მეტი) საავიაციო გადაფრენები და ავტობუსით მგზავრობა. ეს ზრდის ვენური თრომბოემბოლიზმის რისკს. ამის გათვალისწინებით, სპეციალისტები გეთავაზობენ რამოდენიმე ეფექტურ პრევენციულ ქმედებას, მაგ., ტერფების ზემოთ-ქვემოთ მოძრაობით გავარჯიშდება კუნთები და შენარჩუნდება ქვედა კიდურებში სისხლის მოძრაობა. ადამიანებმა ასევე თავი უნდა აარიდონ მოჭერილი ტანსაცმლით მგზავრობას, ვინაიდან მათ შეუძლიათ სისხლის მიმოქცევის შეფერხება.


დღეობები ემიგრაციაში



პატარა ნიკოლოს დაბადებას ვულოცავთ ლელა ფურცელაძესა და როინ ფაფიაშვილს.



პატარა ნუციკოს დაბადებას ვულოცავთ ავთო კანადაშვილსა და თაკო მაზანაშვილს.



პატარა ანას დაბადებას ვულოცავთ ზურა თთარაშვილსა და ნინო კვეციანიშვილს.

ვუსურვებთ ბედნიერ და ლად ბავშვობას, სასახელო ქართველებად გაზრდას!

ირინა მუმლაძეს და გიორგი მჭედლიშვილს ოჯახის ახალი წევრის შემატებას ვულოცავთ მეგობრები! სასახელო ქალი გაზრდილიყოს პატარა იზაბელა, ეამაყოთ მისით ახლობლებს აქაც, - ამერიკის კონტინენტზე და იქაც, - მის სამშობლო ქვეყანაშიც!



მეგობრები დაქორწინებას ვულოცავთ ჩვენს ძვირფასს მეგობრებს ავთო ზარდიაშვილსა და თიკო მაჭავარიანს, ვუსურვებთ სიტკბოს, ოჯახურ ბედნიერებას და უღევ სიყვარულს.



**ქართული პური
ქართული სამზარეულო
ქართული სურნელი**



სამართალი - ნიჭუნ ავინიუზა

265 Neptune Avenue, Brooklyn, NY 11235

GOGAGGG.com

იგრძენი თავი სამშობლოში



ვიზკუნოთ
ვეთვენოთვე



თუ ხოთბოს ყენ ვამოყნაყნ
და ზემო ყენუ ქო ქოქყოთ,
ყოქნობთ, ძაყნაძა ვოქოთ ძაქს?
თუქუ ძახში ყვქოთ ვქყოთ!

შ. შოქოთაძე

GOGAGGG.com

ულოყნავს „გაგაღს“
ნოთი ნოთი იუბოღს